# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 30 აგვისტო 1997 №101 (466) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამარცხებული გამარჯვებული

I ხრუნვა

«« არარატ »» « დინამო
ერევან ბათუმი

0 : 2

## არარატი — ბათუმი 2:6
## სფფ — ბათუმი 3:2

**საცოდავია მწვრთნელი, რომლის გუნდიც პრინციპულ მეტოქესთან ორ თამაშს აგებს. მაგრამ ათჯერ უფრო ცოდოა კაცი, რომლის გუნდიც პრინციპულ მეტოქეს ორივე თამაშს უგებს, მაგრამ მაგანთა გამოისობით მაინც წაგებული რჩება.**



გურამ ღოღინჯავაშვილის ფოტოები

არკადი ანდრიასიანი და შოთა ჭეიშვილი




კობა ინასარიძე
ერევნიდან


რაც ხუთშაბათს „რაზდანზე" მოხდა, მართლაც კოშმარია. დიახ კოშმარი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კოშმარი და საცოდაობა. რა „დინამოსა" და „ლინფილდის" ოთხი წლის წინანდელი მატჩი, რის „კოლხეთი" — მინსკის „დინამო". ერევანში სასწაული მოხდა! ერევანში „ბათუმი" მსაჯმა გაწირა! ერევანში ენით აუწერელი რამ მოხდა! ერევანში „ბათუმს", სულ ცოტა, 7:0 უნდა მოეგო! გადაჭარბებული არაფერია. ბათუმელები ნამდვილად იყვნენ შემდეგ წრეში გასვლის ღირსნი. რაც ერევანში მოხდა, უსამართლობაა! ორი დღის მანძილზე სულ იმას ვფიქრობდი, რატომ დაისაჯა „ბათუმი", უფრო სწორად, რატომ გაწირეს ქართული კლუბი ქართველებმავე, მათ, ვისაც მისი პატრონობა ევალებოდა? ბოლო-ბოლო, რა გახდა უეფადან გამოგზავნილი რამდენიმე სტრიქონის ადრესატამდე გადაგზავნა? ყველაფერი ალოგიკურია! სირცხვილია, დიდი სირცხვილი, ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული „არარატი" რომ დარჩა...

იხილეთ მესამე გვერდი

# 4 ტური

თბილისი
„შევარდენი"
29 აგვისტო

**მორკინალი 0:1 ოდიში**

მორკინალი: გვარამაძე, ცომაია, ჯველიშვილი, ი. ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, აბაზაძე, პეტროაშვილი (კაჭარავა 46), მაისურაძე (ლაპიაშვილი 46), კაპანაძე, ქოიავა (დვალიშვილი 72), გოჩაშვილი

ოდიში: სოლოღაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ლაცაბიძე, ფერალიძე, რევაზიშვილი, ენდელაძე (თოლორდავა 90), კაიდარაშვილი, წიტაიშვილი (იველიანი 88), კალანდაძე

0:1 წიტაიშვილი (80)

გაფრთხილება: წიტაიშვილი, ქოიავა, კაიდარაშვილი

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

## ჩვენ ბოდიში, მოდის „ოდიში"

**მამუკა კვანტალიანი**

გულშემატკივარი საინტერესო ორთაბრძოლას ელოდა. ჩემპიონატში წაუგებლად მოთამაშე სტუმარ-მასპინძელმა ვერც მათ და ვერც სპეციალისტებს იმედები ვერ გაუმართლა. ეს მეტადრე „მორკინალზე" ითქმოდა. „მერანის" და „ტორპედოს" გამწბილებლებს გუშინ ვერ იცნობდით. მასპინძლებს მოძრაობა უძნელდებოდათ. რა დაემართა „მორკინალს", ალბათ, გუგუშვილზე უკეთ არავის ეცოდინება, მაგრამ ჩემი აზრით, ფეხბურთელები უბრალოდ გადაღლილები იყვნენ.

მიუხედავად ამისა, ტაიმის პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მასპინძლებმა შექმნეს. მარცხენა ფრთაზე გასულმა აბაზაძემ სტუმართა საჯარიმოში ქოიავა მოძებნა, მაგრამ კარის წინ ეულად დარჩენილმა ბურთი ხარიხას გადააცილა. მან ვერც მეორედ იყოჩაღა — კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი უსწორა და ააცილა.

ის ორი მომენტი მასპინძლებმა ათწუთიან მონაკვეთში შექმნეს. თავიდან უპირატესობაც მათი იყო, მაგრამ მერე ოდიშართა დაცვამ სასტარტო მღელვარება დაძლია და აღარც შემცდარა. ცოდვა გამხელილი სჯობსო, იტყვიან და რატომღაც მომეჩვენა, რომ ოდიშელები პირველ ტაიმში ერთგვარი შიშით ირჯებოდნენ. ტაიმმაც დუნე ბურთაობაში ჩაიარა.

მეორე ნახევარში ოდიშელები მოცოცხლდნენ. სახიფათო ჯარიმით დაიწყეს, მერე მასპინძელთა საჯარიმოს გაუშინაურდნენ და უპირატესობა ბოლომდე არ დაუთმიათ. ვერავინ დაითვალა, რამდენი კუთხური ჩააწოდეს გვარამაძის კართან. კიდეც იხუმრეს, ენდელაძე კუთხურის მოწოდებაში ვარჯიშობსო. სწორედ ამან ახეირა სტუმრები. ენდელაძემ კვლავ ჩააწოდა, ბურთი თითქოს ყველას გადასცდა, მაგრამ საპირისპირო მხარეს, პირით ხაზთან ახლოს დადარაჯებული წიტაიშვილი ჰაერში აიწია და აბრაგანი დაჰკრა. ბურთი ცხრიანში, შორეულ კუთხეში ჩაეშვა. უიშვიათესი სილამაზის გოლს მაყურებელი ფეხზე წამოუდგა და ოდიშელთა გამხარებელი ტაშით დააჯილდოვა. ალალი გახლდათ ამ ბიჭზე ყველაფერი. ორი ტაიმი არ გაჩერებულა და დიდად სასარგებლოდაც იშრომა. დარჩენილ დროში სტუმრები დაცვაში არ ჩამსხდარან, იქით შეუტიეს, ცოტაც საფეხბურთო ეშმაკობები, დროის გაყვანა, ცვლილებები დაურთეს და თბილისიდან უკვე ოთხი ქულაც წაიღეს, თან წაუგებელი სერიაც გააგრძელეს. თამაშის მერე კობა წიტაიშვილს ვკითხეთ, შემთხვევითი ხომ არ იყო ასეთი გოლიო: სხვათა შორის არა, ზუგდიდში დავამუშავეთ და ბოლო ვარჯიშზეც გავიტანე ამნაირი გოლი. თუ არ გჯერათ, ზვიადს ჰკითხეთო...

# გუშინ ჟენევაში

CHAMPIONS LEAGUE UEFA CUP Cup Winners' Cup

ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადანაცვლებულ თბილისის „დინამოს" აშკარად გაუმართლა და მისი ბედის მოზიარე ბელარუსის ჩემპიონი, მოზირის მპკც შეხვდა. ამ გუნდში სამი ჩვენებური — ლევან ბერიშვილი, კახა ესაიაშვილი და მალხაზ ვოსკანოვი თამაშობს. პირველი მატჩი 16 სექტემბერს მოზირშია, საპასუხო — ორი კვირის შემდეგ თბილისში.

თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი" ჩემპიონთა ლიგის ყველაზე ძლიერ ჯგუფში აღმოჩნდა კიევის „დინამოსთან", „ბარსელონასთან" და „ეინდჰოვენთან" ერთად.

ქეცბაიას მიერ დალუპულ „კროაციას" შურის საძიებლად თემურის თვისტომ ნემსაძისა და ყაველაშვილის „გრასჰოპერი" ერგო.

ჩალაძის, რეხვიაშვილისა და სილაგაძის „სკონტოს" ესპანელები დაებედა, თუმცა „ვალიადოლიდი" „ბარსა" არ არის და ვინ იცის, აქ რა მოხდება.

შოთას „აიაქსი" ალბათ უპრობლემოდ დაძლევს ამ ეტაპს — სლოვენიის „მარიბორი" ამსტერდამელთა ტოლი გუნდი ნაღდად არაა.

ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივსაც", ჩვენი ჩემპიონის დარად, ბელარუსებთან, ბობრუისკის „ბელშინასთან" უწევს ჭიდილი.

დანარჩენი ჩვენებურების „ალანია" ერთ დროს ჩვენ გამამწარებელ ბუდაპეშტის მტკ-ს ხვდება. აქაც თავისებური რევანშია მოსალოდნელი.

შემდეგ წრეში ბრძოლაში გამარჯვებულ და კაბინეტებში დამარცხებულ ქართველთა ნაცვლად გასული „არარატი", ისევე როგორც ოთხი წლის წინ ამნაირადვე გასული „ლინფილდი", დანიურ „კოპენჰაგენს" შეეჯიბრება.

**წილისყრის სრული შედეგები და წერილი თბილისის „დინამოს" მეტოქეზე იხილეთ მეორე გვერდზე**

წილისყრის სრული შედეგები და წერილი თბილისის „დინამოს" მეტოქეზე იხილეთ მეორე გვერდზე

## მსოფლიოს ჩემპიონი არც ამჯერად გვყავს

კრასნოიარსკში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელმაც ქართველებს მორიგი იმედგაცრუება მოგვიტანა. როგორც არ უნდა წარიმართოს შეჯიბრება, ერთი რამ ცხადია: ქვეყანა, რაც დამოუკიდებლად არსებობს, ჯერჯერობით, ოლიმპიურ სახეობაში კვლავ ვერ ეღირსება მსოფლიოს ჩემპიონს.

ჩვენი მთავარი იმედი კრასნოიარსკში ელდარ კურტანიძე (97 კგ) იყო. მან პირველ წრეში 2:0 მოუგო აზერბაიჯანელ მაგომედოვს. მეორეში კი ირანელ მოჭიდავეს სძლია. მესამე წრეში მისი მეტოქე უკრაინელი სერგეი პრიადუნი იყო, არაფრით გამორჩეული საშუალო ნიჭის მოჭიდავე. ელდარი საკუთარსავე ილეთზე წამოეგო და უკრაინელმა წმინდად მოუგო.

დამამშვიდებელ ტურნირში კურტანიძემ 5:1 მოუგო გაგერმანებულ ოსს არავატ საბეევს, შემდეგ, დამატებით დროში 1:0 დაამარცხა კუბელი მეტოქე და ბრინჯაოს მედლისთვის აგრძელებს ბრძოლას. დღეს იგი ლატვიის მოჭიდავეს იური იმნოვიჩს ხვდება, თუკი მას სძლია, მომდევნო შეხვედრაში უშუალოდ მესამე ადგილისთვის იჭიდავებს.

ჩვენი მეორე დიდი იმედი, გორელი დავით პოღოსიანი (58 კგ) უბრძოლველად გამოეთიშა ჩემპიონატს. მას საზარდულის კუნთი ისე დაუსივდა, რომ ჭიდაობა ვერ შეძლო.

ახლა დანარჩენებზე. თამაზ ყულოშვილმა (54 კგ) სტარტზევე წააგო ორივე შეხვედრა და ჩემპიონატიც დაასრულა.

63 კგ-ში ოთხი წრე გაიარა გოდერძი ხარაზავამ. როგორც ამბობენ, ცუდად არ უჭიდავია, მაგრამ ორ მოგებას ორი წაგება მოუნაცვლა და ჩემპიონატს დაეთხოვა.

იგივე ხვედრი ეწია ალექსი კახნიაშვილსაც (76 კგ), რომელიც უკვე ვეღარ აგრძელებს ბრძოლას.

გუშინ ბრძოლადაწყებულ ფალავანთა ამბავი კი ასეთია: დავით გაგიშვილმა (69 კგ) ერთი შეხვედრა მოიგო, ერთიც წააგო და აწი მხოლოდ ბრინჯაოს მედლისთვის თუ იბრძოლებს.

ანალოგიურ მდგომარეობაშია გოჩა ჩიხრაძე (85 კგ) — ერთმა მოგებამ და ერთმა წაგებამ მას მხოლოდ ბრინჯაოს შანსი დაუტოვა.

ასევეა მძიმეწონოსან მამუკა ფრეწუაშვილის საქმეც. პირველ წრეში იგი 0:8 დამარცხდა რუს დავიდ მუსულბესთან, შემდეგ კი წმინდად მოუგო ვენესუელელ ვალაკინს. აღსანიშნავია, რომ მუსულბესი, ჩემპიონობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი, თავადაც გამოეთიშა ოქროს მედლისთვის ბრძოლას — ამერიკელ ერიქსონთან წააგო. მაგრამ ამაში ჩვენთვის სახეირო არაფერია — 1997 წლის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ის მორიგი შეჯიბრებაა, რომელმაც საქართველოს ოქროს მედალი ვერ მოუტანა.

## შემდეგი „სარბიელი" — ორშაბათს, 1 სექტემბერს

**ამიერიდან ჩვენი გაზეთი კვირაში ოთხჯერ — ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს გამოვა**

## ფუძემ

ფეხბურთი. ბუნდესლიგა. V ტური. ბოხუმი — კაიზერსლაუტერნი 1:3 (შტიკროთი 69; კუკა 19, 90, მარშალი 72), ჰერტა — ჰამბურგი 0:2 (ხალიჰამიჯიჩი 34, დემბინსკი 72).

საფრანგეთის ჩემპიონატი. V ტური. გინგამი — მარსელი 1:1 (ტასფო 67; მიჰალი 44 ს.კ.), მონაკო — მეცი 1:2 (შპეპარი 46პ; ლუკიჩი 24, როდრიგესი 90)

ბრაზილიელი ნახევარმცველი ლეონარდო, ამ კვირის გმირი, „პარი სენ ჟერმენიდან" „მილანში" გადავიდა. პარიზელთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონტრაქტი სამი წლით გაფორმდა. თანხა ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ როიტერის სააგენტომ ფრანგულ გაზეთებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ 27 წლის მსოფლიოს ჩემპიონში იტალიელებმა 10 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

უეფამ ჩემპიონთა თასის მფლობელ დორტმუნდის „ბორუსიას" უფლება მისცა ჩემპიონთა ლიგის ახალ გათამაშებაში თავისი მატჩები სხვებთან შედარებით ორი საათით ადრე დაიწყოს. ამის მიზეზია ის, რომ გერმანიას ჩემპიონთა ლიგაში სამი გუნდი ჰყავს. ასე რომ, 17 სექტემბერს სტამბოლში „გალათასარაისა" და „დორტმუნდის" შეხვედრა თბილისის დროით 22 საათსა და 45 წუთზე დაიწყება.

### მპკც მოზირი, ბელარუსი

დაარსდა: 1987 წელს
სტადიონი: „იუნოსტი“ (6500)
პრეზიდენტი: ნიკოლაი იაშჩენკო
მწვრთნელი: ალექსანდრ ბუბნოვი
ბელარუსის ჩემპიონი (1996)
ბელარუსის თასის მფლობელი (1995)

### ბელარუსი

პირველი ხუთეული დღეისთვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელშინა | 17 | 15 | 1 | 1 | 46:16 | 46 |
| დინამო 93 | 17 | 12 | 3 | 2 | 44:16 | 37 |
| დინამო | 17 | 11 | 5 | 1 | 43:10 | 38 |
| ლოკომოტივი 96 | 17 | 11 | 3 | 3 | 26:17 | 36 |
| მპკც | 17 | 9 | 6 | 2 | 30:12 | 33 |

# ბედი და უბედობა

## ნაცნობი უცნობი

— ვინ შეხვდა „დინამოს“?

— ბელარუსული მოზირის მპკც...

— ბერიშვილის გუნდი? გავსულვართ, გაგვმართლებია!

მსგავსი მოკლე დიალოგი გუშინდელ სატელეფონო ზარებს მოჰყვებოდა ხოლმე. ასეთი კი, მეტი რომ არ ვთქვათ, ათასზე მეტი იყო. ეს მეტი „შოშიასავით“ არ დაგვითვლია. ვითომ ვიცნობთ მეტოქეს, სინამდვილეში კი მის შესახებ მცირედი ვიცით. ვიცით, რომ იქ ლევან ბერიშვილი თამაშობს. ზოგმა ისიც იცის, მასთან „ისინიც“ რომ არიან. ვიცით, რომ ბელარუსის ჩემპიონია და, მორჩა. ეს კი დასამშვიდებლად ცოტაა.

## ცოტა რამ ისტორიიდან

თითქოსდა, რა დროს ისტორიაა, ან ათი წლის გუნდს რა ისტორია უნდა ჰქონდეს? ორი წლის წინ ასეც იყო, მაგრამ მერე ბედის ჩარხი მოზირელთა სასარგებლოდ დატრიალდა. შარშანწინ ბელარუსებმა ერთწრიანი ჩემპიონატი რომ გამართეს გაზაფხულ-შემოდგომაზე დასაბრუნებლად, მპკც მეორე იყო. სადებიუტო წელს მოზირის გუნდმა წინ მხოლოდ მინსკის „დინამო“ გაუშვა. აი, თასი კი აღარ დაუთმო. არადა, მპკც-ს გაჩემპიონებაც შეეძლო. მან ხომ პირად შეხვედრაში „დინამო“ 2:1 დაამარცხა. ოღონდ ეს ჩემპიონატის დამთავრებამდე ტურით ადრე იყო 20 ათასი ფეხზე დამდგარი მაყურებლის თვალწინ. მაშინ მოზირელები 5 ქულით ჩამორჩებოდნენ „დინამოს“ და სხვაობის მხოლოდ 2 ქულამდე დაყვანა შეძლეს. „დინამოს“ ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ 33 წაუგებელი მატჩის შემდეგ მარცხი იწვნია. ექვს თვეში ესენი მინსკში შეიყარნენ. „დინამომ“ პასუხი ამჯერადაც ვერ გასცა მომხვდურს. 16 გოლით საუკეთესო ბომბარდირის იერომკოს დუბლმა და რომაშჩენკოსა და კულჩის გოლებმა მინსკი სახტად დატოვა — 4:1 მოზირელთა სასარგებლოდ.

მკპც-ს დებიუტი მაინც გასაოცარი იყო... პირველ სამ მატჩში მან 16 უპასუხო გოლი გაიტანა.

მოზირელებმა მინსკის „დინამოზე“ შარშან იყარეს ჯავრი — ქულით აჯობეს. მპკც-ს მაჩვენებელი შთამბეჭდავი იყო: 30 მატჩში 24 მოგება, 4 ფრე, 2 წაგება, ბურთების სხვაობა 64-17!

### შემადგენლობა

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| ვლადიმერ გაევი | 1977 |
| სერგეი სინიცინი | 1977 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| ვალერი აპანასი | 1975 |
| მიხაილ ვავილოვი | 1977 |
| ანდრეი ლუკაშევიჩი | 1977 |
| ოლეგ სისოევი | 1967 |
| სერგეი პოლიაკოვი | 1975 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| ვიაჩესლავ ბანულუ | 1972 |
| მალხაზ ვოსკანოვი | 1970 |
| ბორის გორროვოი | 1974 |
| ვიქტორ კუკარი | 1970 |
| ევგენი ლოვჩევი | 1975 |
| იური მალეევი | 1968 |
| იგორ ოსიპენკო | 1877 |
| ალექსეი ხოდიკინი | 1976 |
| დმიტრი დენისიუკი | 1977 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| ვასილი კუშნირი | 1973 |
| ლევან ბერიშვილი | 1975 |
| კახაბერ ესაიაშვილი | 1976 |

## რას ნიშნავს მპკც?

ეს კითხვაც გაჩნდება. პასუხი ბელარუსმა კოლეგებმა მოგვცეს გაზეთ „პრესბოლიდან“. გუნდი მოზირის გადამამუშავებელ კომერციულ ცენტრს ეკუთვნის, მპკც-ც მისი აბრევიატურაა.

მოზირი ბელარუსის სამხრეთში, უკრაინის მოსაზღვრე ქალაქია. მინსკიდან 4 საათის სავალზე მდებარეობს. მოზირელები თავისი გუნდით, ბუნებრივია, ხარობენ და ქომაგთა მატებამ გუნდს სტადიონიც გამოაცვლევინა. 5 ათასიანი „სპარტაკიდან“ მპკც 6500-იან „იუნოსტზე“ გადაბარგდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრი არც ესაა.

ის, რაც მეტოქეზე წაიკითხეთ, წარსულია. თასის მფლობელთა და ჩემპიონთაგან გუნდს ცოტანი შემორჩნენ — კაპიტანი სისოევი და ნახევარმცველები დენისიუკ-გორროვოი. რამ განაპირობა ეს? წლევანდელმა ცუდმა სტარტმა და მწვრთნელთა ცვლამ.

### ქართული ტრიო

**ლევან ბერიშვილი**
01.06.75

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 91-92 | დილომი | D | 5 | |
| 92-93 | არ უთამაშია | | | |
| 93-94 | არმაზი 90 | B | 32 | 13 |
| 94-95 | შევარდენი | A | 22 | 4 |
| 95-96 | ოდიში | A | 12 | 5 |
| | ასკ | B | 16 | 7 |
| 96-97 | სამტრედია | A | 10 | 3 |
| 97-დან | მპკც | | | |

**კახა ესაიაშვილი**
15.09.76

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 93-94 | ტორპედო 2 | C | 19 | 1 |
| 94-95 | არ უთამაშია | | | |
| 95-96 | სამგურალი | B | 27 | 12 |
| 96-97 | სამგურალი | A | 14 | 1 |
| 97-დან | მპკც | | | |

**მალხაზ ვოსკანოვი**
29.01.70

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990 | საპოვნელა | B | 21 | - |
| 1991 | სქური | B | 11 | 1 |
| 91-92 | სქური | B | 29 | 1 |
| 92-93 | ტორპედო | A | 18 | 1 |
| 93-94 | ტორპედო | A | 29 | 1 |
| 94-95 | ტორპედო | A | 27 | - |
| 95-96 | ტორპედო | A | 16 | - |
| 96-97 | ლუჩი (რუსეთი) | B | ? | ? |
| 97-დან | მპკც | | | |

## დღეს

მოზირელთა აწმყო ასეთია: „დინამოსავით“ ლიგაში ვერშესულმა, ბელარუსის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში იმარჯვა — სოლიგორსკის „შახტიორს“ 22 აგვისტოს შინ 1:0 მოუგო, მანამდე კი 8 აგვისტოს შინვე მოგილიოვის „ტრანსმაში“ 2:0 დაამარცხა. ლიგაში შესასვლელად მოზირული კლუბი ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ ეჭიდებოდა. ჭიდილი განმეორებით მატჩს უფრო ერქვა, 2:2 რომ მორჩა, თორემ პირველში ანდრო ნინიადისის „ოლიმპიაკოსმა“ ჯვარს აცვა მპკც (5:0). კიურჯიევყოფილი ორივე გუნდში საუკეთესო ყოფილა და „პრესბოლისგან“ ათბალიანი სისტემით ყველაზე მაღალი შეფასებაც მიუღია. რაც შეეხება ლევან ბერიშვილს, იცით, მანაც რომ გაიტანა. როგორც გვითხრეს, ლევანი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი კია, მაგრამ ისე ძლიერად ველარ ირჯება, როგორც თავიდან დაიწყო.

### ბოლო მატჩის განლაგება

გაევი
სისოევი
ლუკაშევიჩი — აპანასი
პოლიაკოვი
ლოვჩევი
გორროვოი — მალეევი — კუშნირი
(ვავილოვი 60)
დენისიუკი — ბერიშვილი
(ესაიაშვილი 60)

მპკც-ს ახალი მწვრთნელი ალექსანდრ ბუბნოვია, რომელსაც სადირინთან ცესკაში ნამუშევარი ალექსანდრ კუზნეცოვი ეხმარება. შემადგენლობის გადახალისებაც ამათ უთავიათ, მაგრამ სასურველისგან ჯერაც შორს ყოფილან. ფიზიკურად მპკც დიდად ძლიერი ვერ ყოფილა, ბერძნებთან პირეოსში პირველი ტაიმი 0:0 გაუძლია, მაგრამ მერე დამდგარა. საპასუხო შეხვედრაში თამაში გაუთანაბრებიათ, მაგრამ მაღალი კლასის გამო მაინც სტუმრებს უჯობნიათ.

რა გვეთქმის? ჩვენი „დინამო“ „ოლიმპიაკოსი“ არაა, მაგრამ ყოფილი ძმები ამანაც უნდა გააწბილოს. სხვაგვარად, ის „ტიში სჩემტა“ კაცი გამოვა გაწბილებული, ბედი გვქონიაო, რომ ამბობდა.

### სასექტემბრო განრიგი

| | |
|---|---|
| 01.09 | ტორპედო (მინსკი) — მპკც |
| 13.09 | მპკც — ნემანი (გროდნო) |
| 20.09 | კომუნალნიკი — მპკც |
| 24.09 | მოლოდეჩნო — მპკც |
| 28.09 | მპკც — დნეპრი (მოგილიოვი) |

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

ევროტურნირების წილისყრის დასრულებისთანავე განთესილი გუნდების მწვრთნელებმა და ოფიციალურმა წარმომადგენლებმა სახეშეცვლილ ლიგაზე თავიანთი აზრი გამოთქვეს.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „იუვენტუსს“ ზედიზედ მეორედ შეხვდა. ინგლისელთა წარმომადგენელმა პიტერ კენიონმა განაცხადა, იტალიელებს გასულ წელს რომ ვეთამაშეთ, ძლიერნი იყვნენ, ახლა კი უფრო გაძლიერდნენო. ინგლისელებსაც და იტალიელებსაც ჩემპიონთა თასი მოგებული აქვთ, ისევე როგორც ამ ჯგუფის მესამე ბინადარ „ფეიენოორდს“.

თემურ ქეცბაიას წყალობით „ნიუკასლი“ პირველად მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში და პირველსავე ტურში ესპანურ გიგანტ „ბარსელონას“ მასპინძლობს. [illegible] წარმომადგენელმა ფრედი ფლეტჩერმა განაცხადა, ხუთი წლის წინ პირველ დივიზიონში [illegible], ჩემპიონთა ლიგაზე მხოლოდ ვოცნებობდით, ახლა კი თავი სიზმარში გვგონიაო: „როცა „ბარსელონა“ შეგვხვდა, ძლიერ გაგვიხარდა. ასეთ გუნდთან „ნიუკასლს“ ჯერ არ უთამაშია. მიუხედავად მეტოქის პატივისცემისა, ჩვენ გამარჯვებას შევეცდებით“.

ლიგაში მეტად ლამაზი მოგებით გასული პსჟ კვლავ დაუპირისპირდება „ბაიერნს“, რომელსაც ფრანგებმა 1994-95 წლების სეზონში ორჯერ სძლიეს. პსჟ პირველ შეხვედრაში „გიოტებორგს“ მასპინძლობს, რამაც კლუბის დირექტორი კლოდ ლე რუა ძლიერ გაახარა: „თუ გერმანელები ფიქრობენ, რომ ჯგუფს მოიგებენ, ცდებიან. „სტიაუასთან“ მოგებამ დაგვარწმუნა, რომ პსჟ ევროპის გრანდია“.

### A ჯგუფი

ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია)
სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)
პარმა (იტალია)
გალათასარაი (თურქეთი)

**17 სექტემბერი**
სპარტა — პარმა
გალათასარაი — დორტმუნდი

**1 ოქტომბერი**
დორტმუნდი — სპარტა
პარმა — გალათასარაი

**22 ოქტომბერი**
პარმა — დორტმუნდი
სპარტა — გალათასარაი

**5 ნოემბერი**
დორტმუნდი — პარმა
გალათასარაი — სპარტა

**26 ნოემბერი**
პარმა — სპარტა
დორტმუნდი — გალათასარაი

**10 დეკემბერი**
სპარტა — დორტმუნდი
გალათასარაი — პარმა

### B ჯგუფი

ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია)
კოშიცე (სლოვაკეთი)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
იუვენტუსი (იტალია)

**17 სექტემბერი**
კოშიცე — მანჩესტერ იუნაიტედი
იუვენტუსი — ფეიენოორდი

**1 ოქტომბერი**
ფეიენოორდი — კოშიცე
მანჩესტერ იუნაიტედი — იუვენტუსი

**22 ოქტომბერი**
მანჩესტერ იუნაიტედი — ფეიენოორდი
კოშიცე — იუვენტუსი

**5 ნოემბერი**
ფეიენოორდი — მანჩესტერ იუნაიტედი
იუვენტუსი — კოშიცე

**26 ნოემბერი**
მანჩესტერ იუნაიტედი — კოშიცე
ფეიენოორდი — იუვენტუსი

**10 დეკემბერი**
კოშიცე — ფეიენოორდი
იუვენტუსი — მანჩესტერ იუნაიტედი

### C ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი)
ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
დინამო (კიევი, უკრაინა)
ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)

**17 სექტემბერი**
ნიუკასლი — ბარსელონა
ეინდჰოვენი — დინამო

**1 ოქტომბერი**
ბარსელონა — ეინდჰოვენი
დინამო — ნიუკასლი

**22 ოქტომბერი**
დინამო — ბარსელონა
ეინდჰოვენი — ნიუკასლი

**5 ნოემბერი**
ბარსელონა — დინამო
ნიუკასლი — ეინდჰოვენი

**26 ნოემბერი**
დინამო — ეინდჰოვენი
ბარსელონა — ნიუკასლი

**10 დეკემბერი**
ეინდჰოვენი — ბარსელონა
ნიუკასლი — დინამო

### D ჯგუფი

პორტუ (პორტუგალია)
რეალი (მადრიდი, ესპანეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

**17 სექტემბერი**
რეალი — რუსენბორგი
ოლიმპიაკოსი — პორტუ

**1 ოქტომბერი**
პორტუ — რეალი
რუსენბორგი — ოლიმპიაკოსი

**22 ოქტომბერი**
რუსენბორგი — პორტუ
რეალი — ოლიმპიაკოსი

**5 ნოემბერი**
პორტუ — რუსენბორგი
ოლიმპიაკოსი — რეალი

**26 ნოემბერი**
რუსენბორგი — რეალი
პორტუ — ოლიმპიაკოსი

**10 დეკემბერი**
რეალი — პორტუ
ოლიმპიაკოსი — რუსენბორგი

### E ჯგუფი

გიოტებორგი (შვედეთი)
ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)
ბეშიქთაში (თურქეთი)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)

**17 სექტემბერი**
ბაიერნი — ბეშიქთაში
პსჟ — გიოტებორგი

**1 ოქტომბერი**
გიოტებორგი — ბაიერნი
ბეშიქთაში — პსჟ

**22 ოქტომბერი**
ბეშიქთაში — გიოტებორგი
ბაიერნი — პსჟ

**5 ნოემბერი**
გიოტებორგი — ბეშიქთაში
პსჟ — ბაიერნი

**26 ნოემბერი**
ბეშიქთაში — ბაიერნი
გიოტებორგი — პსჟ

**10 დეკემბერი**
ბაიერნი — გიოტებორგი
პსჟ — ბეშიქთაში

### F ჯგუფი

ლიერსი (ბელგია)
სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია)
მონაკო (საფრანგეთი)
ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია)

**17 სექტემბერი**
სპორტინგი — მონაკო
ლევერკუზენი — ლიერსი

**1 ოქტომბერი**
ლიერსი — სპორტინგი
მონაკო — ლევერკუზენი

**22 ოქტომბერი**
მონაკო — ლიერსი
სპორტინგი — ლევერკუზენი

**5 ნოემბერი**
ლიერსი — მონაკო
ლევერკუზენი — სპორტინგი

**26 ნოემბერი**
მონაკო — სპორტინგი
ლიერსი — ლევერკუზენი

**10 დეკემბერი**
სპორტინგი — ლიერსი
ლევერკუზენი — მონაკო

### უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი
16 და 30 სექტემბერი

UEFA CUP

*მპკც (მოზირი, ბელარუსი) — დინამო (თბილისი)*
დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) — ოსერი (საფრანგეთი)
ზალცბურგი (ავსტრია) — ანდერლეხტი (ბელგია)
პაოკი (საბერძნეთი) — არსენალი (ინგლისი)
ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) — უდინეზე (იტალია)
აიაქსი (ჰოლანდია) — მარიბორი (სლოვენია)
ლიონი (საფრანგეთი) — ბრონდბიუ (დანია)
ვალიადოლიდი (ესპანეთი) — სკონტო (რიგა, ლატვია)
ბორდო (საფრანგეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
სტიაუა (რუმინეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
როტორი (რუსეთი) — ორებრუ (შვედეთი)
ჯაზი (ფინეთი) — მიუნხენ 1860 (გერმანია)
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ბოხუმი (გერმანია)
კროაცია (ხორვატია) — გრასჰოპერი (შვეიცარია)
ვიტესი (ჰოლანდია) — ბრაგა (პორტუგალია)
რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ჰაპოელი (ფეთახ-თიქვა, ისრაელი)
გიმარაეში (პორტუგალია) — ლაციო (იტალია)
სტრასბური (საფრანგეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია)
მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ალანია (რუსეთი)
შალკე 04 (გერმანია) — ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)
ბასტია (საფრანგეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)
სიონი (შვეიცარია) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — ოფი კრეტა (საბერძნეთი)
სამპდორია (იტალია) — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი)
ინტერი (იტალია) — ქსამაქსი (შვეიცარია)
სელტიკი (შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი)
მუსკრონი (ბელგია) — მეცი (საფრანგეთი)
ტვენტე (ჰოლანდია) — ლილესტრიომი (ნორვეგია)
ბეითარი (იერუსალიმი, ისრაელი) — ბრიუგე (ბელგია)
ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) — ლესტერ სიტი (ინგლისი)
ორჰუსი (დანია) — ნანტი (საფრანგეთი)
კარლსრუე (გერმანია) — ანორთოსისი (კვიპროსი)

### თასების თასის მეთექვსმეტედფინალი
18 სექტემბერი და 2 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) — შტურმი (ავსტრია)
შტუტგარტი (გერმანია) — ვესტმანაეიარი (ისლანდია)
ბოავიშტა (პორტუგალია) — შახტიორი (უკრაინა)
ქოჯაელისფორი (თურქეთი) — ნაციონალი (რუმინეთი)
ეკერენი (ბელგია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
აიკ (სტოკჰოლმი, შვედეთი) — პრიმორიე (სლოვენია)
აეკ (ათენი, საბერძნეთი) — დინაბურგი (ლატვია)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — ლუცერნი (შვეიცარია)
ჰაპოელი (ბერ შევა, ისრაელი) — როდა (ჰოლანდია)
ზაგრები (ხორვატია) — ტრომსო (ნორვეგია)
კოპენჰაგენი (დანია) — არარატი (ერევანი, სომხეთი)
ბელშინა (ბელარუსი) — ლოკომოტივი (რუსეთი)
ჩელსი (ინგლისი) — სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
ნიცა (საფრანგეთი) — კილმარნოკი (შოტლანდია)
ბეტისი (სევილია, ესპანეთი) — ვაშაში (უნგრეთი)
ვიჩენცა (იტალია) — ლეგია (ვარშავა, პოლონეთი)

# დამარცხებული გამარჯვებული

ერევანი
„რაზდანი"
28 აგვისტო

**არარატი 0:2 ბათუმი**

**არარატი:** ა. აბრამიანი, ასოიანი, გსპეიანი, გალუსტიანი, აივაზიანი, ვ. აბრამიანი, ნიგოიანი (ნაზარიანი 55), ხ. ბაბაიანი (ოვაქემიანი 62), თამრაზიანი (ა. ბაბაიანი 67), ტერ-პეტროსიანი, მინასიანი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (მანიძე 75), მ. მახარაძე, ღლონტი, ქიქვეიშვილი, ჩუხუა, ყულეჯიშვილი (აფხაზავა 69)
0:1 თორლაშვილი (1), 0:2 ი. მახარაძე (36)
**მსაჯი:** მ. კოვალჩიკი (პოლონეთი)

...მატჩის წინა დღეს ერევანში საკმაოდ ბევრ ადამიანს ვესაუბრე. როგორც კი ჩვენი სომხეთში ვიზიტის მიზეზს შეიტყობდნენ, იმავწამს გვეკითხებოდნენ, თქვენი აზრით, როგორი ანგარიშით დამთავრდება ხვალინდელი მატჩიო. თითქმის უიმედო ვითარების მიუხედავად, იხტიბარს მაინც არ ვიტეხდით და ვპასუხობდით — „ბათუმი" ოთხბურთიანი სხვაობით გაიმარჯვებს! სიმართლე ვთქვა, ამისი ნაკლებად მჯეროდა, ყველაფერს კი იმიტომ ვაკეთებდი, სომხებისთვის სამაგიერო გადამეხადა. რა მიზეზით? „არარატის" ხელმძღვანელებით დაწყებული, მათი ოფისის დარაჯით დამთავრებული, ყველა ისე გამომწვევად ამბობდა, ჩვენები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებენ და „ბათუმს" ისეთ დღეს დააყრიან, თამაშს აზრი დაეკარგებაო, მერწმუნეთ, ჩემს ადგილზე თქვენც ამას იტყოდით, და კიდევ იმას ამატებდნენ, გინდ 4:2 იყოს ანგარიში, „არარატი" მაინც უფრო ძლიერია და შემდეგ ეტაპზე გავალთო.

ასე თავდაჯერებულები იყვნენ სომხები. იქნებ ამიტომაც ითამაშეს მეტად უსუსურად? ეს ისეთივე ძნელი წარმოსადგენია, როგორიც „რაზდანზე" ანშლაგი. ანშლაგი კი არა, სტადიონზე 5 ათასამდე მაყურებელი ძლივს შეგროვდა. მაგრამ, ვაი ისეთ განწყობას, ესენი რომ იყვნენ თამაშის შემდეგ. ხუთი ათასი კაცი, იქაური დროით ცხრას თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, ისე აღშფოთდა, სრულიად შესაძლებელი გახლდათ თავისიანებს ფიზიკურადაც გასწორებოდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას კი ნუ იტყვით. თითებგაშლილ ხელებს ისე ენერგიულად უქნევდნენ ფეხბურთელებს, კაცს სომხურისა სულ რომ არაფერი გაეგებოდეს, მაინც მიხვდებოდა, რაში იყო საქმე. ყველას ლანძღავდნენ, ყველა ლაფში ამოსვარეს, მწვრთნელები თავიანთ ფეხბურთელებიანად. „არარატის" მეკარე არუთ აბრამიანი კი აქეს და ამკეს. სომხურისა არაფერი გამეგება, მაგრამ მეკარემ მოედანი ბოლომ რომ დატოვა ტაშის გრიალში, ფაქტია. და კიდევ, ისაც ფაქტია, რომ სომხებმა არც ბათუმელებისთვის დააშურეს ტაში.

მანამდე კი „ჰუბტურ „არარატის" ძახილით აიკლეს იქაურობა. პოლონელი მსაჯის კოვალჩიკის სასტვენი, თამაშის დაწყება, მაყურებელთა შეძახილი და როსტომ თორლაშვილის გასროლა ერთი ერთი იყო. პრეს ლოჟაში ადგილს ვიკავებდი, ჯიბიდან ბლოკნოტი და კალამი არც კი ამომეღო, რატომღაც ტრიბუნები, უფრო სწორად, დასავლეთი ტრიბუნა რომ დადუმდა, რაშია-მეთქი საქმე და თავი ავწიე. კუთხურის ხაზსა და საჯარიმოს კუთხეში მინდაძე ემზადებოდა ჯარიმის შესასრულებლად. ძლიერად ჩააწოდა, ყულეჯიშვილისგან ასხლეტილი ბურთი თორლაშვილს მიუგორდა, ამანაც ცხრიანში დაუმიზნა და 0:1. წუთიც არ გასულიყო, ჩუხუა ბურთიანად რომ დაიძრა აბრამიანისკენ, თითქმის ერთი-ერთზე დარჩა, მხოლოდ დარტყმა იყო საჭირო, ფეხიც მოიქნია, მაგრამ მცველმა პირველმა წაჰკრა, ბურთი ძელს გაეცაცუნა და კუთხურზე გადავიდა. სომეხ კოლეგას გადავხედე. პირდაღებული გაშეშებულიყო, ბოლოს, როგორც იქნა, გონს მოეგო, ვაი ჩვენს თავსო, ჩაილაპარაკა და დადუმდა. მიზეზი? კიდევ ერთი რეალური საგოლე მომენტი, რომელიც ჩუხუამ ვერ გამოიყენა. თამაში სულ ორი წუთის დაწყებულია, „ბათუმმა" ერთი შეაგდო, ორიც უნდა შეეგდო. სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა მთლიანად სტუმრებისაა, მასპინძლები რას აკეთებენ, თავად არ უწყიან. ანდრიასიანი სკამიდან წამოხტა, ფეხბურთელებს რაღაც ულრიალა, მაგრამ ვერც ამან გაჭრა. სომხებს ტოგონიძისკენ არც გაუხედავთ, ცენტრი მთლიანად ჩვენებისაა. იქით ჩუხუა აქტიურობს, აქეთ ყულეჯიშვილი, შუაში თორლაშვილი, სიჭინავა და ღლონტი აგორებენ ბურთს. „არარატს" არაფერი მოეკითხება, ერთთავად იმას ცდილობენ, როგორმე შორს მოიგერიონ ბურთი. პირველად მხოლოდ მე-15 წუთისთვის შეაწუხეს ტოგონიძე, როცა ასოიანმა თითქმის ცენტრიდან ხელებში დაურტყა. ეს იყო და ეს. მეკარეს მეტი სამუშაო არ ჰქონდა. თამაში ნელ-ნელა დაწყნარდა, თუმცა უპირატესობა ისევ „ბათუმისაა". ვანო მახარაძეს ზუსტად ისეთივე მომენტი მიეცა, როგორიც გოლისას — ჩაწოდებული ბურთი სომხებს სად წაელოთ, ვერ მოიფიქრეს და ჩვენიანს დაუგორეს, მეორე გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მახარაძის დარტყმული ბურთი აბრამიანმა მოიხელთა. ბათუმელთა გარდა „რაზდანზე" რამდენიმე ქართველიც ვიყავით, ყველანი სუნთქვაშეკრული შევცქეროდით „არარატის" საცოდაობას და „ბათუმის" მეტად ჭკვიანურ თამაშს. ამასობაში 36-ე წუთმაც მოატანა: კვლავ თითქმის ისეთივე მდგომარეობა, როგორიც გოლისას. ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა: მინდაძემ მარცხნიდან კუთხური მოაწოდა, გასაკვირი აღარც იყო, რომ საჯარიმოში რაღაც მოხდებოდა. მცველმაც რატომღაც ბურთი გაატარა და ვანო მახარაძემ ზუსტად იმ კუთხეში გაიტანა, სადაც უნდა დაერტყა. იმ სიტყვებს ვერ ვპოულობ, „რაზდანზე" შექმნილი ვითარება რომ ავხსნა. მასპინძლებისთვის რაღაც ავის მომასწავლებელი ხდება. მაგრამ ისინი მაინც „ჰუბტურს" გაიძახიან, ეტყობათ, იმედი კიდევ აქვთ. განსაკუთრებით მაშინ შეხტნენ, როცა ვანო მახარაძეს პენალტის ნიშნულთან მოულოდნელად ფეხი დაუსხლტა და ბურთი მარტოდ დარჩენილ ტერ-პეტროსიანს დარჩა. აკი ვთქვი, ტოგონიძეს აროიანის დარტყმულის გარდა სამუშაო არ ჰქონდა-მეთქი და ახლაც ასე მოხდა: პრეზიდენტის ძმიშვილმა კარს გადააცილა. თამაში ოდნავ გათანაბრდა, „არარატიც" უფრო გათამამდა, ისევ ტერ-პეტროსიანი შეიჭრა საჯარიმოში და წაიქცა. მსაჯის მოქმედება გაუგებარი იყო, ჯერ პენალტის დასანიშნად მოემზადა, შემდეგ, ეტყობა, გადაიფიქრა, დინჯად დადგა და ფეხბურთელებს თამაში გააგრძელებინა. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა პენალტი, მაყურებლების რეაქცია კი, ბუნებრივია, მიხვდებოდით, როგორიც იქნებოდა. არც სომეხ ფეხბურთელებს დაუკლიათ „ტკბილი" სიტყვები კოვალჩიკისთვის, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რა დღეშიც „ბათუმი" ჩააგდო პოლონელმა არბიტრმა. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: თბილისში, თუნდაც ბათუმში, ფოთში, საქართველოს ნებისმიერ ქალაქში, ნებისმიერი ქართუ-



არც მარეკ კოვალჩიკმა დაგვინდო

ლი გუნდი სომხურს რომ მასპინძლობდეს და ქართველი გულშემატკივარი ისე აღშფოთდეს მსაჯობით, გინება არ დააკლოს, რატომ გვემხრობიო. ასე იყო ერევანში. მაყურებლებმა ცოტა თუ ბევრი ითმინეს, მატჩის ბოლო ნახევარი საათი კი მსაჯის ლანძღვაში გაატარეს. ჯარიმებზე, კუთხურებზე, აუტებზე რაიმეს თქმა აღარც ღირს, გეგონებოდათ, კოვალჩიკს მარჯვენა ხელი გაშეშებული აქვსო — სულ ჩვენი კარისკენ ჰქონდა გაშვერილი. კულმინაცია ის იყო, როცა 66-ე წუთზე ჩეხუამ ორჯერ გააპამპულა ასოიანი და წაიქცა, თანაც როგორ: ასოიანმა ჯერ ფეხი ჩაუდგა, შემდეგ მკერდით დაეჯახა, ბოლოს კი ხელებიც მოიშველია და ბურთი დაატოვებინა. კოვალჩიკი ყოყმანობდა, ისეთივე ჟესტი გააკეთა, როგორიც ტერ-პეტროსიანის შემთხვევისას. ეტყობა, იფიქრა, სომხების სასარგებლოდ თუ არ დავნიშნე, არც ბათუმელებს ვახეირებო. არადა, ამ ორი მომენტის შედარება, მეტი რომ არ ვთქვა, უხერხულია. კოვალჩიკმა ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. რა გაეწყობოდა, ისევ თამაშიდან უნდა გაეტანა „ბათუმს". სხვა შანსი აღარ იყო, რადგან საპენალტოდ ამაზე უკეთესი შემთხვევა მხოლოდ ის იქნებოდა, რომელიმე სომეხს კარის ხაზზე ხელში დაეჭირა ბურთი. სტუმრები ვერც მსაჯმა გატეხა. უიღბლობა გამიგია, მაგრამ ასეთი? ამას უიღბლობა აღარ ჰქვია, ეს სხვა რამაა. არდანიშნულ პენალტამდე ბლოკნოტის ორი ფურცელი მაქვს შევსებული იმ მომენტებით, ჩვენებმა რომ ვერ გამოიყენეს: მეორე ტაიმშიც „ბათუმის" უპირატესობა აშკარაზე აშკარაა, ჩუხუამ ასპროცენტიანი ვერ გაიტანა, მცველმა შეუშალა ხელი, აქამდე „არარატი" ზედმეტად თავდაჯერებულად გამოიყურებოდა, „არარატი" ძალიან სუსტი გუნდია, არბიტრი მთლად ობიექტურად ვერ მსაჯობს, ღლონტმა ასპროცენტიანი მომენტი გააცუდა, 61-ე წუთზე მინდაძემ ჩინებული პასით მცველების ზურგს უკან დატოვა ღლონტი, აბრამიანთან პირისპირ გასულმა ურეალურეს ვითარებაში მეკარეს ფეხში მოარტყა ბურთი. ბოლოს პენალტის თაობაზე და მაყურებლების აღშფოთებაზე მიწერია. ეს, მხოლოდ ის მომენტები ვახსენე, როცა ბათუმელები, უბრალოდ, ვალდებულნი იყვნენ



ხუთშაბათს „რაზდანზე": ჩუხუამ სომხებს თავი აატკია

გაეტანათ. ლოგიკით ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ „ბათუმს" ნამდვილად არ ეწერა შემდეგ ეტაპზე გასვლა. კიდევ ბევრი ჩავინიშნე, ისეთებიც, მცველები რომ სჯობდნენ ბათუმელ ფეხბურთელებს და მსაჯის მოგონილი ჯარიმებით შუა გზაზე რომ წყდებოდა აძათი შეტევები. ჰო, იმის თქმა დამავიწყდა, ჩუხუა ასოიანთან ბრძოლის შემდეგ რომ დაშავდა და კოვალჩიკმა წუთნახევარი მინდვრის განაპირას აყურყუტა, მოედანზე შესვლის უფლებას რატომღაც არ აძლევდა. ბოლო წუთამდე „არარატის" კარის სიახლოვეს შექმნილ მომენტებზეც ვიტყვი: რომ გითხრათ, „ბათუმი" უტევდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი, უტევდა კი არა, შტურმი მოაწყვეს. სომხები ცენტრის ხაზსს ვერ შორდებოდნენ. ჯერ შეყილაძის ისეთივე ჯარიმა მოიგერია აბრამიანმა, ბათუმში მეოთხე გოლი რომ გაუშვა, შემდეგ აფხაზავას ჰქონდა ნაღდი მომენტი, მცველმა შეუშალა, იქვე ისევ ჩუხუამ ჩაუქროლა მცველებს, რომლებიც რატომღაც სამნი გამოიყვანა ანდრიასიანმა, ეტყობა, მართლაც მოსაგებად იყო განწყობილი, მაგრამ ჯუბამ დარტყმა დააგვიანა და მცველს მოარტყა ბურთი. სულ ბოლოს აფხაზავამ კედელი გაუთამაშა მალხაზ მახარაძეს და ძირსდაუშვებლად უძლიერესად დაარტყა. ბურთი მარცხენა ძელს მოხვდა. ისევ ბლოკნოტში ვიხედები: სომხებმა მთელი 90 წუთის მანძილზე სულ სამჯერ თუ ოთხჯერ ჩააწოდეს ბურთი საჯარიმოში და ყველას ტოგონიძე დაეუფლა, ხოლო რაც მეკარემ ვერ აიღო, ასეთები კი ძალიან მრავლად იყო მეორე ტაიმში, ყველა კარს უკან ეშვებოდა. ნებისმიერ შეტევას „არარატი" ჩაწოდებით აგვირგვინებდა, მაგრამ, გეგონებოდათ, ფეხებზე ცალ-ცალი ბუცი ეცვათ და ამიტომ ეჭირებათ ბურთიო. ჩაწოდებები ტყუილად როდი მიხსენებია. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ შემედარებინა. „ბათუმის" ყველა, აბსოლუტურად ყველა ჩაწოდებული რაღაც სახიფათო მომენტით მთავრდებოდა. თავით თუ ფეხით, მუდამ კარისკენ ურტყამდნენ, მაგრამ რად გინდა, ბურთი კარში არ შედიოდა. მატჩის შემდეგ საცოდაობა უკვე „რაზდანზე" მყოფი ქართველების ხილვა იყო. ყველას ცოტა დაგვაკლდა ატირებამდე. ზოგმა კი ცრემლი ვერც შეიკავა. გასაკვირია, აბა, რა არის? თამაში, რომელიც ექვსბურთიანი, შვიდბურთიანი სხვაობით უნდა დამთავრებულიყო, ასეთი ანგარიშით მორჩა. ყველაზე გულსატკენი კი მსაჯის ქმედებაა — „ბათუმს" თითქოს თავისი გასაჭირი არ ეყოფოდა, კოვალჩიკსაც რომ არ ჩაეწიხლა. ოთხბურთიანი სხვაობით მოგებაც კი სანატრელი დაგვირჩა. არადა...

პრესკონფერენცია აღარ ყოფილა, რომც ჩატარებულიყო, იქ შემსვლელი მაინც არ ვიყავი, რადგან შოთა ჭეიშვილს სათქმელი არაფერი ჰქონდა. ვერც ილაპარაკებდა. ერთი წუთით მის ადგილზე წარმოვიდგინოთ თავი და მაშინ მივხვდებით, რა ეთქმოდა ბათუმელთა მწვრთნელს. მე თუ მკითხავთ, ყველაზე მეტად სწორედ მას არ გაუმართლა. გონივრული ტაქტიკა, შემადგენლობის გონივრული შერჩევა, დროული შეცვლები. მეტი რაღაა ფეხბურთი? და ყველაზე მთავარი — მოგება! მოგება სომხეთში, ერევნის „არარატთან", თანაც როგორ, ნიადაგ გულარხეინ, სიტყვით ყოჩაღ და საქმით უნდილ თეისტომთა გამო კი „ბათუმის" 6:2 წყალს გასტანდა.

თანაც, ამათვე გამოისობით „ბათუმმა" 80 ათასი შვეიცარიული ფრანკი დაკარგა, შემდეგ ეტაპზე კი „არარატი" გავიდა. ის „არარატი", რომელმაც შინ ერთი ხეირიანი მომენტიც ვერ შექმნა, ისეთი, მაყურებლის მოწონებას რომ დაიმსახურებდა, ისეთი, რომლის შედეგად ნიკა ტოგონიძე ხელებში კი არა, ნახტომში დაეუფლებოდა ბურთს. „არარატი" საკუთარმა გულშემატკივარმა ლანძღვით გააცილა გასახდელებისკენ. შესვენებაზე ფერდაკარგულმა და თავზეხელშემორტყმულმა ანდრიასიანმა აღარ იცოდა, რა ექნა, მატჩის მერე კი კითხვაზე, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ „არარატის" შემდეგ ეტაპზე თამაშიო, არმადგამამაყებულმა კითხვა შემომიბრუნა: აბა, მაშ თქვენები იმსახურებდნენ თასების თასზე ბრძოლის გაგრძელებასო? „არარატის" მთავარმა მწვრთნელმა ყველაფერი ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობას დააბრალა და საუბარი ასე დაასრულა — რაც იყო, იყო, გამარჯვებულებს, ესე იგი, „არარატს", არ ასამართლებენ და ვეცდებით, დღეს დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ. სწრაფმა პირველმა გოლმა გაგვტეხა, არ გასულიყო პირველსავე წუთზე ის გოლი და მერე ნახავდით, როგორ გაიმარჯვებდა „ბათუმიო". მე კი დავამატებ, რომ ხანდახან გამარჯვებულებსაც მოეთხოვებათ ხოლმე პასუხი და იმასაც თამამად ვიტყვი, კოვალჩიკს ნორმალურად რომ ემსაჯა, მაშინ ვნახავდით აცრემლებულ ანდრიასიანს.

ზემოთ ვთქვი, როგორ დაემშვიდობა „რაზდანის" მაყურებელი თავის გუნდს, ოღონდ მეკარე არუთ აბრამიანი დაინდეს-მეთქი. ჰოდა, მასაც სწორედ იმ დროს გავესაუბრე, ტრიბუნაზე შეკრებილთ პასუხად რაღაცას რომ ეუბნებოდა. მწვრთნელისგან განსხვავებით, მან ეს თქვა: „ბათუმმა" ძალიან კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. გაცილებით უკეთესის, ვიდრე ბათუმში თამაშისას. ჩვენს თამაშზე ლაპარაკიც არ მინდა. ანგარიში სამჯერ მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იღბალმა არ გვიმტყუნა. რა ვქნა, არარატელი ვარ და გამიხარდა, შემდეგ ეტაპზე ჩვენ რომ გავედით. ისე კი „ბათუმი" უფრო ღირსი იყოო — დაასრულა აბრამიანმა.

დასაწერი აღარაფერია. ერთს ვიტყვი მხოლოდ: თამაშის დღეს ერევანში ძალიან ცხელოდა, ტემპერატურა 40 გრადუსსაც აღწევდა. მართალია, თამაშისას ცოტა აგრილდა, მაგრამ არა მგონია, „არარატისთვის" და მისი მწვრთნელისთვის სიცხეს კვალი არ დაეტყო... რატომ? თავად მიხვდებით.

---

გოგი ახვლედიანის

# ჩვენი ფეხბურთის ძალა

ჩვენს ფეხბურთს ძალა აქვს.

ვინმე იფიქრებს, ამის მთქმელი სულ მთლად გადარეულა, დღეს ქართული ფეხბურთი უფსკრულისკენ მიექანება და ეს კაცი რაღაც ძალაზე მეტყველებსო. ვინძლო დაბრმავებულა დინამოელთა მიერ „ბაიერის" თბილისში დამარცხებით და ის კი აღარ ახსოვს, რომ აქაც, თბილისში, ჩვენთან ძლვენით და ცალი ფეხით ჩამოსულმა გერმანელებმა მოგვიგეს ლამის ყველა ბურთი, აგვკიდეს ყვითელი ბარათები, საჯარიმო მოედანში ორად-ორჯერ შეგვასუნინეს და ჩვენების სამი საუცხოო დარტყმა (აქედან ერთი გოლი) დათო მუჯირის ფეხიდან, საჯარიმოს გარედან იყოო.

აი, ამას იფიქრებს და ეგებ მართალიც იყოს, მაგრამ მე მაინც გავიმეორებ — ჩვენს ფეხბურთს ძალა აქვს.

მე ცხადად ვხედავ ამ ძალას, რომელიც დღითიდღე იზრდება და მაღლა იწევს. ვინმეს თუ დაუთვლია, ყოველწლიურად რამდენი ფეხბურთელი ტოვებს საქართველოს, ან თუნდაც თბილისის „დინამოს"?

ქართული ფეხბურთი სისხლისგან იცლებაო, იტყვიან ხოლმე ამის გამო. მე კი მგონია, რომ თუკი რამე ასულდგმულებს დღევანდელ ქართულ ფეხბურთს, ეს მისი ლეგიონია.

ლეგიონი განუწყვეტლივ იზრდება და მდიდრდება ახალი სახელებით. ის ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად და საქმის ცოდნით მიიწევს წინ. ის იზრდება არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც.

ჩვენი ფეხბურთის ძალა სწორედ ეს ლეგიონია.

არცთუ დიდი დრო და ლეგიონი გადამწყვეტ ძალად იქცევა ჩვენს ფეხბურთში. ეგებ ის დროც დადგეს, როცა ჩვენს ლეგიონერებს აღარ ექნებათ უელსელთა სანაკრებო სინდრომი და მათთვის უბრალოდ სამარცხვინო იქნება ისეთ ნაკრებში თამაში, რომელიც მხოლოდ წაგებისთვის იქნება მოწოდებული. და აი, მაშინ მოხდება ის, რაც არაერთხელ მომხდარა ევროპისა და მსოფლიოს საფეხბურთო ცხოვრებაში: ისინი არ ითამაშებენ ნაკრებში, ანდა მოითხოვენ სერიოზულ ნაკრებს.

არა მგონია, უელსელებს ირლანდიელებზე ნაკლები ფეხბურთელები ჰყავდეთ. ჯერ მარტო გიგზი რად ღირს, რომლის გამოც ფოგთსი ოხრავს, ნეტავ გერმანელი იყოსო, მაგრამ ჯეკი ჩარლტონმა ერთადერთმა შესძლო იმაზე მეტი, ვიდრე ორმა დუჟინმა დაღლარა უელსელმა მენეჯერმა.

აი, ეს არის საქმე. უელსი ვერ იყენებს თავის ძლიერ ლეგიონს და ამ დღეში ვართ ჩვენც. მაგრამ ჩვენ სამხრეთი ვართ — სხვანაირად გვიდუღს ტვინი. ჩვენ მოგვინდება, უეჭველად მოგვინდება დიდი, ღირსეული თამაში.

დღევანდელ „დინამოსაც", ახალგაზრდულსა და მინიმალურად საშიშს, მუდმივად შეუძლია ღირსეული ტრანსფერების განხორციელება.

განა არ შეავსებენ ჩვენს ლეგიონს იაშკას მოულოდნელი მუხლი, უნიჭიერესი დათო მუჯირი, ლევერკუზენელებთან რომ საოცარი, ე. წ. „ბეზზამაზა" ბურთი მოახვედრა ძელს, ანდა დაუდგრომელი რატი ალექსიძე, ვერა და ვერ რომ ეხამება ჩვენი გუნდის ნელ ტემპსა და ტყუილ გათამაშებას?

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

ლეგიონი გაიზრდება — ის იტყვის თავის სიტყვას, ეს საქართველოა და არა უელსი, ჩვენ გვიყვარს სიტყვის თქმა. მხოლოდ სიტყვაღა დაგვრჩება ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ისიც საკმარისია.

„ბაიერის" დამარცხება არ გაგეხარდაო? იკითხავს ვინმე. როგორ არა. მაგრამ „ბაიერი" გრანდი როდია. არც ჩემპიონთა თასი მოუგია „ხტიაუას" დარად. ეგებ სისულელეს ვამბობ, მაგრამ, მე ის გამეხარდა, რაც პხე-მ გააკეთა ორმოცდაერთ წუთში.

მოვესწრებით ამას? იმედი ვიქონიოთ.

ჩვენს ფეხბურთს ძალა აქვს.

# წმინდა გერმანეს სასწაული

## ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო მატჩების მიმოხილვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იმას, რაც პარიზის „პარკ დე პრენსზე" მოხდა, დიდი ფეხბურთი ჰქვია. ეს იყო კლასის, ნებისყოფის, კაცობის, სურვილის ბრწყინვალე გამარჯვება. „პარკ დე პრენსზე" გამართულმა შეხვედრამ აღფრთოვანება და შური გამოიწვია.

დიახ, შური. აქ დასამალი არაფერია. ყველა ჩვენთაგანს შურის გრძნობა უნდა აღძვროდა და ეჭვი არაა, აღეძრა კიდეც. ჩვენ გვშურს ბედნიერი პარიზელების და ამჯერად არა იმიტომ, რომ მათ ჩვენსავით გაძაღლებული ცხოვრება არა აქვთ, არამედ ოთხშაბათ საღამოს გამო.

საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონისა და რუმინეთის ჩემპიონის ორმატჩიან დუელს, არ უნდა გაგებრაზებინათ, რომ ვუწოდოთ, ალბათ უპრიანი იქნება. თან ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პარიზელები მხოლოდ საკუთარ თავს თუ გაუბრაზდებოდნენ, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს — მთავარია, რომ გაბრაზნენ.

გვახსოვს, მაგრამ მაინც გავიხსენოთ.



სკონტო — ბარსელონა. სილაგაძე სონი ანდერსონს ამუხრუჭებს

REUTERS რეიტერიდან

პირველ შეხვედრაში, რომელიც ბუქარესტში გაიმართა, „პარი სენ ჟერმენმა" ათამაშა ლორან ფურნიე, ფეხბურთელი, რომელიც თურმე არ უნდა ეთამაშებინა, რადგან ადრე ორი ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული და შესაბამისად, ერთი შეხვედრა უნდა გამოეტოვებინა. უეფას, როგორც წესი და რიგია, ფრანგები ამის შესახებ გაფრთხილებული ჰყავდა, მაგრამ მათ ეს დაავიწყდათ. აღიარა კიდეც პარიზელთა სპორტულმა დირექტორმა კლოდ ლე რუამ, ფურნიეს დისკვალიფიკაციის ამბავი უბრალოდ დაგვავიწყდაო. ეტყობა ადამიანებს ყველგან და ყველა დონეზე მოსდით ბედოვლათური შეცდომები, მაგრამ „სენ ჟერმენის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს ამბავი იმთავითვე, ვაჟკაცურად აღიარეს. არ დაუწყიათ ლაჩრული გამოსავლის ძიება, არავისთვის არაფერი დაუბრალებიათ. ვაჟკაცურად აღიარეს და ვაჟკაცურადვე გამოასწორეს შეცდომა.

შეცდომა რომ არა, „პარკ დე პრენსზე" სპექტაკლი არ გაიმართებოდა. ბუქარესტში ფრანგებმა 2:3 წააგეს, შინ ალბათ ასე, 1:0-ს ან 2:0-ს მოიგებდნენ და ჩემპიონთა ლიგაში მაინც მოხვდებოდნენ, მაგრამ რომ გაიგეს, პირველი თამაშის ანგარიში 0:3-ად გადაგვიკეთესო, მათ აზროვნებასა და განწყობაში ძირეული ცვლილება მოხდა. ეს თავმოყვარეობის საკითხი იყო, აბობოქრებული ღირსება პარიზში 4:0-ის მოგებას ითხოვდა.

ჩვენთვის, ქართველებისთვის 4:0-ის ამბავიც ნაცნობია. „ბათუმი" ხომ „პარი სენ ჟერმენის" დღეში იყო ჩავარდნილი, მასაც 0:3-ად გადაუკეთეს პირველი შეხვედრის ანგარიში. თითქოს ასეთ შემთხვევაში, ზოგადი წესის თანახმად, საპასუხო შეხვედრის 3:0 მოგება დამატებით დროსა და შემდეგ პენალტებს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ გაირკვა, რომ უეფას, რბილად ვთქვათ, ახირებული კანონის თანახმად, დასჯილ გუნდს, თითქოს ანგარიშის ავად-გადაკეთება არ ეყოფოდაო, წმინდა 4:0 ჰქონია მოსაგები. ასეთ დროს ისედაც აჯანყებული თავმოყვარეობა მთლად ხელდება და შეუძლებელის შეძლებას ითხოვს.

„პარი სენ ჟერმენმა" შეძლო ის, რაც მილიონობით ადამიანს შეუძლებლად მიაჩნია. მეტიც, 4:0 სჭირდებოდა და 5:0 მოიგო, აუცილებელი ოთხი გოლი პირველსავე ტაიმში გაიტანა. ვინძლო ვინმემ „სტიაუა" ჩანაკად წარმოიდგინოს. მართალია, თუ გუნდი 0:5-ს აგებს, ესე იგი კარგად ვერ თამაშობს, მაგრამ იმ დღეს პარიზელთა წინააღმდეგ კარგად თამაში თითქმის შეუძლებელი გახლდათ. მასპინძლებს რაღაც უხილავი ზურგის ქარიც უწყობდათ ხელს.

ზემოთ ღირსებაზე გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ გარდა ღირსებისა, ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დაბევება დიდ ფულსაც ნიშნავს. ახლა „პარი სენ ჟერმენს" ექვსი თამაში გარანტირებული აქვს, ამ ექვსმა თამაშმა კი შესაძლოა 8 მილიონი ამერიკული დოლარით შეუვსოს სალარო. ამას დაამატეთ ტელეტრანსლაციებით მიღებული შემოსავალი, რეკლამისა და ბილეთების ფული და...

— დიდებული იყო. ჩვენთვის ეს გამარჯვება ჩემპიონობის ტოლფასი გახლდათ. ყველა მწვრთნელი ოცნებობს ისეთ გუნდზე, მე რომ მყავს — განაცხადა მატჩის შემდეგ პარიზელთა თავკაცმა, ბრაზილიელმა რიკარდო გომეშმა, რომელსაც უფრო ხშირად უბრალოდ რიკარდოდ მოიხსენიებენ ხოლმე.

„სტიუას" გოლის ავტორმა ლორან მორისმა რწმენაზე ილაპარაკა: — ვიცოდით, რომ გავიმარჯვებდით. ბევრი თვლიდა, რომ ჩვენ გადაულახავი სირთულის წინაშე ვიდექით, მაგრამ ჩვენ გვწამდა საკუთარი თავის და ჩვენ ეს შევძელით.

— ეს მატჩი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახლდათ. გამარჯვებამ გაგვაძლიერა. ლიგის დაწყებამდე სულ ცოტა დრო რჩება. ჩვენ ყველაფერისთვის მზად ვართ — ეს სიტყვები იმ საღამოს ჰეთ-თრიქის ავტორს, მსოფლიოს ჩემპიონს, ბრაზილიელ რაის ეკუთვნის. რაიმ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა. გარდა გოლებისა, რომელთაგან პირველი პენალტით შეაგდო, მეორე და მესამე კი თანამემამულე ლეონარდოს ჩაწოდებული კუთხურის და ჯარიმის შემდეგ თავურით, მან გუნდურ თამაშსაც დაატყო ხელი. კიდევ ერთი გოლი „მილანიდან" გადასულმა იტალიელმა მარკო სიმონემ გაიტანა.

გოლები მართლაც ნაირნაირი გახლდათ. რაის გატანილები, როგორც მოგახსენეთ, პენალტის, კუთხურისა და ჯარიმის შედეგი იყო, სიმონეს გოლი თავდამსხმელის ოსტატობას მოჰყვა, მორისი კი თანაგუნდელებმა ჩინებული, გამართული, სწრაფი კომბინაციით გაიყვანეს მეკარესთან პირისპირ. საინტერესოა იმ წუთების ჩამოთვლაც, პარიზელებმა აღნიშნული გოლებით რომ გაალამაზეს: 2, 22, 32, 41, 55.

ამგვარად, „პარი სენ ჟერმენი" ჩემპიონთა ლიგაშია, მაგრამ იქ შეიძლება, ლეონარდოს გარეშე მოუწიოს თამაში. პარიზელთა მეორე ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონს „მილანი" ეპატიჟება. ერთი კია, „სტიაუსთან". მატჩის შემდეგ იტალიელებს ხაზინიდან ნავარაუდებზე მეტი თანხის გამოღება მოუწევთ. ახლა ლეონარდო 10 მილიონი დოლარი ღირს.

საფრანგეთიდან რუსეთში გადავინაცვლოთ, სადაც კრემლი აღშფოთებულა. რუსთა ნაკრებს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატისკენ მიმავალ გზაზე უჭირს და მოიპოვებს თუ არა საფრანგეთის საგზურს, დიდმა კითხვისნიშანმა უწყს. ნაკრების გასაჭირს ახლა ჩემპიონთა თასიდან მოსკოვის „სპარტაკის" გამოვარდნაც ზედ დაემატა. მოსკოველებს სლოვაკეთში „კოშიცესთან" 1:2 ჰქონდათ წაგებული. საპასუხოში ვერც გაიტანეს და არც გაუშვეს. მოკლედ, რუსული ფეხბურთის შეფები კრემლში, სპორტის მინისტრთან იყვნენ დაბარებულნი, სადაც წარუმატებლობათა მიზეზებზე და მათი გამოსწორების გზებზე უნდა ესაუბრათ.

ჩვენი სამხრეთელი მეზობლის, თურქეთის საფეხბურთო საქმეები კი ჩრდილოელი მეზობლისაზე უკეთესადაა. „გალათასარაი", წესით იმთავითვეც ლიგაში უნდა ყოფილიყო და წინასწარი ეტაპი მისი სატკივარი არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ „დორტმუნდის" მიერ ჩემპიონთა თასის მოპოვებამ იგი გერმანულ გუნდზე უკან დასწია. სტამბოლში „გალათასარაიმ" შვეიცარიულ „სიონთან" შეხვედრაში პირველი მატჩის შედეგი გაიმეორა, 4:1 მოიგო, ანუ ჯამში 8:2 სძლია შვეიცარიის საბრალო ჩემპიონს და ბუნებრივია, ლიგაში შევიდა. სტამბოლის მატჩში სამი გოლი რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელმა ადრიან ილიემ გაიტანა. მშვიდი პირველი ტაიმი იწურებოდა, ილიემ თანამემამულე იულიან ფილიპესკუს პასით ანგარიში რომ გახსნა, მეორე ნახევარში ილიეს კიდევ ორს ფათიჰ აქიელმა ერთიც დაამატა და 70-ე წუთზე აჰმეთ კუტარას შვეიცარიული გოლის მიუხედავად ქომაგები სიხარულით მეცხრე ცაზე აიყვანა.

ლიგაშია თურქეთის მერე წარმომადგენელიც. „ბეშიქთაშმა" სლოვენიური „მარიბორის" წინააღმდეგობა დასძლია. პირველ თამაშში, სტამბოლში, 0:0 იყო, მაგრამ საპასუხოში თურქებმა 3:1 იმარჯვეს. გოლები მეორე ტაიმში გავიდა, ჯერ იყო 3:0, შემდეგ კი სლოვენმა გრეგორ ზიდანმა თავმოყვარეობისთვის ერთით უპასუხა.

საინტერესო წყვილი გამოდგა „ბარსელონა" — „სკონტო". ესპანეთის ვიცე-ჩემპიონსა და თასთა თასის მფლობელს რიგელების გაცამტვერება ერთი შეხედვით არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ სინამდვილე სხვაგვარად აღმოჩნდა. პირველ შეხვედრაში ლატვიის ჩემპიონმა, რომლის შემადგენლობაშიც ქართველი ფეხბურთელებიც თამაშობენ (სილაგაძე, რეხვიაშვილი, ჩალაძე), „ბარსა" ერთობ გაამწარა, თავიდან ორჯერ უგებდა და რომ არა ბოლო წუთზე გატანილი პენალტი, ფრესაც გამოჰკრავდა ხელს. საპასუხო მატჩის წინ კატალონელთა ახალი და ცნობილი თავკაცი, „აიაქსის" მწვრთნელყოფილი ლუის ვან გაალი ამბობდა, ოღონდ ლიგაში გავიდეთ და 0:0-ითაც ერთობ კმაყოფილი ვიქნებიო. კინაღამ ეგრეც მოხდა. მატჩის ერთადერთი გოლი „ბარსელონაში" „მონაკოდან" ახალგადასულმა ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა 50-ე წუთზე გაიტანა. გოლიდან მოყოლებული საფინალო სასტვენამდე უპირატესობას რიგელები ფლობდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

კიევში სიორენ კოლდინგმა მე-19 წუთზე დალაშქრა „დინამოს" კარი, რითაც „ბრონდბიუს" იმედი ჩაუსახა, იქნებ პირველ შეხვედრაში წაგებული 2:4 გამოვასწოროთო, მაგრამ წვიმიანმა უკრაინულმა ღამემ მეტი გოლის ხილვა არ ისურვა. საერთოდ, დანიელებს მასპინძელთა კართან დიდი შტურმი არ მოუწყვიათ, კოლდინგმა გოლი რომ შეაგდო, იმ პერიოდში იყო რაღაც დანიური ზეწოლის მაგვარი, მაგრამ მან დიდი განვითარება ვეღარ ჰპოვა. საბოლოოდ, ორი შეხვედრის ჯამში კიეველებმა 4:3 მოიგეს და 1995 წლის შემდეგ მოხვდნენ ჩემპიონთა ლიგაში.

„ლიერსმა" კვიპროსის „ანორთოსისს", სადაც, ოდესღაც თემურ ქეცბაია გამოდიოდა, თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე აგემა დამარცხების სიმწარე. ბელგიური და კვიპროსული გუნდების პირველი შეხვედრის ანგარიში 2:0 იყო „ანორთოსისის" სასარგებლოდ, მეორისა კი „ლიერსის" 3:0 გამოდგა. ფამაგუსტელები 69-ე წუთიდან ათი ფეხბურთელით დარჩნენ მოედანზე, რადგან მცველმა დემეტრის იოანუმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. „ლიერსი" ძირითადად უტევდა. პირველი გოლი ფილიპ ჰაგდორენის წაქცევისთვის დანიშნულ პენალტს მოჰყვა. თერთმეტი მეტრიდან ერიკ ვან მეერმა ივაჟკაცა. მეორე ტაიმის მეორე წუთზე ავსტრიელმა რალფ ჰაზენჰუტლმა 2:0 გახადა. მას მეკარის ნიკოს პანაიოტუს მიერ ვერდაჭერილი ბურთი ჩაუვარდა ფეხთ, პანაიოტუ კი იმიტომ ვერ დაეუფლა ბურთს, რომ დავიდ ბროკენმა 15 მეტრიდან ძლიერად დაურტყა. მესამე გოლი კი ჰაგდორენმა შეაგდო. მისი დარტყმული ვლადან ტობიჩს მოხვდა და ასე, ასხლეტით ჩაეშვა პანაიოტუს კარში.

ნორვეგიულმა „რუსენბორგმა" მინი იაკობსენის მიერ პირველ ტაიმში გატანილი ორი და ჰარალდ ბრატბაკის შესვენების შემდეგ დამატებული ერთი გოლით ბუდაპეშტის მტკ-ს 3:1 მოუგო. პირველ შეხვედრაშიც გამარჯვება ნორვეგიელებს ხვდათ — 1:0. პირველი გოლი იაკობსენმა პენალტით შეაგდო, ოღონდ ბადეში გახვევამდე ბურთი ძელს მოხვდა. ორი წუთის შემდეგ მან ბენტ სკამელსრუდის პასი რომ მიიღო, მეტოქის კარიდან ათ მეტრში იდგა. მისი დარტყმული უნგრელი მეკარის, ბაბოშის მარცხენა ძელთან შევარდა. მეორე ტაიმის ბოლოს ბუდაპეშტელმა ატილა კუტორმა. ოცდახუთი მეტრიდან გაისროლა, ბურთი ნორვეგიელ მცველს მოხვდა და ისე გადაკვეთა „რუსენბორგის" კარის ხაზი, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე ბრატბაკმა სხვაობა კვლავ ორ გოლამდე გაზარდა და ამით თამაშის ბოლო სიტყვაც თქვა.

აი, ლობის „ვიძევს" კი კენჭისყრაში არ გაუმართლა, იტალიის ვიცე-ჩემპიონი „პარმა" მისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა. პოლონეთში მოგებულ 3:1-ს კარლო ანჩელოტის ქვეშევრდომებმა 4:0 დაამატეს. პარმელთაგან თავი გამოიჩინა არგენტინელმა ნახევარმცველმა ნესტორ სენსინიმ, რომელმაც ორჯერ თავად გაახარა გულშემატკივარი, ერთხელ კი ფრანგ თანაგუნდელს რეინალდ პედროსს მიაწოდა საგოლე პასი. მეოთხე და სამართალი შეცვლაზე შესულმა ბრაზილიელმა ადაილტონმა გაიტანა.

— ჩემი ფეხბურთელები შეხვედრას გააზრებულად, სწორად მოეკიდნენ და ამით ერთობ კმაყოფილი ვარ. ვამაყობთ, ჩემპიონთა ლიგაში რომ მოვიპოვეთ ადგილი. იმედი მაქვს, იქაც კარგ წარმოდგენებს გავმართავთ — თქვა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრას ესწრებოდა იტალიელთა ეროვნული გუნდის თავკაცი ჩეზარე მალდინი, რომლის მთავარი საზრუნავი ახლა 10 სექტემბერს საქართველოს ნაკრებთან თამაშია. ეტყობა პარმის სტადიონის ტრიბუნიდან „სკუადრა აძურას" მეთაური ქართველთა მძლეველების შერჩევას ცდილობდა.

„სარბიელის" მესვეტე კი ამასწინათ სწერდა: „... მგონია, რომ რაღაც გლაზგოური ჩვენს ფეხბურთშიც იჭრება. აქ სხვა დონე, სხვა გაქანება და სხვა ფულია. ტრადიციაც სხვაა, მაგრამ პრინციპი იგივე გამოდის: პირველი შინ და ბოლო გარეთ".

ისე ყველაფერი აგიხდეთ, ჩვენს მესვეტეს რომ აუხდა. „გლაზგო რეინჯერსი" და თბილისის „დინამო" სიამის ტყუპებივით გამოვარდნენ ჩემპიონთა თასიდან. არც თბილისელები იყვნენ შინ 1:6-ის შემომბრუნებლები და არც გლაზგოელები — 0:3-ის. შვედური „გიოტებორგი" „რეინჯერსს" 0:3-ს ამოაქაჩვინებდა? მერე რა, რომ შოტლანდიელებმა ამ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების ყიდვას 24 მილიონი დოლარი დაახარჯეს.

„რეინჯერსი" 24-ე წუთზე დაწინაურდა. გოლი ნახევარმცველმა ჩარლი მილერმა გაიტანა, რაც საერთოდ არ ხდება ხოლმე. მილერის გოლის შემდეგ „რეინჯერსი" თავის კართან გამაგრდა და ყოველგვარი ფილოსოფიის გარეშე უმარტივეს მოგერიებას შეუდგა. მეორე ნახევარი კი ახალი დაწყებული იყო, შვედებმა ანგარიში რომ გაქვითეს. გლაზგოს გუნდისა და შოტლანდიის ნაკრების გოლკიპერი ენდი გორამი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მთლად ვაჟკაცურად ვერ გამოუვარდა და რობერტ ანდერსონმა უპრობლემოდ მიაღწია საწადელს.

საწადელს მიაღწია ლისაბონის „სპორტინგის" ახალწვეულმა, ბრაზილიელმა ლეანდრო მაჩადომაც, რომელმაც იერუსალიმის „ბეითარის" კარში ორი გოლი შეაგდო. მაჩადოს გოლები მეორე და მესამე გახლდათ, პირველი კი ბულგარელმა ივაილო იორდანოვმა მეხუთე წუთზევე გაიტანა. „ბეითარმა" პირველი გოლის გაშვების შემდეგ ანგარიშის გაქვითვა მოიწადინა, მაგრამ პორტუგალიელთა ბელგიელი მეკარე ფილიპ დე ვილდე სტეფან სალოისა და იოსი აბუკსის დარტყმებს ვაჟკაცურად დაუხვდა. მაშ ასე, „სპორტინგი", ჩემპიონთა თასზე 15 წელი რომ არ გამოსულა, ლიგაშია, რადგან იერუსალიმში პირველი თამაში 0:0 დამთავრდა.

**პაპუნა ძიძია**

### კროაცია 2:2 ნიუკასლი

**კროაცია:** ლადიჩი, მარიჩი, იურიჩი, მალ[illegible], [illegible], [illegible] ([illegible] 73), [illegible], დ. სიმიჩი, ხარიჩი ([illegible] სიმიჩი 79), ცვიტანოვიჩი, [illegible] (ტომასი 97)

**ნიუკასლი:** გივენი, ბარტონი, ბერესფორდი (გილესპი 84), პისტონე, ალბერი, პირსი (მაუი 30), ბეტი, უოტსონი, ლი, ტომასონი (ქეცბაია 101), ასპრილია

0:1 ასპრილია (44 პ), 1:1 დ. სიმიჩი (59), 2:1 ცვიტანოვიჩი (90), 2:2 ქეცბაია (120)

გაძევება: იურიჩი (43)

ეს თამაში იყო ტრიუმფი და იმავდროულად უაზრობა — წერდა „თაიმზი".

„ნიუკასლ იუნაიტედმა" ძლივს დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა შეუძლია, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ „ნიუკასლი" ლიგის კენჭისყრაში მონაწილეობდა. კლუბის მფლობელი ჯონ ჰოლი გარანტირებული ექვსი თამაშისგან მიღებულ მილიონებს დაითვლის (მარტო ტელეტრანსლაციებით „ნიუკასლს" 10 მილიონი გირვანქა შეუვა), მაგრამ როგორ მიაღწია გუნდმა აქამდე? მას ორმატჩიან დუელში ორბურთიანი უპირატესობა ჰქონდა და მთელი ტაიმის განმავლობაში მოედანზე ერთი ფეხბურთელით მეტი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, პენალტებამდე წამები რომ რჩებოდა, მაშინღა მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

ის, რომ „ნიუკასლი" ურთულესი მდგომარეობიდან გამოძვრა, მისი ქართველი ნახევარმცველის, თემურ ქეცბაიას დამსახურებაა. ქეცბაია ის კაცია, რომლის ოსტატობა ისევე ბრწყინავს, როგორც მისივე თავი. ის მოედანზე რომ შევიდა, თამაშის 101 წუთი უკვე გასული იყო, ხოლო დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ისეთი რამ გააკეთა, რითაც დაამტკიცა, რომ ინგლისში ტყუილად არ ჩაუყვანიათ.

ყველაფერი ერთმა შეცდომამ გამოიწვია. ათ კაცამდე შეთხელებული ზაგრებელები, პენალტების მოლოდინში. ბურთს თავისი საჯარიმოს მისადგომებთან აგორავებდნენ. სწორედ ის ბურთი დაეკარგათ და იგი ბეტიმ ჩაიგდო ხელთ. მან სწრაფად მოძებნა ასპრილია, კოლუმბიელმა კი საჯარიმოში ქეცბაიას დასარტყმელი პოზიცია გამოუნახა.

ცხადია, ასეთი რამ არ მოხდებოდა, ძირითადი დროის ბოლო წუთზე ნიუკასლელებს უფრო ყურადღებით რომ ეთამაშათ. მათ მონდომებაში ეჭვი არავის





ზაგრებში ბარტონი შეტევისთვისაც იცლიდა

REUTERS ზაგრებიდან

ეპარება, მაგრამ ტექნიკა და დაცვის ოსტატობა უთუოდ აკლდათ.

ხორვატები ადრეულ გოლს იმსახურებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა. შემდეგ კი შეი გივენის ოსტატობის წყალობით „ნიუკასლის" კარში გოლის გატანა გაძნელდა. ეს სირთულე საშინელებად იქცა, როდესაც იონ დალ ტომასონი საჯარიმოში წაიქცა, რითაც არა მხოლოდ პენალტი და სტუმრად გატანილი გოლი, არამედ იურიჩის გაძევებაც მოინადირა.

მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმში გამოჩნდა, რომ ინგლისელები დიდი ევროპული შეჯიბრებისთვის მთლად მზად არ არიან. მათ რიცხობრივი უპირატესობა უბრალოდ ვერ გამოიყენეს და არათუ ერთი, ორი გოლი გაუშვეს, თანაც მეორე ძირითადი დროის ბოლო წუთზე გავიდა. თავად დალგლიში გახლდათ აღშფოთებული თავისი გუნდის უუნარობით.

— ეს სერიოზული გაკვეთილი იყო. თამაში 90 წუთზე უნდა დაგვემთავრებინა და საამისოდ რამდენიმე მომენტიც გვქონდა — თქვა მან.

ზაგრებელთა პირველი გოლი დაცვის ბრალი იყო. დარიო სიმიჩს საშუალება მიეცა ექვსი მეტრიდან თავური დაერტყა. მეორე უარესი გახლდათ, რადგან დრო იწურებოდა. შეცდომა ბეტიმ დაუშვა, ცვიტანოვიჩმა ამით ისარგებლა, საჯარიმოში შეიჭრა და მარცხენა ფეხით გივენს მთელი საღამოს გარჯა წყალში ჩაუყარა.

იმედი ერთია, „ნიუკასლმა" ზაგრების გაკვეთილი სწრაფად უნდა შეისწავლოს.

From MARTIN SAMUEL
Zagreb 2 Newcastle 2 (aet)
(Newcastle win 4-3 on agg)

**TEMUR KETSBAIA fired Newcastle to European glory here in Zagreb.**

The Georgian netted in the last seconds of extra time to give the Toon Army an amazing win in

# Asp and Temur hammer Croats

# Ketsbaia answers Newcastle's call

ქეცბაია ნიუკასლელთა გმირი გახდა. თემურმა ეს ერთ წამში შეძლო და ინგლისურ პრესაში სათაურების მთავარ მოქმედ პირადაც იქცა. აქაურ გაზეთებს სათაურებად მუდამ ჩაწნულ-ჩაგრეხილი, მათ ენაზე ჩინებული, სათარგმნელად კი უვარგისი ფრაზები აქვთ. ამიტომაც ქართულად მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შინაარსს თუ ვიტყვით. ყველაზე მარტივი „თაიმზს" ჰქონდა: „ქეცბაია „ნიუკასლის" ვედრებას ეხმაურება", დანარჩენები კი მტერმა თარგმნოს. ერთს დავძენ — მათ უმრავლესობაში თემური გმირადაა მოხსენიებული.

კენი დალგლიში „სანში" გამოქვეყნებულ წერილში ამბობს — როგორც ფეხბურთელსა და მწვრთნელს, გაწამაწია თამაშებში მონაწილეობა როგორ არ მიმეღო, მაგრამ აქამდე ასეთი არაფერი მენახაო და იქვე ამატებს, რომ ქეცბაიამ „ნიუკასლში" პირველი გოლის გასატანად საუცხოო მომენტი შეარჩია.

ბუნებრივია, ყველა გაზეთი წავიკითხე, რომელიც „კროაცია" — „ნიუკასლის" თამაშს ეხმაურებოდა, მაგრამ ის, რომ გადამწყვეტი გოლის გატანისთვის თემურს პრემიად 25 ათასი გირვანქა გამოუწერეს, მხოლოდ „ნიუკასლის" საკლუბო გაზეთიდან შევიტყვე, მათმა თავგამოდებულმა ქომაგმა, ჩემმა ლონდონელმა მეზობელმა რომ შემომიტანა.

THE SUN, Thursday, August 28, 1997

**SunSpor**

# Hero Kets nets £10m jackpot for Toon Army

From MARTIN SAMUEL: Zagreb 2 Newcastle 2 (aet)
(Newcastle win 4-3 on agg)

**TEMUR KETSBAIA scored a goal worth £10million to Newcastle here in Zagreb last night.**

Ketsbaia netted in the last minute of extra time to send the Toon Army through to the Champion

# ნიუკასლმა მილიონები იშოვა, ქეცბაიამ კი 25 ათასი და გმირობა

ვიცოდი, „ნიუკასლი" ზაგრებიდან შინ იმავე ღამეს ჩარტერული რეისით რომ ბრუნდებოდა. ჰოდა, მატჩის გმირს გამოძინება ვაცალე და ხუთშაბათს შუადღეზელა შევეხმიანე. უპირველესად, ცხადია, მივულოცე. მივულოცე იმათი სახელითაც, თამაშის ღამეს თურმე „სარბიელში" რომ რეკავდნენ და, თემურმა რა ქნაო, კითხულობდნენ. მერე თამაშის აღწერაც ვთხოვე.

— ორი კვირის წინაც ვამბობდი, „კროაცია" მეტად ძლიერი გუნდია-მეთქი. ასეთი ყაიდის გუნდებთან სტუმრად თამაშისას მთავარია, პირველი 15-20 წუთი გაძლო და არ გაუშვა. ჩვენ ეს შევძელით, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა ძალიან კარგად ითამაშეს.

**— ძირითადში რატომ არ იყავი?**

— წინ ორი კაცი გვყავდა — ასპრილია და ტომასონი. ეს უკვე საკმაო ძალაა, ამიტომ დალგლიშმა ჩემს მაგივრად, სეზონში პირველად, პერსონალურ მეურვეობაში გამობრძმედილი ბარტონის დაყენება არჩია. მას მასპინძელთა ყველაზე სახიფათო ფორვარდის მარიჩის ჩაკეტვა ევალებოდა და ამოცანას თავი კარგად გაართვა.

**— შენ პენალტის დასარტყმელად შეგიშვა?**

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მოედანზე გასვლის წინ მითხრა — თავდასხმასთან უფრო ახლოს იყავი, დანარჩენი კი შენ იციო. მეტი არაფერი. ისე, მე არც ვაპირებდი პენალტის დარტყმას. სიმართლე გითხრათ, ვფიქრობდი, რომ თერთმეტმეტრიანებში წავაგებდით. მასპინძლები იმ დროისთვის უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყვნენ — აგებდნენ, კაცი გაუგდეს, მაგრამ შეძლეს და ორი გოლი გაგვიტანეს. კარგია, რომ პენალტებს ავცდით.

**— და ეს შენი წყალობით...**

— ჩემი და ასპრილიასი. ყველაფერი წამებში მოხდა — ფაუსტინომ პასი მომცა და მეც დავარტყი. ერთადერთი, რაც იმ მომენტიდან მახსოვს, ისაა, რომ მეკარე ოდნავ ადრე დაეცა — ალბათ ეგონა, შორეულ კუთხეში დავურტყამდი.

**— „ნიუკასლმა" ძეგლი უნდა დაგიდგას...**

— ხუმრობა იქით იყოს და ამ გოლის მნიშვნელობა „ნიუკასლისთვის" მართლაც დიდია. ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ ეს გოლი კლუბის ისტორიაში შევა — „ნიუკასლი" ხომ პირველად თამაშობს ჩემპიონთა თასზე და პირველ ჯერზევე ლიგაში მოხვდა. ამასაც რომ თავი გავანებოთ, ამ გოლმა კლუბი ერთობ ახეირა და ახალი მილიონები აშოვნინა.

**— ალბათ ეს გოლი შენს კარიერაშიც უმნიშვნელოვანესია.**

— რა თქმა უნდა. ის ისევე არასდროს დამავიწყდება, როგორც 1994 წლის 16 ნოემბერს უელსის კარში გატანილი პირველი გოლი. მაშინ საქართველოს ეროვნული გუნდის პირველი ოფიციალური გოლის ავტორი გავხდი. ასე რომ, ამ ორ გოლს ჩემს კარიერაში ერთნაირი, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

**— ერთმა გაზეთმა დაწერა, აწი ქეცბაიამ სულ რომ აღარ ითამაშოს, „ნიუკასლის" ისტორიაში ღირსეულ ადგილს მაინც დაიკავებსო.**

— ცხადია, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ. დღეს დილიდან უკვე „ლივერპულთან" საკვირაო თამაშზე ვფიქრობ. კარგია, რომ მათ ბოლო ტურში მოიგეს და შედარებით დაწყნარდნენ, თორემ გიჟებივით იქნებოდნენ. აი, კვირის მერე კი ჩემს გონებას მთლიანად იტალია დაიკავებს.

**— ბოლოს ერთსაც გკითხავ: ზაგრებიდან მომავალ თვითმფრინავში მოგება როგორ აღნიშნეთ?**

— უზომოდ გახარებულები კი ვიყავით, მაგრამ ზეიმის თავი, ასეთი მძიმე მატჩის მერე, აღარ გვქონდა და გვეძინა. აი, კლუბის თავკაცობამ კი მოგება გვარიანად დაასველა.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

# REAL COOL FOR KETS
# Hero Temur in at death as Geordies snatch glory



REUTERS ზაგრებიდან

# გოლები მიჰქრიან ქარდაქარ

## თასების თასის [illegible] მატჩების მიმოხილვა

Cup Winners' Cup

იყო დრო, როდესაც ევროპაში სამი ძლიერი საკლუბო შეჯიბრება იმართებოდა: ჩემპიონთა თასი, უეფას თასი და თასების თასი. ახლა სხვა ეპოქაა, ჩემპიონთა ლიგამ ძლიერი გუნდები და მილიონობით დოლარი შეისრუტა, რამაც ყველაზე მეტად თასების მფლობელთა თასს დაასვა სიღარიბის დამღა. ამ სიღარიბეში მხოლოდ ფულს არ ვგულისხმობთ, აქ სათამაშო კლასის გაღარიბება გვაქვს მხედველობაში.

დღეს, თასთა თასიდან, მავანთა დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო „ბათუმიც" გამოვარდა და ერთადერთ, მკრთალ ინტერესად ისღა გვრჩება, „ჩელსი" მოიპოვებს ჯილდოს თუ „შტუტგარტი". სხვა ვინ უნდა შეეცილოს ინგლისის და გერმანიის თასების მფლობელებს? „ვიჩენცა" იტალიიდან და „ბეტისი" ესპანეთიდან. დანარჩენები, კერკრადეს „როდები" და ვარშავის „ლეგიები" არიან. მოკლედ ძლიერები და იღბლიანები ჩემპიონთა ლიგაში არიან, უბრალოდ ძლიერები და მათთან მიახლოებულნი უეფას თასზე, თასების თასზე კი... „შელბურნს" იმედი ჰქონდა, რომ „კილმარნოკს" თუნდაც 1:0-ს მოუგებდა და იქ წაგებულ 1:2-ს გამოასწორებდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ის კი არა, თითქოს შეხვედრის მესამე ტაიმი დაიწყოო, ინიციატივა ისევ „კილმარნოკმა" იგდო ხელთ და მასპინძლები საკუთარ კარს მიაჯაჭვა. აქ ირლანდიურმა ქარმაც ლალატი ჩაიდო გულში და შოტლანდიელებს ხელის შეწყობა დაუწყო. უტევდნენ „კილმარნოკის" მოთამაშეები, ცდილობდნენ ქარის ძალა გამოეთვალათ, თავის სამსახურში ჩაეყენებინათ, ის კი ხან აქეთ გადაუგდებდა ბურთს, ხან იქით. რას იზამ, ქარმა თამაში კარგად არ იცის. და მაინც, საფეხბურთო კლასი ისეთი რამაა, თუ ქარმაც ხელი შეუწყო, იმარჯვებს — შოტლანდიელებმა მე-20 წუთზე გახსნეს ანგარიში. ბილი ფინდლიმ ჯიმ მაკინტაირს საგოლე პასი მიაწოდა, მან კი 20 მეტრიდან ბურთი მასპინძელთა გოლკიპერს, ალან გაფს გადაუგდო თავზე.



ლეგია — გლენავონი. იბრძვიან გრენი და ზელინსკი

REUTERS ვარშავიდან

ქარი სიხარულისგან კინაღამ გადაირია, მეორე გოლიც მოუნდა. მაკინტაირმა 30-ე წუთზე დევიდ ბეგანისა და მისი გადაცემით სახიფათო თაურიც დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა.

მეორე ტაიმში შეტევათა მიმართულება და ქარის გუნებ-განწყობა შეიცვალა. ის ახლა „შელბურნს" მიემხრო, რომელმაც შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში ბრალი „კილმარნოკის" მეკარეს, იუგოსლაველ დრაგო ლეკოვიჩსაც მიუძღვის. მან ბურთის თანაგუნდელისთვის მიწოდება გადაწყვიტა, მაგრამ მეტოქეს, დეიზი ბეიკერს მიაწოდა, უფრო სწორედ კი საკუთარ თავთან პირისპირ გაიყვანა და ბეიკერმაც შეიშნო — 1:1.

ვარშავაში „ლეგიამ" „გლენავონს" უმასპინძლა. მათ პირველ შეხვედრაში 1:1 იყო. ასე რომ, პოლონელებს ნებისმიერი ანგარიშით აწყობდათ გამარჯვება. გაიმარჯვეს კიდეც თანაც 4:0, ოღონდ სანამ თამაშზე ვიტყოდეთ ორიოდ სიტყვას, ჯერ ის აღვნიშნოთ, რომ „ლეგია" „ლეგია დეუ" გახდა. აგიხსნით: ლეგიას ცნობილი ფირმის DAEWOO-ს სახელი დაემატა. თუ რატომ, გასაგებია.

„ლეგია დეუს" ანგარიშის გასახსნელად 73-წუთიანი მომზადება დასჭირდა, მერე კი მიაყოლა და მიაყოლა. აი, როგორ ახსნა ეს „გლენავონის" მწვრთნელმა კოლინ მაკკარდიმ: — ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გვყავს და ორი მათგანი თამაშის განმავლობაში ტრავმის გამო მოედნიდან გავიდა. შესაბამისად, მატჩის მიწურულს მეტოქე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მართლაც, გავიდნენ თუ არა მოედნიდან დაშავებული ლი დოჰერტი და ნაიჯელ ქუიგლი, იაცეკ კაცპრჟაკმა ანგარიში გახსნა. შემდეგ, ორ წუთში ტომაშ სოკოლოვსკიმ მეორე შეაგდო, ბოლოს კი პაველ სკრჟიპეკმა და იმავე სოკოლოვსკიმ იმარჯვეს.

**ბაჩუნა ძიდია**

## თასების თასი. პირველი შესარჩევი წრე
### საპასუხო მატჩები. 28 აგვისტო

Cup Winners' Cup

*შახტიორი (დონეცკი, უკრაინა)* — ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) 3:0 (1:1)
**1:0 ორბუ (25), 2:0 ატელკინი (43), 3:0 კრიზენცოვი (82)**
*ზაგრები (ხორვატია)* — სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) 2:0 (2:1)
**1:0 სოპიჩი (2), 2:0 ბულე (7)**
*ბელშინა (ბობრუისკი, ბელარუსი)* — სადამი (ტალინი, ესტონეთი) 4:1 (1:1)
**1:0 სმირნიხი (3), 2:0 ტიმოფეევი (57), 2:1 რიჟკოვი (69 პ), 3:1 ხლებოსოლოვი (73), 4:1 პუტრაში (75)**
*ვესტმანაეიარი (ისლანდია)* — ჰიბერნიანსი (მალტა) 3:0 (1:0)
**1:0 ჰელგასონი (21), 2:0, 3:0 გუდმუნდსონი (33, 90)**
ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი) — *დინაბურგი (დაუგავპილსი, ლატვია)* 0:1 (0:1)
**0:1 ისაევი (50 პ)**
შელბურნი (ირლანდია) — *კილმარნოკი (შოტლანდია)* 1:1 (1:2)
**0:1 მაკინტაირი (20), 1:1 ბეიკერი (39)**
*ვაშაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი)* — ბალცერსი (ლიხტენშტაინი) 2:0 (3:1)
*ჰაპოელი (ბერ შევა, ისრაელი)* — ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) 2:1 (0:0)
*ლეგია (ვარშავა, პოლონეთი)* — გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) 4:0 (1:1)
*ნაციონალი (ბუქარესტი, რუმინეთი)* — ქეუმბრან თაუნი (უელსი) 7:0 (5:2)
*აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი)* — ტორსჰავნი (ფარერები) 6:0 (1:1)
*ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)* — ჰიკ (ფინეთი) 3:0 (0:1)
*სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)* — ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 2:1 (1:1)
უნიონი (ლუქსემბურგი) — *პრიმორიე (აიდოვშინა, სლოვენია)* 0:1 (0:2)

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

## ევროპა

### იტალია

საქართველოსთან სათამაშოდ „სკუადრა ამურას" თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ ჯერჯერობით შვიდი კაცი გამოიძახა. მთლიან შემადგენლობას კი 2 სექტემბერს დაასახელებს. მიწვეულნი არიან: ჯანფრანკო ძოლა, რობერტო დი მატეო (ჩელსი), ატილიო ლომბარდო (კრისტალ პალასი), ფაბრიციო რავანელი (მიდლსბრო), სტეფანო ერანიო (დერბი), კრისტიან ვიერი (ატლეტიკო), კრისტიან პანუჩი (რეალი).

### ინგლისი

მეკარეები — დევიდ სიმენი (არსენალი), იან უოქერი (ტოტენჰემი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი); მცველები — გარი ნევილი, ფილ ნევილი, გარი პალისტერი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), გრემ ლე სო (ჩელსი); ნახევარმცველები — დევიდ ბეტი, რობერტ ლი (ნიუკასლი), ნიკი ბათი, დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ გასქოინი (გლაზგო რეინჯერსი); თავდამსხმელები — ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლეს ფერდინანდი (ტოტენჰემი), იან რაიტი (არსენალი), სტენ კოლიმორი (ასტონ ვილა), ემილ ჰესკი (ლესტერი).

ჰოდლმა 10 სექტემბერს მოლდოვასთან სათამაშოდ ისეთი ფეხბურთელები გამოიძახა, რომელთა ადგილი ნაკრებში არ მოიძებნებოდა, რომ არა 11 წამყვანი ფეხბურთელის ტრავმები. ახალწვეულთა შორისაა რიო ფერდინანდი, ლესის ნათესავი. თუ მოხდა და „ვესტ ჰემის" მცველმა ნაკრებში ითამაშა, დანკან ედვარდსის შემდეგ იგი უმრწემესი მოთამაშე იქნება. მიუნხენის ცნობილ, კატასტროფაში დაღუპული „მანჩესტერ იუნაიტედის" დანკან ედვარდსი 1955 წელს შოტლანდიელებთან რომ ითამაშა, 18 წლის და 183 დღის იყო. გლენმა რიოზე თქვა, მეტად იმედისმომცემი ბიჭია, ვინძლო დიდი მცველი დადგესო. გუნდშია „ბლექბერნის" სტიუარტ რიპლიც, რომელმაც ნაკრებში ერთადერთხელ, 1993 წელს სან-მარინოსთან 7:1 მოგებულ შეხვედრაში ითამაშა.

### შოტლანდია

მეკარეები — ენდი გორამი (გლაზგო რეინჯერსი), ჯიმ ლეიტონი (აბერდინი), ნილ სალივანი (უიმბლდონი); მცველები — ტომი ბოიდი, ჯეკი მაკნამარა, ტომ მაკკინლი (სელტიკი), კოლინ კალდერვუდი (ტოტენჰემი), კოლინ ჰენდრი (ბლექბერნი), ბრაიან მაკალისტერი (უიმბლდონი), დევიდ ვეირი (ჰართსი); ნახევარმცველები — კრეიგ ბარლი, სიმონ დონელი (სელტიკი), ჯონ კოლინზი (მონაკო), კრისტიან დეილი (დერბი ქაუნთი), დევიდ ჰოფკინი (ლიდსი), პოლ ლამბერტი (დორტმუნდი), გარი მაკალისტერი (ქოვენთრი), ბილი მაკკინლი (ბლექბერნი); თავდამსხმელები — ბილი ვუდსი (აბერდინი), გორდონ დიური, ალი მაკკოისტი (რეინჯერსი), კევინ გალაჰერი (ბლექბერნი).

### ჩრდილოეთ ირლანდია

ტომი რაიტი (მანჩესტერ სიტი), ეიდენ დევისონი (გრიმსბი), დენი გრიფინი (სენტ ჯონსტონი), კოლინ ჰილი (ტრელებორგი), ნილ ლენონი (ლესტერი), ჯიმი ქუინი (ბლეკპული), კევინ ჰორლოკი (მანჩესტერ სიტი), იან ნოლანი (შეფილდ უენსდეი), იან დოუი (ვესტ ჰემი), კიტ გილესპი (ნიუკასლი), პატ მაკგიბონი (ვიგანი), ჯიმ მეჯილტონი (საუთჰემპტონი), სტივ მოროუ (ქუინზ პარკი), ჯერი ტაგარტი (ბოლტონი), გერარდ მაკმაჰონი (სტოკი), იუენ ჯენკინსი (ჩესტერი), სტივ ლომასი (ვესტ ჰემი), ფილიპ მერლინი (მანჩესტერ იუნაიტედი).

### ხორვატია

ხორვატიის ნაკრებს 6 და 10 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორი მეტად პრინციპული მატჩი ელის ბოსნია-ჰერცეგოვინასთან და დანიასთან. ნაკრების მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა გუნდში სპლიტის „ჰაიდუკის" ფორვარდი ტომისლავ ერშეგი პირველად მიიწვია, მაგრამ „შტუტგარტში" მოთამაშე ზვონიმირ სოლდოს და „პარმას" მარიო სტანიჩის დაძახება საჭიროდ არ ჩათვალა.

მეკარეები — დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), ტონჩი გაბრიჩი (ჰაიდუკი), მარიან მრმიჩი (ბეშიქთაში); მცველები — რობერტ იარნი, სლავენ ბილიჩი (ევერტონი), ნიკოლა ერკანი (რაპიდი), იგორ შტიმაცი (დერბი ქაუნთი), დარკო ბუტოროვიჩი (სპორტინგი), გორან ჯურიჩი, კრუნოსლავ ჯურჩიჩი, დარიო სიმიჩი (კროაცია); ნახევარმცველები — ზვონიმირ ბობანი (მილანი), ალიოშა ასანოვიჩი (დერბი ქაუნთი), ნიკოლ კოვაჩი (ლევერკუზენი), ნუნად პრალია (სევილია), ზორან მასიჩი (ბოხუმი), რობერტ პროსინეჩკი, სილვიო მარიჩი (კროაცია); თავდამსხმელები — დავორ შუკერი (რეალი), ალენ ბოკშიჩი (ლაციო), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია), რობერტ შპანერი (მონაკო), იგორ ცვიტანოვიჩი (კროაცია), ტომისლავ ერშეგი (ჰაიდუკი).

### შვეიცარია

შვეიცარიის ნაკრებს ზედიზედ ორი მატჩი აქვს სათამაშო ფინელებთან და ნორვეგიელებთან. პირველ შეხვედრაში შვეიცარიელებს ორი წამყვანი ფეხბურთელი — „კაიზერსლაუტერნის" ჩირიაკო სფორცა და „შტუტგარტის" მურატ იაკინი გამოაკლდებათ, რადგან მათ ბოლო მატჩში უნგრეთთან მეორე გაფრთხილებები მიიღეს. თუ მწვრთნელმა მოისურვა, ისინი ნორვეგიასთან ითამაშებენ.

მეკარეები — სტეფან ლემანი (ლუცერნი), ანდრეას ჰილფიკერი (არაუ); მცველები — სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სებასტიან ჟუნერე (ქსამაქსი), კრისტოფ ორელი (ლოზანა), მარკო უოლკერი (მიუნხენ 1860), რაფაელ ვიკი (ვერდერი), სტეფან ვოლფი (სიონი), მარკო ცვაისიგი (სტ. გალენი); ნახევარმცველები — მარიო კანტალუპი, სებასტიან ფურნიე (სერვეტი), იოჰან ლონფატი, სებასტიან ზამბაზი (სიონი), რეგის როტენბულერი (ქსამაქსი), დარიო ზუფი (ბაზელი); თავდამსხმელები — სტეფან შაპიუზა (დორტმუნდი), პატრიკ დე ნაპოლი (არაუ), ადრიან კრუზი (ქსამაქსი), დევიდ სესა (სერვეტი), კუბილაი თურქილმაზი (გრასჰოპერი).

# მოურჯულებელი



იან რაიტი

რამდენიმე კვირის წინ დაწყებულ ინგლისის ჩემპიონატში ყველაზე დაძაბული მატჩი ბოლო მეოთხე ტურში გაიმართა, რის გამოც სადისციპლინო კომისიას დამნაშავეთა დასჯა მოეთხოვა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: „ლესტერის" სტივ უოლშმა იმ დროს, ანგარიში 2:1 იყო „არსენალის" სასარგებლოდ, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე გააყაიმა. ამას ადრე შეცვლილი იან რაიტის და მასთან ერთად ლონდონელთა მთელი გუნდის აღშფოთება მოჰყვა. მეთოფეები ჩხუბისთავი რაიტის თავკაცობით შეიჭრნენ მოედანზე და თამაში რამდენიმე წუთით შეაყოვნეს. ფეხბურთის ასოციაციამ „ლესტერის" და „არსენალის" თავკაცებს ერთი დღე მისცა — უოლშს, რაიტს, ვიეირას და „მეთოფეთა" მწვთრნელის თანაშემწეს, პეტ რაისს განაჩენი გამოუტანეთ, თორემ, მერე საქმეში თავად ჩავერევიო. ლონდონელებს ბრალი მსაჯის, გრემ ბარბერის სიტყვიერ შეურაცხყოფაში მიუძღვით, უოლშს კი მეტოქეთა უხამსი სიტყვებით მოხსენიებაში. თავად არბიტრმა განაცხადა, რაც ბოლო ათ წუთში გადამხდა, კარიერის მანძილზე არსად შემმთხვევიაო. მოჩხუბართ სავარაუდოდ რამდენიმე ათასი გირვანქით დააჯარიმებენ, ფეხბურთელებს კი თამაშებსაც გამოატოვებინებენ.

ბოლოს ორიოდე სიტყვა რაიტზე: 33 წლის ფორვარდი, ჩემპიონატში სამი გოლი გატანა რომ მოასწრო, შერისხულთაგან ყველაზე მოურჯულებელია. იგი ფეხბურთის ასოციაციისგან არაერთხელ ყოფილა დასჯილი, თუ დისკვალიფიცირებული, ერთხელ კი 25 ათასი დოლარის გადახდაც დაეკისრა. ამის გამო იგი ისტორიაში მოხვდა, როგორც ყველა დროის ერთ-ერთი მკაცრად დასჯილი ფეხბურთელი. ამ ზაფხულს ასოციაციამ იანი კვლავ გააფრთხილა, ანცობისა და ხულიგნობისათვის თავი დაენებებინა. წინაღმდეგ შემთხვევაში არნახულ სასჯელს დაჰპირდა — 12 თამაშით დისკვალიფიკაციას.

## ინგლისი

IV ტური

**ევერტონი 0:2 მანჩესტერი**

**ევერტონი:** საუთოლი, ბარეტი (ტომასი 66), ფილანი, უილიამსონი, უოტსონი, ბილიჩი, შორტი (ბრენჩი 46), სტიუარტი, სპიდი, ფერგიუსონი, ბარმბი (ოსტერი 66)
**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, პალისტერი, კინი, ბერგი, სქოულზი, ბათი, ბექემი, გიგზი, შერინგემი (კოული 79)
**0:1 ბექემი (29), 0:2 შერინგემი (51)**

.. ალექს ფერგიუსონმა ლივერპულელ კოლეგა ჰოვარდ კენდალს სიურპრიზი მოუმზადა რაიან გიგზის თავდასხმაში გამწესებით. ინგლისის ჩემპიონებს ფორვარდებში ერთობ უჭირთ და ამიტომაც იყო, ნახევარმცველმა გიგზმა წინ რომ გადაინაცვლა, გამთამაშებლის ფუნქცია კი საფრანგეთის ოთხთა ტურნირზე ჰოდლისგან ერთობ ნაქებმა პოლ სქოულზმა იტვირთა. ინგლისის და უელსის ნაკრების ლიდერების შეწყვილებამ „ევერტონის" მცველებს ბლომად ოფლი აღვრევინა, მაგრამ თამაშის დასაწყისი სტუმართ უფრო მეტ ხიფათს უქადდა, ვიდრე მასპინძლებს, თუმცა, ფერგიუსონის გუნდის დაცვამ როი კინის მეთაურობით შეძლო და უილიამსონის, სპიდის და სტიუარტის შეტევები შმაიხელამდე არ მიუშვა, ბარმბისა და სპიდის ორი დარტყმული კი მეკარის მძლავრ მკლავებში მოექცა. მალე მანჩესტერელები დაწყნარდნენ და როგორც ჩემპიონებს შეჰფერით, ისე ათამაშდნენ. „ევერტონის" დაცვაში, დასაწყისში ერთი შეხედვით შეუვალი რომ ჩანდა, ნაპრალებიც გაჩნდა, რაც „ალისფერებმა" ბრწყინვალედ გამოიყენეს: წელს მეორედ მოთამაშე გარი ნევილმა გრძელი პასით სქოულზი მოძებნა. ამის დარტყმა საუთჰოლმა მოიგერია, თუმცა ბურთთან პირველი კვლავ სქოულზი იყო. „ევერტონის" მცველები მისკენ გაქანდნენ, ბექემი კი მიატოვეს და დევიდმა ისინი უყურადღებობისთვის დასაჯა კიდეც — თაურით შეაგდო. ანგარიშის გახსნამ ისედაც სწრაფად მოთამაშე სტუმრები უფრო გაახელა. მაგრამ ამით მხოლოდ დაიღალნენ, შედეგი კი არ ჩანდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, რომ ღირშესანიშნავი ამბავი მოხდა — ტედი შერინგემმა, რაც „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს, პირველად შეაგდო. მასპინძლებს ორი გოლის გაქვითვა რომ არ ძალუძდათ, ცხადზე უცხადესი იყო და ამიტომ ფერგიუსონმა შერინგემის ნაცვლად წელს პირველად ათამაშა ენდი კოული.

**ტოტენჰემი 3:2 ასტონ ვილა**

**ტოტენჰემი:** უოქერი, კარი, სქაილზი, კალდერვუდი, ედინბურგი (მაბატი 59), ფოქსი, ჰაუელსი, სინტონი, კლემენსი, ივერსენი, ფერდინანდი (ფენი 83)
**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, ჩარლზი, სტონტონი, საუთგეიტი, შიმეცა, ტეილორი, დრაპერი, ეჰიოგუ (ჩურჩიჩი 86), თაუნსენდი, კოლიმორი, იორკი
**1:0 ფერდინანდი (6), 1:1 იორკი (27), 1:2 კოლიმორი (58), 2:2 ფერდინანდი (66), 3:2 ფოქსი (77)**

.. 1986-87 წლების სეზონი: „ასტონ ვილა" ჩემპიონატის პირველ სამ ტურში მარცხდება, საბოლოო ჯამში კი ინგლისის პირველი დივიზიონიდან (ახლანდელი პრემიერლიგა) ვარდება. 1997-98 წლების სეზონი: „ვილა" „უაით ჰართ ლეინზე" ზედიზედ მეოთხე თამაშს აგებს და არცთუ სასიამოვნო რეკორდს ამყარებს. თუმცა, ბირმინგემელების ერთი დივიზიონით ჩაქვეითებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ამ შეხვედრაში იორკის გოლი სტუმართათვის წლევანდელ პრემიერლიგაში პირველი იყო, თუმცა მანამდე ლონდონელთა ახალწვეულმა ლის ფერდინანდმა მოასწრო და გახსნა ანგარიში. ტაიმი ფრედ კი დასრულდა, მაგრამ მსაჯს კოლიმორის ზედ შესვენების წინ შეგდებული გოლი რომ ჩაეთვალა, მინიმალური უპირატესობა ბირმინგემელებს ექნებოდათ, მაგრამ არბიტრმა ერთ დროს ინგლისის უძვირფასესი ფეხბურთელი სქაილზთან ძალადობაში ამხილა და, ცხადია, გოლიც გააუქმა. მიუხედავად ამისა, კოლიმორმა „ასტონ ვილას" შემადგენლობაში პირველი გოლი მაინც გაიტანა, მაგრამ საბოლოო ჯამში მასპინძლებმა იძალეს. „ტოტენჰემის" სასარგებლოდ ანგარიში შეიძლება გაზრდილიყო კიდეც, საუთგეიტის ჯარიმა ხარიხას რომ არ მოხვედროდა, ანაც ივერსენის თაური — ძელს.

**ლესტერი 3:3 არსენალი**

**ლესტერი:** კელერი, კამარკი, ჯაპი, ელიოტი, პრაიორი, უოლში, იზეტი (კოტი 73), ლენონი, სევიჯი (პარკერი 73), კლარიჯი (ფენტონი 63), ჰესკი
**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ვინთერბერნი, ბოულდი, პარლოუ (ჰიუზი 82), პეტი, გრიმანდი, ვიეირა, რაიტი (ანელკა 78), ბერხკამპი, ოვერმარსი (პლატი 82)
**0:1, 0:2 ბერხკამპი (9, 16), 2:1 ჰესკი (84), 2:2 ელიოტი (92), 2:3 ბერხკამპი (95), 3:3 უოლში (96)**

დენისი აფეთქდა! — ასე ბერხკამპს, რაც იტალიიდან ინგლისში, ანუ „ინტერიდან" „არსენალში" გადაბარგდა, არ უთამაშია. ზედიზედ ორ მატჩში ხუთი გოლი შესანიშნავი შედეგია.

მთლიანად თამაში, კონკრეტულად კი ძირითადი დრო, ჩვეულებრივად წარიმართა, მერე კი... ჯერ მასპინძლებმა გააყაიმეს დაახლოებით 92-ე წუთზე. სამ წუთში, მსაჯმა თამაში რომ არ დაამთავრა, ბერხკამპმა ჰეთ-თრიქი გააფორმა, ამ გოლიდან 38 წამში კი უოლშმა ლონდონელებს ოთხი ტურის შემდეგ „ბლექბერნთან" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად პრემიერლიგის ლიდერთა სამეულში შესვლის შანსი მოუსპო. ასეთ დაძაბულ დასასრულს გართულება მოჰყვა, ამის მიზეზი კი, რაღა თქმა უნდა, იან რაიტი იყო. შეაგდო თუ არა უოლშმა ბურთი, გაშმაგებული რეკორდის მაძიებელი თანაგუნდელებით გარშემორტყმულ გოლის ავტორს მივარდა და საქმის გარჩევა დაიწყო.

**უიმბლდონი 0:2 ჩელსი**

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ბლექველი, ერლი, ეკოკუ (კლარკი 73), გეილი, პერი, ჰოლდსუორსი (იუელი 73), მაკალისტერი, ერდლი
**ჩელსი:** დე გუი, პეტრესკუ, კლარკი, ჟაიზი, ფლო, ლე სო, დაბერი, სინკლერი, პოიეტი, დი მატეო, ვიალი
**0:1 დი მატეო (60), 0:2 პეტრესკუ (64)**

„ჩელსის" სტადიონ „სტემფორდ ბრიჯზე" სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ამიტომ პირველ ოთხ ტურში „ჩელსიმ" მესამედ ითამაშა გასვლაზე. გასვლაზე კი? „ჩელსის" 12 ათასი ფანი თავისიანებს გამარჯვების მოპოვებაში ეხმარებოდა. დი მატეოს გოლამდე გულშემატკივრები უშედეგოდ ირჯებოდნენ — სტუმარ-მასპინძელს დიდი ვერაფერი თამაში გამოსდიოდა და ბურთი ძირითადად ცენტრში ტრიალებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ გაცილებით მაღალი კლასის გუნდმა იმარჯვა.

**საუთჰემპტონი 1:0 კრ. პალასი**

**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, დოდი, ტოდი, მეჯილტონი, მონკუ, ბენალი, სპედინგი, ჰიუზი, მედისონი (ნილსონი 80), იოჰანსენი (ევანსი 66), დევისი
**კრისტალ პალასი:** მილერი, მუსკატი (ფრიდმენი 75), გორდონი, რობერტსი, ტატლი, ედვორთი, ლინიგენი, როჯერი, დეიერი, უორჰერსტი (შიპერლი 82), ლომბარდო
**1:0 დევისი (57)**

# ლესტერული 6 წუთი

მასპინძლებმა 1938 წლის სეზონში ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ ოთხი მარცხში [illegible] განიცადეს, რაც კლუბის ანტირეკორდი [illegible] ამ თამაშის წინ [illegible] „მილწევის" განმეორების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ შარშან სეზონის მიწურულს „ჩესტერფილდიდან" 750 ათასი გირვანქად შეძენილმა კევინ დევისმა გადაარჩინა. მასპინძლებს მისი გოლის და 51-ე წუთზე იოჰანსენის დაახლოებით 10 მეტრიდან აცილებული დარტყმის გარდა სახიფათო იერიში მილერის კარზე არ მიუტანიათ. აი, შარშან პირველ დივიზიონში მეექვსე ადგილზე გასული, მაგრამ პრემიერლიგაში მაინც აღზევებულ „კრისტალ პალასს" კი მარტო პირველ ნახევარში ჰქონდა ანგარიშის გახსნის სამი ურეალურესი შესაძლებლობა, მაგრამ...





შერინგემმა „იუნაიტედში" პირველი გოლი იზეიმა, ბერხკამპმა კი პირველი არსენალური ჰეთ-თრიქი

**ქოვენთრი 1:1 ვესტ ჰემი**

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუსი, ვილემსი, ბრინი, სალაკო, ტელფერი, სოლტვედტი (ბოულენდი 66), რიჩარდსონი, ჰაკერბი (ლაითბერნი 75), დაბლინი
**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრეიქერი, ანსოურსი, რიპერი, ლომასი, ჰარტსონი, ბერკოვიჩი, ლაზარიდისი, კიტსონი (დაუი 84), მონკური, ფერდინანდი
**1:0 ჰაკერბი (38), 1:1 კიტსონი (64)**

„ვესტ ჰემმა", ლონდონელთა მწვრთნელ ჰარი რედნეპის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, მეტად საჭირო ქულა მოიპოვა. „ვესტ ჰემს" მოგებაც შეეძლო: ჯერ ერთი, ჰაკერბის გოლი მას შემდეგ გავიდა, რაც მცველებმა შეუთანხმებლად ითამაშეს და აშკარად შეცდნენ, მეორეც: ბოლო ათ წუთში რიო ფერდინანდმა ორჯერ ვერ ივარგა.

**ბარნსლი 2:1 ბოლტონი**

**ბარნსლი:** უოტსონი (ლეჯე 36), იდენი, ეპლიბი, მოუზისი, დე ზიუ, ხრისტოვი (ლიდელი 78), ჰენდრი, ბერნანდი, მარსელი (ბალოქი 63), თინქლერი, რედფერნი
**ბოლტონი:** ბრენეგენი, ელიოტი (მაკგინლი 86), ფრენდსენი, ტაგარტი, პოლოკი (იოჰანსენი 64), სელერსი, ტომპსონი, ფილანი, ბერგსონი, ბერდსლი, ბლეიქი
**1:0 თინქლერი (12), 1:1 ბერდსლი (31), 2:1 ხრისტოვი (47)**

„ჩელსისთან" 0:6 განადგურების შემდეგ პრემიერლიგაში პირველად მოთამაშე „ბარნსლიმ" გასულ სეზონში პირველი დივიზიონის გამარჯვებულის ძლევით შელახული პრესტიჟი აღიდგინა. დასაწყისში „კალიარიდან" შეძენილმა ერიკ თინქლერმა იზეირა, მერე ბერდსლიმ კლუბში პირველი გოლი შეაგდო, თუმცა მაკედონიელმა გეორგ ხრისტოვმა მასპინძლები შინ პირველად ამარჯვა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:3 | 10 |
| მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 10 |
| ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 16:3 | 9 |
| არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| ლესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ნიუკასლი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| კრ. პალასი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ტოტენჰემი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ბარნსლი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:15 | 6 |
| ლივერპული | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ქოვენთრი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლიდსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ევერტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 25 | 3 |
| უიმბლდონი | 3 | 0 | 2 | 1 | 24 | 2 |
| შეფილდ უენს. | 4 | 0 | 1 | 3 | 5:13 | 1 |
| დერბი ქაუნთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ასტონ ვილა | 4 | 0 | 0 | 4 | 29 | 0 |

# პრემიერლიგა ინგლისელი მსაჯების თვალით

წინა „სარბიელში" უკვე გიამბეთ იმის შესახებ, რომ ლევერკუზენელ ფეხბურთელებთან გასასაუბრებლად მისული მე და ჩემი კოლეგა ონისე შინჯიკაშვილი მოულოდნელად „დინამო" — „ბაიერის" მატჩის ინგლისელ მსაჯთა ბრიგადას გადავეყარეთ. შეხვედრა დაუგეგმავი, მაგრამ სასიამოვნო გამოდგა. მატჩის მთავარი არბიტრი პოლ დარკინი თბილისში ადრეც ყოფილა, კერძოდ კი „დინამო" — „უნივერსიტატეას" მატჩზე მეოთხე მსაჯი გახლდათ. დარკინთან ერთად სასტუმროს ჰოლში მისი ასისტენტები — ალან შეფილდი, მაიკლ დერინგი და ალან დიურსო იმყოფებოდნენ. სასაუბროდ ისინიც მოვიწვიეთ და რადგან გერმანელთა პრესკონფერენციამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, დაახლოებით საათნახევრიანი საუბარი გავაბით. თემა მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ყველაფრით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ ინგლისელი არბიტრების თვალით დანახულ პრემიერლიგას, ფეხბურთელებს და ფეხბურთთან დაკავშირებულ სხვადასხვა ამბებს შემოგთავაზებთ.

## 6:0, 7:2...

პირველი, რაც მათ გვკითხეს, „ბლექბერნი" — „შეფილდ უენსდეის" შეხვედრა როგორ მორჩაო. რომ გაიგეს, 7:2-ია, სახტად დარჩნენ. ასეთ სასტიკ ანგარიშს ისინი, უფრო კი დარკინი, არ მოელოდნენ. ამ უკანასკნელს, როგორც მერე გაირკვა, ამ თამაშზე სანაძლეო ჰქონია დადებული და წაუგია. შედეგით გაოცებულმა შეფილდმა დანანებით თქვა, რა დრო დადგა — პრემიერლიგაში ისეთი ანგარიშებია, ლამისაა, კალათბურთისას დაემსგავსოსო. ჩვენც უფრო ჩავეძიეთ და თავის სათქმელი ბოლომდე თქვა, განა ახლანდელი ჩემპიონატის ადრინდელთან შედარება შეიძლებაო. 70-იანი და 80-იანი წლების უძლიერესი ინგლისური კლუბები „ლივერპული", „ნოტინგემი", „ლიდსი", „ასტონ ვილა", „ევერტონი" გაიხსენა და — აი, თამაშები მაშინ იყო, თუ იყოო, თორემ ახლა დგას ეს „მანჩესტერ იუნაიტედი" და ვერავინ ვერაფერს აკლებს. „ალისფერთა" წარმატებების დაკნინებას სრულიად არ ვაპირებ, წელს სხვა გუნდებიც მოძლიერდნენ, მაგრამ იგივე „არსენალი" და „ჩელსი", ისევე როგორც სხვა მდიდარი კლუბები, ტრადიციულ ფეხბურთს აღარ თამაშობენ, სულისკვეთება იკარგებაო.

## მესაფლავეები

„არსენალი" და „ჩელსი" — ეს ორი კლუბი ინგლისში ყველაზე პოპულარულია. თავის დროზე მეც ვქომაგობდი, მაგრამ ახლა, როცა ჩემს თანამემამულეებს ამ გუნდებმა გასაქანი მოუსპეს, აღარც მაინტერესებს — ასე განგვიცხადა მაიკ დერინგმა, რომელიც ამ ორ ლონდონურ გუნდს ინგლისური ფეხბურთის მესაფლავეებად მიიჩნევს. მან გაიხსენა „ჩელსის" დიდების ხანა — 60-იანი და 70-იანი წლების შესაყარი, „არსენალის" ზეობა და თქვა — თუ პრემიერლიგის თავკაცებმა რამე არ იღონეს, შესაძლოა, მალე ყველა ინგლისური კლუბი ამათ დაემსგავსოს, რითაც, ცხადია, ამ ქვეყნის ფეხბურთის სიკვდილისკენ უმოკლესი გზა გაიკაფებაო. კოლეგას მხარი შედარებით უფროსმა დიურსომ აუბა და მატ ბასბის „მანჩესტერ იუნაიტედი" გაიხსენა. ტკბილად მოიგონა 60-იანი წლები, ბავშვობის ხანა და მეხსიერებაში შემორჩენილი რამდენიმე მატჩი, რომელთა დარიც, მისი აზრით, ახლა იშვიათი სანახავია: „განა შეიძლება, ოდესმე 1968 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი დამავიწყდეს. მაშინ მანჩესტერელებმა „ბენფიკა" გაანადგურეს. ის თამაში გუშინდელი დღესავით მახსოვს, ეგეთი დაძაბული ფინალი სულ რამდენიმეა. აი, გუნდი ის იყო, დიდებული ფეხბურთელები, მწვრთნელი. უნდა მისულიყავი სტადიონზე და მხოლოდ გექომაგა" — თქვა დიურსომ, რომელიც ბოლოს გამოგვიტყდა, მსაჯებს ობიექტურობა და მიუმხრობლობა კი მოგვეთხოვება, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენც ადამიანები ვართ, ვინმეს რომ არ ვუქომაგო, ისე როგორ გავჩერდეო.

## ვინ არის მსაჯების ჭირი?

შესაძლოა, ეს იყო კითხვა, რომელიც მეც და ონისესაც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა. მათ ჯერ გაიღიმეს, მერე კი, თითქოს პირი შეკრესო, მოგვიგეს — კონკრეტულად თუ გაინტერესებთ, იან რაიტი, პოლ ინსი, მარკ ჰიუზი ყველაზე ემოციური და ძნელად დასაოკებელი ხალხია, მათთან კანტონაც შეიძლება დავასახელოთ. აი, „უიმბლდონის" უელსელი კაპიტანი ვინი ჯოუნზი კი ცალკე თემააო. იქვე შეფილდმა პრემიერლიგის მსაჯთა ერთი დაუწერელი კანონი გაგვიმხილა — რასიზმში ბრალი არ დამდოთ, მაგრამ გეტყვით, მე და ჩემი კოლეგები შავკანიანებთან უფრო მკაცრნი ვართ, მათი მოთოკვა თეთრკანიანებთან შედარებით უფრო ძნელიაო. იქვე დარკინმა კვლავ იან რაიტი ახსენა, მაგის რამდენიმე თამაში მქვს ნამსაჯი და კინაღამ სისხლი გამიშრო, უწმაწურ სიტყვებს ხომ ლამისაა დაბადებიდან ამბობს, გარდა ამისა, მოედანზე მეტოქის ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ თაკილობს, რისთვისაც მრავალჯერ გვარიანად დასჯილაო. იქვე ინსიც ახსენეს — პრემიერლიგის „შავებს" ესღა აკლდაო. ბოლოს კი ვინი ჯოუნზზე შეჩერდნენ. გაგახსენებთ, რომ 1995 წლის 7 ივნისს, კარდიფში, უელსი — საქართველოს მატჩში იგი მიშა ყაველაშვილს ეუხეშა და გააგდეს კიდეც. ოთხივე მსაჯმა — ეგ რომ თამაშობს, მუდამ ფხიზლად უნდა იყო, შესაძლოა, თვალი მოაშორო და გვერდით მყოფს ისეთი ჩააზილოს, საწყალს რაიმე დაუზიანდეს, მერე კი არკვიე, დამნაშავე იყო, თუ არაო.

## მწვრთნელები

პრემიერლიგის უძლიერეს მწვრთნელად ვის მიიჩნევთო, ვკითხეთ. მათ კი გვიპასუხეს, მწვრთნელს ავ-კარგზე მისი შედეგები მეტყველებს და ამრიგად ბოლო წლების ინგლისის საუკეთესო მწვრთნელის ვინაობის დადგენა არ უნდა გაგიჭირდეთო. ალექს ფერგიუსონი — აი ის, ვინც ბოლო რამდენიმე წელია, ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად სახელდება და სეზონი არ დასრულდება ისე, მისმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" რაიმე ტიტული არ მოიგოს. დიურსომ თქვა, ალექსი შესანიშნავი თავკაცი რომაა, ამას ჩემი მტკიცება ნაღდად არ სჭირდება, მაგრამ, დამერწმუნეთ, დალგლიშიც ძლიერი მწვრთნელია. მას ეს არაერთხელ დაუმტკიცებია და, ვგონებ, წელსაც დაამტკიცებს. აი, რაც შეეხება როი ჰოჯსონს, ნახეთ, მისი „ბლექბერნი" წელს ჩემპიონი თუ არ გახდესო. დიურსოს დარკინმაც დაუკრა კვერი, სამი ტურია, პრემიერლიგას ვუყურებ და „ბლექბერნის" დარად შეთამაშებული ჯერ არც ერთი გუნდი არ არისო. პოლმა ჩემპიონობის კანდიდატად „ნიუკასლიც" მოიხსენა. თუ არ ვცდები, თქვენებური ქაცბაიაც თამაშობსო, გვითხრა. დასტური რომ მიიღო, გაგვახარა, „იუვენტუსი" — „ნიუკასლის" თამაში ვნახე და პირდაპირ გეტყვით, იმ დღეს თემური საუკეთესო იყოო. რომ ვკითხეთ, ჯორდების პრემიერლიგის ჩემპიონობის კანდიდატად დასახელება რამ აფიქრებინა, გვითხრა, ჯერ ერთი, ბოლო წლებია, გუნდი მუდამ ინგლისური ფეხბურთის ლიდერებში ტრიალებს, მეორეც, დალგლიში წვრთნისო. იქვე ონისემ შენიშნა, თუ უკვირდებით, შოტლანდიელი მწვრთნელები ინგლისში მეტად ნაყოფიერად იღწვიან — იგივე ფერგიუსონი და დალგლიშიო. მსაჯებიც დაგვეთანხმნენ. ალბიონზე მოღვაწე მწვრთნელების შემდეგ ბობი რობსონი ვახსენეთ. მასზე აუგი არავის დასცდენია. პირიქით, ოთხივემ ბობი ინგლისის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

## BEST IS THE BEST

ამ თემაზე საუბარი კვლავ ონისემ წამოჭრა. მისმა კითხვამ, შირერი სჯობია თუ ლინეკერიო, ინგლისელთა რიგებში დროებითი დისონანსი შეიტანა. თუმცა, ფეხბურთელების მიღწევების და თამაშების გახსენების შემდეგ ოთხივემ უპირატესობა ინგლისის ნაკრების დღევანდელ კაპიტანს მიანიჭა. დერინგმა კი ისიც დასძინა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ალანი რომ მოედანზე იყოს, „ნიუკასლს" წინ ვერავინ დაუდგებოდაო. დიურსომ შირერზე არანაკლებ აქო ლინეკერი, ბოლოს და ბოლოს კაცი მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირია და ნაკრებში ბობი ჩარლტონთან ერთად ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილიო. „შირერი კი ძლიერია, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ გარი თითქმის 10 წელი ქვეყნის უპირველესი ფორვარდი, ნამდვილი გოლეადორი იყო" — თქვა დიურსომ. შესადარებელ ფეხბურთელებს რა გამოლევდა და ახლა კიგანი-გესქოინის თაობაზე დავეკითხეთ. კევინის გვარი რომ გაიგონა, შეფილდმა ყველას დაასწრო — ვგონებ, იგი ძლიერ შეცდა „ლივერპულიდან" „ჰამბურგში" რომ გადაბარგდა, თორემ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად კიდევ რამდენჯერმე დაასახელებდნენო. შემდეგ 10 წუთი გვესაუბრა კევინზე, ბრწყინვალე პიროვნებააო. მისი გაზასთან შედარება კი, ცოტა არ იყოს, უადგილოდ მიიჩნია: „არა, პოლი ბრწყინვალე ფეხბურთელია, ძალზედ ნიჭიერი, მაგრამ განა ბევრითი არ სჯობს ზარმაც ნიჭიერს? გაზა სწორედ სიზარმაცემ დაღუპა. რაც მაგას წლები გაუცდა, ასე ადვილად ველარ დაიბრუნებსო. შეფილდის დარად უპირატესობა კიგანს დანარჩენმა მსაჯებმაც მიანიჭეს, თუმცა, ისიც დასძინეს, არ იფიქროთ, თითქოს გაზაზე ცუდი აზრისა ვიყოთ, მაგას კიგანი ვამჯობინეთ, თორემ პოლი უამრავ პრემიერლიგელს რომ სჯობს, ეს ცხადზე უცხადესიაო. და აი, სწორედ კიგანის და გაზას გაჯიბრების შემდეგ დადგა კულმინაციური მომენტი. საქმე ჯორჯ ბესტს ეხება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ათიდან შვიდი ბრიტანელი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა დასახელებისას ბესტს აუცილებლად რჩეულთა შორის მოახვედრებს. ამჯერადაც ასე იყო — ინგლისელი არბიტრების რჩეულნი მარადონა და ბესტი აღმოჩნდნენ, მათთან ერთად კი დი სტეფანო და კრუიფი. ძალიან გაგვაკვირვა რჩეულთა შორის პელეს ვერმოხვედრამ. მსოფლიოს ერთადერთი სამგზის ჩემპიონის თაობაზე ოთხივე ინგლისელის აზრი ერთმანეთს ემთხვეოდა: 1. პელეს საუკეთესო ბომბარდირობა მოგონილია, რადგან მან თავისი ათასზე მეტი გოლის უმეტესობა ისეთი დონის გუნდებთან გაიტანა, ევროპაში წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების მეორე ლიგაში რომ თამაშობენ. 2. პელეს, მარადონას თავი რომ დავანებოთ, გარინჩაც სჯობია, რადგან „მანემ" 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მარტომ მოიგო, ისევე, როგორც 1986-ში დიეგომ. საერთოდ, ინგლისელებს მარადონა არც ისე ეხატებათ გულზე, მაგრამ მათ განაცხადეს, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, დიეგოს და ბესტის დარი ფეხბურთელები ჯერ არ დაბადებულანო.

ბოლოს ონისემ იკითხა, ხომ არ იცით, სტივ არჩიბალდი რასა იქმსო? დარკინმა მოგვიგო, სტივი შოტლანდიის მეორე დივიზიონის ერთ-ერთ კლუბს წვრთნის, მაგრამ ეს გამაგებინეთ, მისი ბედით რატომ დაინტერესდითო. ონისემ უთხრა, „ტოტენჰემის" და „ბარსელონას" (სადაც არჩიბალდი თამაშობდა) გულშემატკივარი გახლავართ, ესეც არ იყოს, შესანიშნავი ფეხბურთელი იყოო. პასუხმა ინგლისელები ერთობ გაამხიარულა, მერე კი, რომ იგრძნეს, კითხვების მარაგი დაგვილია, თავად გადმოვიდნენ „შეტევაზე" — თქვენთან მსაჯებს რამდენს უხდიანო. რადგან ამ საკითხში არაკომპეტენტურნი ვიყავით, პასუხი, ცხადია, ვერ გავეცით, თუმცა, დარკინმა თავად შემოგვჩივლა, პრემიერლიგის ერთი შეხვედრის მსაჯობისთვის 350 გირვანქას მიხდიან, რომლის 30 პროცენტი გადასახადებს მიაქვსო. იქვე დაიწუწუნა, ამ მხრივ ინგლისი იტალიას, ესპანეთსა და გერმანიას ძლიერ ჩამორჩებაო.

რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ დარკინი ნომერში ავიდა, იქიდან კი ბანქოთი დაბრუნდა და კოლეგები სათამაშოდ გაიწვია. ეტყობა, წაგებული სანაძლეოს გამორევანშის აღებას აპირებდა. რა ქნა, მოიგო, თუ წააგო, ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან მალე პრესკონფერენციაც დაიწყო.

**ლაშა გოდუაძე**



ოთხშაბათი. ინგლისელები საქმეს შეუდგნენ

## ფეხბურთის რუკასთან



**შოტლანდიის** და „სელტიკის" თავდამსხმელი დარენ ჯექსონი დაახლოებით სამი თვე ვერ ითამაშებს თავისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო. „სელტიკის" გენერალურმა მენეჯერმა ჯოკ ბრაუნმა განაცხადა, დარენს „ტიროლთან" თამაშის მერე სტრესი ჰქონდა, ეტყობა, პირად ცხოვრებაში შეემთხვა რამეო.

**შვედი თომას ბროლინი გუშინ ესპანეთს, კერძოდ კი სარაგოსას გაფრინდა, 1995 წლის თასების თასის მფლობელებთან კონტრაქტის გასაფორმებლად. „ლიდსის" მწვრთნელი ჯორჯ გრემი ბროლინის [illegible] დევგი არ [illegible] ფეხბურთელსაც [illegible] დად არ [illegible] კლუბში ყოფნა. თომას „ლიდსს" [illegible] ორ შეჯიბრაში ოთხი გოლი კი შეაგდო, მაგრამ გრემმა ძირითადში მაინც არ გადაიყვანა.**

**ნორვეგიის** ნაკრებს მომავალი წლიდან ეგილ ოლსენის ნაცვლად ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი ნილს იოჰან სემბი უთავკაცებს. 21 წლამდე ასაკის ნაკრებმა სემბის ხელმძღვანელობით 6 წელი ითამაშა (42 მოგება, 16 ფრე, 15 წაგება). უფროსმა ნორვეგიელებმა ოლსენის ხელმძღვანელობით 76 მატჩიდან 40 მოიგეს, 21 ფრედ დაასრულეს, 15 კი წააგეს. ოლსენის ნაკრებიდან წასვლის მიზეზი მის მარსელის „ოლიმპიკში" მიწვევა ყოფილა. სემბმა კი, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

# ესპანეთმა დაუსტვინა

ამ დღეებში, შესაძლოა, ახალი საინტერესო რეკორდი დამყარდეს. სევილიის „ბეტისის" პრეზიდენტმა მანუელ რუის დე ლოპერამ განაცხადა, „სან პაულუს" შევუთანხმდი და მალე დენილსონს გადავიბირებო. იქვე დასძინა, 20 წლის ჭაბუკთან კონტრაქტი 11 წლიანი იქნება, რადგან სატრანსფერო თანხა შესაფერისიაო. ფასი არ დაუკონკრეტებია, თუმცა, ესპანეთის ერთ-ერთმა პოპულარულმა გაზეთმა AS-მა განაცხადა, „ბეტისი" დენილსონის სანაცვლოდ ბრაზილიელებს 35 მილიონ დოლარს უხდისო. ამ მეტად ტექნიკური ბრაზილიელის შეძენა მადრიდის „რეალს" და რომის „ლაციოსაც" სურდა, მაგრამ ფასი ეძვირათ.

იმავე AS-ის ცნობით, კონტრაქტში თურმე ისეთი მუხლიცაა ჩადებული, რომლის თანახმადაც დენილსონი, მიუხედავად ტრანსფერისა, „ბეტისში" საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დასასრულამდე ვერ ითამაშებს.

ხუთშაბათსვე ესპანეთის ლეგიონს კიდევ ერთი, ნორვეგიელი მცველი დენ აგუნი შეემატა, რომელიც ვიგოს „სელტას" „ბრონდბიუდან" შეუერთდა 900 ათას დოლარად.

ეს ესპანეთის უახლესი ამბებია, მანამდე რაც მოხდა კი მეცხრე გვერდზე გაეცნობით.

# დიეგო ჩავარდა

გუშინწინ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვაშინგტონ რივერამ განაცხადა, დიეგო მარადონა დოპინგკონტროლზე შევამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ მას აკრძალული პრეპარატები მიუღიაო. ქვეყნის ჩემპიონატის პირველ მატჩში, დიეგოს „ბოკა ხუნიორსმა" „არგენტინოს ხუნიორსს" 4:2 სძლია. მარადონამ პენალტიც შეაგდო, მაგრამ მის ძლიერ თამაშში ფედერაციის წარმომადგენლებმა ეჭვი შეიტანეს და შეამოწმეს, შედეგიც სახეზეა — ფეხბურთელი დოპინგკონტროლზე კარიერის მანძილზე მესამედ ჩავარდა. მისმა აგენტმა გილერმო კოპოლამ განაცხადა, რაც მოხდა, ჩვენთვის გაუგებარია. ძლივს ფეხბურთს დაუბრუნდა და ახლა თავი კვლავ ხათაბალაში ჩაიგდოო.

1991 წელს, როცა „ნაპოლში" თამაშობდა, მარადონა ნარკოტიკების ხმარებაში ამხილეს და ფეხბურთს წელიწადნახევრით ჩამოაცილეს. 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიგერიელებთან მატჩის მერე ეფედრინის მიღება დაუდგინეს და ძველებურად დასაჯეს.

ახლა რა იქნება, არავინ იცის.

# თასებს რა გამოლევს

სამხრეთ ამერიკაში ერთდროულად ორი თასის — სუპერთასისა და კონმებოლის თასის გათამაშება დაიწყო.

კონტინენტის სუპერთასის გათამაშებაში ის გუნდები მონაწილეობენ, რომლებიც ერთხელ მაინც ფლობდნენ ამ ჯილდოს. თასი 1988 წლიდან თამაშდება, მაგრამ წელს გათამაშების სისტემა შეიცვალა: ნაცვლად ადრინდელი ოლიმპიურისა, ახლა 16 გუნდი ოთხ ოთხგუნდიან ქვეჯგუფად დაიყო. ჯგუფებში ბოლო ადგილზე გასულები მომავალ წელს ამავე თასზე შესარჩევ ტურნირში შეხვდებიან ერთმანეთს.

პირველი ტურის თამაშები მხოლოდ სამ ჯგუფში — პირველ, მეორე და მეოთხეში გამართა. სანტიაგოში ჩილეს „კოლოკოლომ" 4:2 მოუგო წელს ლიბერტადორესის თასის მომგებ „კრუზეიროს". 20 წუთის შემდეგ ჩილელები 0:2 რომ აგებდნენ, გულშემატკივრებმა სხვადასხვა ნივთების სროლა დაიწყეს და თავისივე ფეხბურთელი დააზიანეს. ამის შემდეგ მწვრთნელები და სხვა ოფიციალური პირები მოედანზე შეიჭრნენ და შეხვედრაც რამდენიმე წუთით ჩაიშალა. თუმცა, საბოლოოდ მაინც არასტუმართმოყვარე მასპინძლებმა იმარჯვეს.

პირველ ტურში აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ ბუენოს აირესში დიდი დერბი შედგა — „ბოკა ხუნიორსმა" „ინდეპენდიენტეს" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ დასრულდა, მაგრამ ფეხბურთში დაბრუნებულ მარადონას რომ ეთამაშა, შედეგი სავარაუდოდ მასპინძლებს გაახარებდა.

სუპერთასის გათამაშების ტექნიკური შედეგები კი ასეთია:

I ჯგუფი

**კოლო კოლო (ჩილე) 4:2 კრუზეირო (ბრაზილია)**

0:1 მარსელო (16), 0:2 ტიკო (18), 1:2 ზამბრანო (34), 2:2 სიერა (47), 3:2, 4:2 ბესგე (81, 90 პ)

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1:1 ინდეპენდიენტე (არგენტინა)**

1:0 სოლანო (71 პ), 1:1 ალვესი (90)

II ჯგუფი

**ოლიმპია (პარაგვაი) 1:0 ველეზ სარსფილდი (არგენტინა)**

1:0 ტორესი (44)

**ფლამენგო (ბრაზილია) 3:2 სან პაულუ (ბრაზილია)**

IV ჯგუფი

**ესტუდიანტესი (არგენტინა) 1:0 ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია)**

1:0 ფრიგო (1)

**გრემიო (ბრაზილია) 1:1 პენიაროლი (ურუგვაი)**

0:1 აგილერა (17), 1:1 გილერმე (52)

შემდეგი მატჩები 3 სექტემბერს გაიმართება: ბოკა ხუნიორსი — კრუზეირო, კოლო კოლო — ინდეპენდიენტე, ოლიმპია — ფლამენგო, სან პაულუ — ველეზ ხარსფილდი, ესტუდიანტესი — გრემიო, პენიაროლი — ატლეტიკო ნასიონალი

სუპერთასის დარად დაიწყო კონმებოლის თასის გათამაშებაც. პირველი წრის პირველი მატჩების შედეგები ასეთია:

**ვიტორია (ბრაზილია) 2:0 დეპორტივო ლუკენო (პარაგვაი)**

1:0 უესლეი (8), 2:0 ბაიანო (74)

**სანტა კრუზი (ბოლივია) 1:1 ლანუსი (არგენტინა)**

0:1 ტრიმარჩი (46), 1:1 ვილეგასი (82 პ)

**უნივერსიტარიო (პერუ) 3:0 ტექნიკო უნივერსიტარიო (ეკვადორი)**

1:0 კარანსა (45), 2:0 ალვარენგა (72), 3:0 ჩარონი (74)

**უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) 2:1 კოლონი (არგენტინა)**

1:0 კასტანედა (37), 2:0 ბარერა (50), 2:1 გოროსტიდი (80)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# ხვალიდან, ყოველ კვირას...

ხვალ იტალიის ჩემპიონატი იწყება — ეს წინადადება თავისთავად ნიშნავს ძალიან ბევრს. ის უამრავ მოგონებასა და დიდ ემოციას იწვევს, ხელებს გვაფშვნეტინებს, ხვალინდელ და ზეგინდელ დღეს თავისებურ ელფერს მატებს. ფეხბურთის მოყვარულთათვის ეს წინადადება იგივეა, რაც, ვთქვათ კინოს მოყვარულთათვის — ხვალ კოპოლა ახალი ფილმის ჩვენებას იწყებს ან, თუგინდ, ხვალ ახალი ტელესერიალი იწყება.

მაშ ასე: ხვალ იტალიის ჩემპიონატი იწყება. მთავარ როლებში:

„იუვენტუსი", იტალიის ჩემპიონი. ტურინელები უეჭველად შეეცდებიან ტიტულის შენარჩუნებასა და ევროპის ჩემპიონთა თასზე წარმატებით გამოსვლას. ბებერ ქალბატონად წოდებული გუნდის წარმოდგენისას უპირველესად ზოგადი სიმძლავრე გვესახება გონებაში. მიუხედავად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვისა, მწვრთნელი მარჩელო ლიპი უთუოდ შეკრებს ძველებური სიმძლავრის გუნდს. თავდასხმაში, კრისტიან ვიერის ადგილზე უპირატესად ალბათ გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირს, ახალშეძენილ ფილიპო ინძაგის ვიხილავთ, ნახევარდაცვაში კი კვლა გამოჩნდება გასული წლის ოქტომბერში დაშავებული ანტონიო კონტე

„მილანი". გასული საზონი მისთვის სამძიმო გამოდგა. მდგომარეობის გამოსასწორებლად პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ გუნდს სათავეში დიდებისდროინდელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო ჩაუყენა, ახალ მოთამაშეთა შესაძენად კი დაახლოებით 30 მილიონი დოლარი დახარჯა. წლეულს, ფაქტობრივად, ახალ „მილანს" ვიხილავთ.

— „ინტერმა" რონალდო იყიდა, მაგრამ მე კაპელო მყავს — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა ბერლუსკონიმ, რომლის გუნდშიც 192 სანტიმეტრიანი ხორვატი უწვერული ჭაბუკი, ვინმე დარიო სმოიეც კი ვარჯიშობს. დავიმახსოვროთ ეს სახელი ყოველ შემთხვევაში.

„ინტერი". რონალდო. ამ ორი სიტყვის ხსენება და გასული ზაფხულის გაწამაწიის გახსენება ერთია — მილანელებმა დიდი ბრძოლით იგდეს ხელთ ბრაზილიელი ვარსკვლავი. გასულ სეზონში „ინტერს" როი ჰოჯსონი ხელმძღვანელობდა და იგი კინალამ გუნდად აქცია. თავად განსაჯეთ — „ინტერმა" კინალამ მოიგო უეფას თასი, კინალამ მოიპოვა ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი, კინალამ იტალიის თასის ფინალში გავიდა. ახლა ყველას ნაღდად უნდა. რონალდომ გასულ სეზონში ესპანეთში 47 გოლი შეაგდო. იტალიაში ამის ნახევარიც რომ შეასრულოს, უდიდესი საქმე იქნება.

„პარმა". სხვათაგან განსხვავებით, კარლო ანჩელოტის ახალი ფეხბურთელებისა და ძველი გუნდის შეთამაშების პრობლემა არ აქვს — ახალი ფეხბურთელები „პარმაში" არ არიან. უნდოდათ „ბარსელონიდან" ხოსე გვარდიოლას გადაყვანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. რობერტო ბაჯოზე თავად თქვეს უარი. ერთადერთი სიურპრიზი შესაძლოა ბრაზილიელმა ჭაბუკმა ადაილტონმა შემოგვთავაზოს. მან სეზონისწინა ამხანაგურ შეხვედრებში ბევრი გაიტანა მაგრამ მთავარ ფორვარდებად რჩებიან ენრიკო კიეზა და არგენტინელი ერნან კრესპო, დაცვას კი კვლავ ლილიან ტურამი გაუძღვება. სხვათაშორის, ეს ფრანგი ფეხბურთელი „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით გასულ სეზონში იტალიის საუკეთესო მცველი იყო.

„ლაციო". რომის გუნდი იტალიელ ფავორიტთა აუტსაიდერად კი ითვლება, მაგრამ ქვეყნის ან უეფას თასზე დიდ შედეგს რომ მიაღწიოს, არ უნდა გაგვიკვირდეს. კლუბის მეპატრონე სერჯო კრანიოტი სახსრებს არ ზოგავს: განა „იუვენტუსიდან" ალენ ბოკშიჩისა და ვლადიმირ იუგოვიჩის გადაყვანა პატარა საქმეა? და მაინც, კრანიოტის მთავარ შენაძენად ყოფილი სამპდორიელი რობერტო მანჩინი ითვლება — პიერლუიჯი კაზირაგისთან და ჯუზეპე სინიორისთან ერთად მისგან გოლთაცვენას ელიან. „სამპდორიიდანვე" გადაიბირეს ახალი მწვრთნელი, შვედი სვენ-გორან ერიქსონი. ერიქსონმა განაცხადა, ასეთი ძლიერი გუნდის სათავეში თხუთმეტი წელი არ ვყოფილვარო.

მოკლედ, ხვალ იტალიის ჩემპიონატი იწყება.

### იუვენტუსი (ტურინი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ფაბიო პეკია | ნაპოლი | 5,9 მილიონი |
| | ფილიპო ინძაგი | პარმა | 12,4 მილიონი |
| | დანიელ ფონსეკა | რომა | 5,3 მილიონი |
| | ალესანდრო ბირინდელი | ემპოლი | 3 მილიონი |
| წავიდა: | სერჯო პორინი | გლაზგო რეინჯერსი | 4,7 მილიონი |
| | ვლადიმირ იუგოვიჩი | ლაციო | 7,1 მილიონი |
| | ალენ ბოკშიჩი | ლაციო | 11,8 მილიონი |
| | კრისტიან ვიერი | მადრიდის ატლეტიკო | 20,7 მილიონი |
| | ატილიო ლომბარდო | კრისტალ პალასი | 3,5 მილიონი |

### პარმა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | რობერტო გორეტი | პერუჯა | 3,5 მილიონი |
| წავიდა: | ფილიპო ინძაგი | იუვენტუსი | 12,4 მილიონი |

### ინტერი (მილანი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | რონალდო | ბარსელონა | 29,5 მილიონი |
| | ალვარო რეკობა | ურუგვაის ნასიონალი | 4,7 მილიონი |
| | ბენუა კუე | პარი სენ ჟერმენი | 2,9 მილიონი |
| | ტარიბო ვესტი | ოსერი | 3,4 მილიონი |
| | ლუიჯი სარტორი | ვიჩენცა | 4,1 მილიონი |
| | დიეგო სიმეონე | მადრიდის ატლეტიკო | 7,7 მილიონი |
| | ზე ელიასი | ლევერკუზენი | 5,9 მილიონი |
| | მარტინ რივასი | ურუგვაის დანუბიო | უცნობია |
| წავიდა: | ჟოსელინ ანგლომა | ვალენსია | 1,8 მილიონი |
| | მარკო დელვეკიო | რომა | 2,8 მილიონი |
| | კაიო | სანტოსი | 2,1 მილიონი |
| | ჩირიაკო სფორცა | კაიზერსლაუტერნი | 4,1 მილიონი |
| | პოლ ინსი | ლივერპული | 6,3 მილიონი |
| | ალესანდრო პისტონე | ნიუკასლი | 7,6 მილიონი |

### ლაციო (რომი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ვლადიმირ იუგოვიჩი | იუვენტუსი | 7,1 მილიონი |
| | ალენ ბოკშიჩი | იუვენტუსი | 11,8 მილიონი |
| | რობერტო მანჩინი | სამპდორია | მუქთი |
| | მატიას ალმეიდა | სევილია | 7,7 მილიონი |

### უდინეზე

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | იოჰან ვალემი | ანდერლეხტი | მუქთი |
| წავიდა: | მარკ ფიში | ბოლონია | 1,5 მილიონი |
| | ფაბიო როსიტო | ნაპოლი | 4,7 მილიონი |

### სამპდორია (გენუა)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ანხელ მორალესი | ინდეპენდიენტე | 3,5 მილიონი |
| | იურგენ კლინსმანი | მიუნხენის ბაიერნი | მუქთი |
| | უგო ვიეირა | ბრაგას სპორტინგი | 1,8 მილიონი |
| წავიდა: | რობერტო მანჩინი | ლაციო | მუქთი |

### ბოლონია

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | რობერტო ბაჯო | მილანი | 3 მილიონი |
| | პაოლო კრისტალინი | ტორინო | 3,5 მილიონი |
| | მარკ ფიში | ლაციო | 1,5 მილიონი |

### ვიჩენცა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | პასკუალე ლუიზო | პიაჩენცა | 3,5 მილიონი |
| | რიკარდო კანალსი | ლოგრონიესი | 1,8 მილიონი |
| წავიდა: | ჯამპიერო მაინი | მილანი | 4,1 მილიონი |
| | ლუიჯი სარტორი | ინტერი | 4,1 მილიონი |

### ფიორენტინა (ფლორენცია)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | დომენიკო მორფეო | ატალანტა | 4,1 მილიონი |
| წავიდა: | ლორენცო ამორუზო | გლაზგო რეინჯერსი | 7,1 მილიონი |
| | ფრანჩესკო ბაიანო | დერბი ქაუნთი | 1,1 მილიონი |

### ატალანტა (ბერგამო)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ლუბიშა დუნდიერსკი | ვოივოდინა | 1 მილიონი |
| | ნიკოლა კაჩა | ნაპოლი | 2,1 მილიონი |
| | კრისტიანო ლუკარელი | პადოვა | 3,8 მილიონი |
| წავიდა: | დომენიკო მორფეო | ფიორენტინა | 4,1 მილიონი |

### მილანი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | მასიმო ტაიბი | პიაჩენცა | 3,5 მილიონი |
| | ვინსტონ ბოგარდი | აიაქსი | მუქთი |
| | პატრიკ კლუივერტი | აიაქსი | მუქთი |
| | კრისტიან ციგე | მიუნხენის ბაიერნი | 5,9 მილიონი |
| | იბრაჰიმ ბა | ბორდო | 6,8 მილიონი |
| | ჯამპიერო მაინი | ვიჩენცა | 4,1 მილიონი |
| | ანდრეას ანდერსონი | გიოტებორგი | 1,8 მილიონი |
| | ანდრე კრუსი | ნაპოლი | მუქთი |
| | დარიო სიმიჩი | კროაცია | 2,9 მილიონი |
| წავიდა: | მიხაელ რაიციგერი | ბარსელონა | 3,5 მილიონი |
| | კრისტოფ დუგარი | ბარსელონა | 6,5 მილიონი |
| | სტეფანო ერანიო | დერბი ქაუნთი | მუქთი |
| | ჯანლუიჯი ლენტინი | ტორინო | 2,9 მილიონი |
| | მარკო სიმონე | პარი სენ ჟერმენი | 5,9 მილიონი |
| | რობერტო ბაჯო | ბოლონია | 3 მილიონი |




მილანში დიდი ამბებია: აქეთ რონალდო „ინტერში", იქით — კლუივერტი „მილანში". ქალაქი ხარობს...



### რომა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | კაფუ | პალმეირასი | 8,3 მილიონი |
| | ივან ელგუერა | ალბასეტე | 4,1 მილიონი |
| | პაულო სერჟიო | ლევერკუზენი | 3,5 მილიონი |
| | როჟერიუ ვაგნერი | სანტოსი | 5 მილიონი |
| | სეზარ გომეში | ტენერიფე | 3 მილიონი |
| | მარკო დელვეკიო | ინტერი | 2,8 მილიონი |
| წავიდა: | იონას ტერნი | გლაზგო რეინჯერსი | მუქთი |
| | მარტინ დალინი | ბლექბერნი | 4,1 მილიონი |
| | დანიელ ფონსეკა | იუვენტუსი | 5,3 მილიონი |
| | მარკო ლანა | სალამანკა | უცნობია |

### ნაპოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ხოსე ლუის კალდერონი | ინდეპენდიენტე | 2,7 მილიონი |
| | ფაბიო როსიტო | უდინეზე | 4,7 მილიონი |
| წავიდა: | ფაბიო პეკია | იუვენტუსი | 5,9 მილიონი |
| | ნიკოლა კაჩა | ატალანტა | 2,1 მილიონი |
| | ანდრე კრუსი | მილანი | მუქთი |

### პიაჩენცა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | მარკო როსი | აინტრახტი | მუქთი |
| წავიდა: | მასიმო ტაიბი | მილანი | 3,5 მილიონი |
| | პასკუალე ლუიზო | ვიჩენცა | 3,5 მილიონი |

### ემპოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| წავიდა: | ალესანდრო ბირინდელი | იუვენტუსი | 3 მილიონი |

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ატალანტა | | 26.04 | 31.08 | 05.10 | 15.03 | 26.10 | 02.11 | 10.05 | 22.02 | 16.11 | 30.11 | 08.02 | 25.01 | 14.12 | 29.03 | 21.09 | 04.01 | 11.04 |
| 2 | ბარი | 21.12 | | 21.09 | 16.11 | 01.03 | 19.04 | 03.05 | 19.10 | 08.02 | 15.02 | 29.03 | 11.01 | 31.08 | 07.12 | 02.11 | 15.03 | 30.11 | 25.01 |
| 3 | ბოლონია | 18.01 | 01.02 | | 14.12 | 26.04 | 08.03 | 14.09 | 04.01 | 10.05 | 30.11 | 11.04 | 26.10 | 22.02 | 15.02 | 28.09 | 16.11 | 29.03 | 09.11 |
| 4 | ბრეშია | 15.02 | 22.03 | 19.04 | | 23.11 | 19.10 | 18.01 | 01.02 | 05.04 | 01.03 | 08.03 | 03.05 | 11.01 | 28.09 | 07.12 | 14.09 | 09.11 | 21.12 |
| 5 | ემპოლი | 09.11 | 26.10 | 21.12 | 29.03 | | 03.05 | 11.01 | 11.04 | 21.09 | 19.04 | 05.10 | 25.01 | 08.03 | 16.11 | 31.08 | 30.11 | 22.02 | 08.02 |
| 6 | ვიჩენცა | 01.03 | 14.12 | 02.11 | 22.02 | 04.01 | | 16.11 | 26.04 | 11.04 | 29.03 | 08.02 | 21.09 | 05.10 | 14.09 | 15.03 | 18.01 | 10.05 | 30.11 |
| 7 | ინტერი | 08.03 | 04.01 | 25.01 | 31.08 | 10.05 | 22.03 | | 14.12 | 05.10 | 08.02 | 09.11 | 22.02 | 26.10 | 26.04 | 30.11 | 29.03 | 11.04 | 21.09 |
| 8 | იუვენტუსი | 11.01 | 22.02 | 03.05 | 21.09 | 07.12 | 21.12 | 19.04 | | 23.11 | 31.08 | 22.03 | 08.03 | 09.11 | 05.04 | 25.01 | 08.02 | 26.10 | 05.10 |
| 9 | ლაციო | 19.10 | 28.09 | 11.01 | 30.11 | 01.02 | 07.12 | 15.02 | 29.03 | | 21.12 | 25.04 | 31.08 | 19.04 | 15.03 | 01.03 | 02.11 | 16.11 | 03.05 |
| 10 | ლეჩე | 22.03 | 05.10 | 05.04 | 26.10 | 14.12 | 23.11 | 28.09 | 18.01 | 26.04 | | 22.02 | 09.11 | 11.04 | 10.05 | 01.02 | 04.01 | 14.09 | 08.03 |
| 11 | მილანი | 05.04 | 23.11 | 07.12 | 02.11 | 15.02 | 28.09 | 15.03 | 16.11 | 14.09 | 19.10 | | 19.04 | 03.05 | 18.01 | 21.12 | 01.03 | 01.02 | 11.01 |
| 12 | ნაპოლი | 28.09 | 10.05 | 01.03 | 04.01 | 14.09 | 01.02 | 19.10 | 02.11 | 18.01 | 15.03 | 14.12 | | 30.11 | 29.03 | 15.02 | 11.04 | 26.04 | 16.11 |
| 13 | პარმა | 14.09 | 18.01 | 19.10 | 10.05 | 02.11 | 15.02 | 01.03 | 15.03 | 14.12 | 07.12 | 04.01 | 05.04 | | 01.02 | 16.11 | 26.04 | 28.09 | 29.03 |
| 14 | პიაჩენცა | 19.04 | 11.04 | 05.10 | 08.02 | 22.03 | 25.01 | 21.12 | 30.11 | 09.11 | 11.01 | 31.08 | 23.11 | 21.09 | | 03.05 | 22.02 | 08.03 | 26.10 |
| 15 | რომა | 23.11 | 08.03 | 08.02 | 11.04 | 18.01 | 09.11 | 05.04 | 14.09 | 26.10 | 21.09 | 26.04 | 05.10 | 22.03 | 04.01 | | 10.05 | 14.12 | 22.02 |
| 16 | სამპდორია | 01.02 | 09.11 | 22.03 | 25.01 | 05.04 | 31.08 | 23.11 | 28.09 | 08.03 | 03.05 | 26.10 | 07.12 | 21.12 | 19.10 | 11.01 | | 15.02 | 19.04 |
| 17 | უდინეზე | 03.05 | 05.04 | 23.11 | 15.03 | 19.10 | 11.01 | 07.12 | 01.03 | 22.03 | 25.01 | 21.09 | 21.12 | 08.02 | 02.11 | 19.04 | 05.10 | | 31.08 |
| 18 | ფიორენტინა | 07.12 | 14.09 | 15.03 | 26.04 | 28.09 | 05.04 | 01.02 | 15.02 | 04.01 | 02.11 | 10.05 | 22.03 | 23.11 | 01.03 | 19.10 | 14.12 | 18.01 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

# ახალი სეზონის სიახლე

ახალი ესპანური სეზონი სკანდალითა და ჯანყით იწყება. ქვეყნის ორი უმაღლესი დივიზიონის ესპანელი ფეხბურთელები პროტესტს აცხადებენ. მათ არ მოსწონთ, რომ უცხოელ კოლეგათა უფლებების გაფართოებამ მათი ლაღი ცხოვრება შეზღუდა. ისინი ითხოვენ, 2000 წლის შემდეგ ესპანურ გუნდებს მოედანზე ერთ არაევროკავშირელზე მეტის გაყვანის უფლება ჩამოერთვათ. თორემ რა გამოდის: ახლანდელი კანონის თანახმად, მათ კლუბებს შეუძლიათ ექვსი უცხოელი და ოთხი მათგანი ერთდროულად გაიყვანონ მოედანზე. თანაც, სიტყვა უცხოელი ამ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით არაა მოყვანილი. ის ევროკავშირის გარე ქვეყნის მოქალაქეს ნიშნავს, ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი და სხვა ევროკავშირელი კი ესპანეთში უცხოელად არ ითვლება. ამრიგად, ესპანელმა მოთამაშეებმა გაილაშქრეს იმ დღის წინაალმდეგ, ვთქვათ, მადრიდის „რეალში" შვიდი ფრანგი და ოთხი ქართველი რომ გამოვა. მოკლედ, ჩემპიონატის დაწყება საფრთხის წინაშე იდგა, მზადდებოდა გაფიცვა, მაგრამ ქვეყნისა და ფეხბურთის მთავრობებმა გამოსავალი მოძებნეს. მათ მტკივნეულ საკითხზე მოლაპარაკებები 18 სექტემბრისთვის დანიშნეს და სეზონის დასაწყისი იხსნეს — გაფიცვა გადაიდო.

მაშ ასე, დღეს მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე", ახალი ესპანური სეზონი იხსნება. იხსნება დიდი მატჩით, დერბით: „რეალი" — „ატლეტიკო".

რეალი: ახალი მწვრთნელი, გერმანელი იუპ ჰაინკესი, როგორც ჩანს, სამეფო გუნდისთვის ტრადიციული განლაგების, 4-3-3-ის მიმდევარია. მან სეზონისწინა ამხანაგურ შეხვედრებში განაცხადში შეყვანილი ოცდაექვსივე ფეხბურთელი გამოსცადა, ბოლოს, სუპერთასზე „ბარსელონასთან" მატჩში კი, ეტყობა საუკეთესო ვარიანტს მიაგნო. სანამ გერმანელი ბოდო ილგნერი დაშავებულია, კარს ხოსე კანისარესი იცავს. დაცვა სოლიდურია, გამოცდილი: რობერტო კარლოსი, აიტორ კარანკა, ფერნანდო იერო და კრისტიან პანუჩი. კარლოსი მარცხნიდან შეტევებშიც ერთვება და მეტოქისთვის სახიფათოა. ნახევარდაცვაში გამოირჩევიან ჰოლანდიელი საყრდენი კლარენს ზეედორფი და მარცხენაფლანგელი ზე რობერტო. წინ რაული, მიატოვიჩი და შუკერი არიან, საჯარიმოში თამაშის ოსტატები. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ჰაინკესისეული „რეალი" უფრო კონტრშეტევის მიმდევარია, ვიდრე თანმიმდევრული შეტევების ამწყობი. მისი თამაშის მთავარი კოზირი თავდამსხმელებამდე ბურთის შეძლებისდაგვარად სწრაფად მიტანაა. ცხადია, გუნდს სუსტი მხარეც აქვს. მაგალითად, დაცვაში: რობერტო კარლოსი ხანდახან მოწინააღმდეგის ცრუმოძრაობაზე წამოეგება ხოლმე, ხოლო ახალბედა აიტორ კარანკა „რეალის" სისტემას ნელნელა ეჩვევა და ამიტომ ჯერ შეცდომები მოსდის. ნახევარდაცვაშიც გარკვეული პრობლემებია: არგენტინელი ფერნანდო რედონდო კვლავაც არ მოშუშებულა, მისი შემცვლელები ხაიმე და გუტი კი მთლად გამოცდილები ვერ არიან.

ასეთია დღეისათვის ესპანეთის ჩემპიონის თვალის ერთი შევლებით შემჩნეული სახე. რაც შეეხება ვიცე-ჩემპიონ „ბარსელონას", იქ უფრო მეტია გაურკვეველი, რადგან გარდა ახალი მწვრთნელისა, უამრავი ახალი ფეხბურთელია. რას გამოადნობს ამ ხალხისგან ლუის ვან გაალი, თანდათან გამოჩნდება, ჯერჯერობით კი „რეალთან" სუპერთასის მატჩებმა და როგის „სკონტოსთან" ჩემპიონთა თასზე გამართულმა ასევე ორშეხვედრიანმა დუელმა დაგვანახა, რომ „ბარსაში" ძირეული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

მადრიდის „ატლეტიკოს" ბევრი ახალი მოთამაშე და ძველი მწვრთნელი, იუგოსლაველი რადომირ ანტიჩი ჰყავს. ჟუნინიოს და კრისტიან ვიერის შეძენის მიუხედავად, გუნდს ჯერ კიდევ რჩება სუსტი მხარეები. კერძოდ, შედარებით სუსტია დაცვის ორივე ფრთა. ამ ამპლუას მოთამაშეები შეტევაში უფრო ძლიერები არიან, ვიდრე უშუალო მოვალეობის შესრულებისას. აი, ნახევარმცველი მილინკო პანტიჩი კი პრესას და ქომაგებს აღარ მოსწონთ, თუმცა თანამემამულე მწვრთნელს იგი შეუცვლელად მიაჩნია.

### ატლეტიკი (ბილბაო)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | რაფაელ ალკორტა | რეალი | 1 მილიონი |
| | ფრანსისკო ფერეირა | ვალენსია | 300 ათასი |
| | მიკელ ლასა | რეალი | 1,2 მილიონი |
| | რობერტო რიოსი | ბეტისი | 13,5 მილიონი |
| წავიდა: | მიკელ კორტინა | ოსასუნა | 600 ათასი |
| | სერხიო კორინო | სალამანკა | უცნობია |
| | ფელიპე გურენდესი | ოსასუნა | 600 ათასი |
| | ბიშენე ლისარასუ | მიუნხენის ბაიერნი | 6,3 მილიონი |

### ატლეტიკო (მადრიდი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ჟუნინიო | მიდლსბრო | 19,3 მილიონი |
| | ხორდი ლარდინი | ესპანიოლი | 7,6 მილიონი |
| | ხოსე მარი რომერო | სევილია | 1 მილიონი |
| | კრისტიან ვიერი | იუვენტუსი | 20,7 მილიონი |
| წავიდა: | ლეონარდო ბიაჯინი | მერიდა | 1,6 მილიონი |
| | ფერნანდო კორეა | სანტანდერი | 2,3 მილიონი |
| | ხუან ესნაიდერი | ესპანიოლი | 5,6 მილიონი |
| | ხუან კარლოს გომესი | ვალიადოლიდი | 1,6 მილიონი |
| | დიეგო სიმეონე | ინტერი | 7,7 მილიონი |

### ბარსელონა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | დრაგან ჩირიჩი | ბელგრადის პარტიზანი | 2 მილიონი |
| | კრისტოფ დუგარი | მილანი | 6,5 მილიონი |
| | რუუდ ჰესპი | როდა | 2 მილიონი |
| | მიხაელ რაიციგერი | მილანი | 3,5 მილიონი |
| | ანტონიო ველამარინი | ოვიედო | უცნობია |
| | სონი ანდერსონი | მონაკო | 16 მილიონი |
| | რივალდო | დეპორტივო | 25,8 მილიონი |
| წავიდა: | ლორან ბლანი | მარსელი | 1,75 მილიონი |
| | ანხელ კუელერი | ბეტისი | 2 მილიონი |
| | გეორგ პოპესკუ | გალათასარაი | 4,06 მილიონი |
| | რონალდო | ინტერი | 29,5 მილიონი |

### ბეტისი (სევილია)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ოლი | ოვიედო | 7,3 მილიონი |
| | ანხელ კუელერი | ბარსელონა | 2 მილიონი |
| | ხორხე ოტერო | ვალენსია | 2 მილიონი |
| | ფერნანდო სანჩესი | ვალიადოლიდი | 5 მილიონი |
| წავიდა: | ხუან საბასი | მერიდა | უცნობია |
| | ხოაკიმ ვალერიო | მერიდა | უცნობია |
| | რობერტო რიოსი | ბილბაო | 13,5 მილიონი |

### სელტა (ვიგო)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | გორან ჯოროვიჩი | ცრვენა ზვეზდა | 1,6 მილიონი |
| | ზორან ჯოროვიჩი | ცრვენა ზვეზდა | 1,6 მილიონი |
| | მიჩელი | სალამანკა | 2 მილიონი |
| წავიდა: | ალეხო ინდიასი | ელჩე | 4 მილიონი |
| | ეუსებიო საკრისტაინი | ვალიადოლიდი | 1,3 მილიონი |

### დეპორტივო (ლა კორუნია)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სალაჰედინ ბასირი | ალ ჰილალი | 2,13 მილიონი |
| | ჯალმინია | პალმეირასი | 10 მილიონი |
| | ლუიზაუ | პალმეირასი | 4,6 მილიონი |
| წავიდა: | რივალდო | ბარსელონა | 25,8 მილიონი |
| | აიტორ ბეგირისტაინი | იაპონიის ურავა | 1,3 მილიონი |
| | მიროსლავ ჯუკიჩი | ვალენსია | მუქთი |
| | პიოტრ კოუბა | კაიზერსლაუტერნი | 600 ათასი |
| | ალფრედო სანტელმანია | სანტანდერი | 300 ათასი |

### ესპანიოლი (ბარსელონა)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ხუან ესნაიდერი | ატლეტიკო | 5,6 მილიონი |
| | კიკე მარტინი | მერიდა | 860 ათასი |
| წავიდა: | ხორდი ლარდინი | ატლეტიკო | 7,5 მილიონი |

### მალიორკა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | პალინია | კრუზეირო | 6,6 მილიონი |
| | ხუან კარლოს ვალერონი | ლას პალმასი | 2,3 მილიონი |
| წავიდა: | ტინო | ხიხონი | უცნობია |
| | ხოსე მანუელ კოლმენერო | ხიხონი | უცნობია |

### მერიდა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ფრანსისკო რუანო | ვალიადოლიდი | 300 ათასი |
| | ლეონარდო ბიაჯინი | ატლეტიკო | 1,6 მილიონი |
| | ივან გაბრიჩი | აიაქსი | 3,3 მილიონი |
| | ხუან საბასი | ბეტისი | უცნობია |
| | ხოაკიმ ვალერიო | ბეტისი | უცნობია |
| | კარლოს ნავარო მონტოია | ესტრემადურა | 3,3 მილიონი |
| წავიდა: | მანუელ კანაბალი | რეალი | 5,3 მილიონი |
| | კიკე მარტინი | ესპანიოლი | 860 ათასი |

### ოვიედო

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ხოსე ბულიუბაშიჩი | ტენერიფე | 1,2 მილიონი |
| | დელი ვალდესი | პარი სენ ჟერმენი | 1,66 მილიონი |
| | ხუან გონსალესი | ურუგვაის ნასიონალი | 2,16 მილიონი |
| წავიდა: | ოლი | ბეტისი | 7,3 მილიონი |
| | ანტონიო ველამარინი | ბარსელონა | უცნობია |

### რასინგი (სანტანდერი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | უგო პორფირიუ | ვესტ ჰემი | 500 ათასი |
| | ნელსონი | ურუგვაის ნასიონალი | 800 ათასი |
| | სიტესი | ვალენსია | 500 ათასი |
| | იგნასიო კონტე | ტენერიფე | მუქთი |
| | ფერნანდო კორეა | ატლეტიკო | 2,3 მილიონი |
| | ვაშინგტონ ტაისი | ურუგვაის პენიაროლი | 1,2 მილიონი |
| წავიდა: | ხოსე სალასარი | ურუგვაის ნასიონალი | უცნობია |
| | ხაიმე სანჩესი | რეალი | 2,3 მილიონი |

### რეალი (მადრიდი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | მანუელ კანაბალი | მერიდა | 5,3 მილიონი |
| | პედრო კონტრერასი | რაიო ვალეკანო | 600 ათასი |
| | დანიელ გარსია | სარაგოსა | 1,8 მილიონი |
| | ფერნანდო მორიენტესი | სარაგოსა | 6,6 მილიონი |
| | ხაიმე სანჩესი | სანტანდერი | 2,3 მილიონი |
| წავიდა: | რაფაელ ალკორტა | ბილბაო | 1 მილიონი |
| | მიკელ ლასა | ბილბაო | 1,2 მილიონი |
| | ლუის მილა | ვალენსია | 800 ათასი |

### რეალ სოსიედადი (სან სებასტიანი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | დიტმარ კუჰბაუერი | ვენის რაპიდი | 230 ათასი |
| | სა პინტუ | ლისაბონის სპორტინგი | 4 მილიონი |

### სალამანკა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სერხიო კორინო | ბილბაო | უცნობია |
| | რონენ ხარაზი | იერუსალიმის ბეითარი | 2,6 მილიონი |
| | მარკო ლანა | რომა | უცნობია |
| | აქსელ სმეტსი | გენტი | 260 ათასი |
| | ბოგდან სტელია | სტიაუა | უცნობია |
| | დუბრავკო პავლიჩიჩი | ერკულესი | 300 ათასი |
| წავიდა: | მიჩელი | სელტა | 2 მილიონი |

### სპორტინგი (ხიხონი)

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ტინო | მალიორკა | უცნობია |
| | ხოსე მანუელ კოლმენერო | მალიორკა | უცნობია |

### ტენერიფე

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | როი მაკაი | ვიტესი | 6,6 მილიონი |
| | სამუელ სლოვაკი | ბრატისლავას სლოვანი | უცნობია |
| | ფრედი ფირკლაუ | ვიტესი | 4 მილიონი |
| წავიდა: | ხოსე ბულიუბაშიჩი | ოვიედო | 1,2 მილიონი |
| | იგნასიო კონტე | სანტანდერი | მუქთი |
| | სეზარ გომესი | რომა | 3,5 მილიონი |
| | ფრანსისკო როხასი | კოლო-კოლო | უცნობია |

### ვალენსია

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ჟოსელინ ანგლომა | ინტერი | 1,8 მილიონი |
| | მარსელინიო | კორინთიანსი | 7,5 მილიონი |
| | მიროსლავ ჯუკიჩი | დეპორტივო | მუქთი |
| | ხუან ფრანსისკო გარსია | ლევანტე | 1 მილიონი |
| | ლუის მილა | რეალი | 800 ათასი |
| | მუსა საიბი | ოსერი | 3,5 მილიონი |
| წავიდა: | ფრანსისკო ფერეირა | ბილბაო | 330 ათასი |
| | ლეანდრო | ლისაბონის სპორტინგი | 4,6 მილიონი |
| | ხორხე ოტერო | ბეტისი | 2 მილიონი |
| | სიტესი | სანტანდერი | 500 ათასი |

### ვალიადოლიდი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ხუან კარლოს გომესი | ატლეტიკო | 2,3 მილიონი |
| | ხოსე ჩემა | ატლეტიკო B | 300 ათასი |
| | ეუსებიო საკრისტაინი | სელტა | 1,3 მილიონი |
| წავიდა: | ხაროლდ ლოსანო | ინდეპენდიენტე | 1,1 მილიონი |
| | ფრანსისკო რუანო | მერიდა | 300 ათასი |
| | ფერნანდო სანჩესი | ბეტისი | 5 მილიონი |

### სარაგოსა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ხორდი | ატლეტიკო B | 2,5 მილიონი |
| | ნორდინ ვუტერი | აიაქსი | 2,5 მილიონი |
| | გარი სუნდგრენი | სტოკჰოლმის აიკი | 830 ათასი |
| წავიდა: | გუსტავო პოიეტი | ჩელსი | მუქთი |
| | დანიელ გარსია | რეალი | 1,8 მილიონი |
| | ფერნანდო მორიენტესი | რეალი | 6,6 მილიონი |
| | ნაიმი | ლოგრონიესი | მუქთი |

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ატლეტიკო | | 10.05 | 08.03 | 25.01 | 12.04 | 26.10 | 23.11 | 07.09 | 09.11 | 17.12 | 15.10 | 08.02 | 04.01 | 11.01 | 12.11 | 22.02 | 28.09 | 29.03 | 07.12 | 29.04 |
| 2 | ბარსელონა | 21.12 | | 03.05 | 22.03 | 14.09 | 14.12 | 18.01 | 09.11 | 22.02 | 15.02 | 30.11 | 05.04 | 26.10 | 08.03 | 17.05 | 19.04 | 16.11 | 31.08 | 01.02 | 05.10 |
| 3 | ბეტისი | 02.11 | 17.12 | | 07.09 | 23.11 | 22.02 | 29.03 | 11.01 | 26.10 | 26.04 | 08.02 | 28.09 | 10.05 | 04.01 | 15.03 | 15.10 | 25.01 | 12.11 | 12.04 | 07.12 |
| 4 | ბილბაო | 14.09 | 12.11 | 18.01 | | 19.10 | 31.08 | 15.02 | 12.04 | 19.04 | 15.03 | 21.12 | 03.05 | 29.03 | 23.11 | 01.02 | 17.05 | 14.12 | 05.10 | 01.03 | 02.11 |
| 5 | დეპორტივო | 30.11 | 25.01 | 05.04 | 22.02 | | 16.11 | 03.05 | 15.10 | 10.05 | 07.09 | 09.11 | 08.03 | 28.09 | 08.02 | 19.04 | 22.03 | 26.10 | 14.12 | 04.01 | 11.01 |
| 6 | ესპანიოლი | 01.03 | 26.04 | 19.10 | 11.01 | 29.03 | | 12.11 | 04.01 | 15.10 | 07.12 | 28.09 | 25.01 | 17.12 | 10.05 | 02.11 | 08.02 | 07.09 | 15.03 | 23.11 | 12.04 |
| 7 | ვალენსია | 05.04 | 07.09 | 16.11 | 15.10 | 17.12 | 22.03 | | 08.02 | 14.12 | 11.01 | 08.03 | 26.10 | 25.01 | 28.09 | 30.11 | 09.11 | 22.02 | 19.04 | 10.05 | 04.01 |
| 8 | ვალიადოლიდი | 18.01 | 15.03 | 31.08 | 30.11 | 15.02 | 17.05 | 05.10 | | 05.04 | 02.11 | 03.05 | 14.12 | 12.11 | 29.03 | 14.09 | 21.12 | 19.04 | 01.02 | 19.10 | 01.03 |
| 9 | კომპოსტელა | 15.03 | 19.10 | 01.03 | 07.12 | 21.12 | 15.02 | 26.04 | 23.11 | | 05.10 | 18.01 | 17.05 | 02.11 | 12.11 | 29.03 | 01.02 | 17.12 | 12.04 | 31.08 | 14.09 |
| 10 | მალიორკა | 03.05 | 15.10 | 14.12 | 09.11 | 18.01 | 19.04 | 31.08 | 08.03 | 08.02 | | 05.04 | 16.11 | 22.02 | 26.10 | 21.12 | 30.11 | 22.03 | 17.05 | 14.09 | 01.02 |
| 11 | მერიდა | 15.02 | 12.04 | 05.10 | 10.05 | 15.03 | 01.02 | 02.11 | 17.12 | 07.09 | 23.11 | | 11.01 | 07.12 | 26.04 | 19.10 | 14.09 | 04.01 | 01.03 | 12.11 | 29.03 |
| 12 | ოვიედო | 05.10 | 23.11 | 01.02 | 17.12 | 02.11 | 14.09 | 01.03 | 26.04 | 04.01 | 29.03 | 31.08 | | 12.04 | 07.12 | 15.02 | 18.01 | 10.05 | 19.10 | 15.03 | 12.11 |
| 13 | რასინგი | 17.05 | 01.03 | 21.12 | 16.11 | 01.02 | 03.05 | 14.09 | 22.03 | 08.03 | 19.10 | 19.04 | 30.11 | | 09.11 | 31.08 | 14.12 | 05.04 | 18.01 | 05.10 | 15.02 |
| 14 | რეალი | 31.08 | 02.11 | 17.05 | 05.04 | 05.10 | 21.12 | 01.02 | 16.11 | 22.03 | 01.03 | 14.12 | 19.04 | 15.03 | | 18.01 | 03.05 | 30.11 | 14.09 | 15.02 | 19.10 |
| 15 | სალამანკა | 22.03 | 04.01 | 09.11 | 28.09 | 07.12 | 08.03 | 12.04 | 25.01 | 16.11 | 10.05 | 22.02 | 15.10 | 11.01 | 07.09 | | 26.10 | 08.02 | 23.11 | 26.04 | 17.12 |
| 16 | სარაგოსა | 19.10 | 07.12 | 15.02 | 04.01 | 12.11 | 05.10 | 15.03 | 10.05 | 28.09 | 12.04 | 25.01 | 07.09 | 26.04 | 17.12 | 01.03 | | 11.01 | 02.11 | 29.03 | 23.11 |
| 17 | სელტა | 01.02 | 29.03 | 14.09 | 26.04 | 01.03 | 18.01 | 19.10 | 07.12 | 03.05 | 12.11 | 17.05 | 21.12 | 23.11 | 12.04 | 05.10 | 31.08 | | 15.02 | 02.11 | 15.03 |
| 18 | სოსიედადი | 16.11 | 11.01 | 22.03 | 08.02 | 26.04 | 09.11 | 07.12 | 28.09 | 30.11 | 04.01 | 26.10 | 22.02 | 07.09 | 25.01 | 05.04 | 08.03 | 15.10 | | 17.12 | 10.05 |
| 19 | სპორტინგი. | 19.04 | 28.09 | 30.11 | 26.10 | 17.05 | 05.04 | 21.12 | 22.02 | 11.01 | 25.01 | 22.03 | 09.11 | 08.02 | 15.10 | 14.12 | 16.11 | 08.03 | 03.05 | | 07.09 |
| 20 | ტენერიფე | 14.12 | 08.02 | 19.04 | 08.03 | 31.08 | 30.11 | 17.05 | 26.10 | 25.01 | 28.09 | 16.11 | 22.03 | 15.10 | 22.02 | 03.05 | 05.04 | 09.11 | 21.12 | 18.01 | |

# რომან რურუა

## მეშვიდე ოცნების მოლოდინში

ხშირად დავფიქრებულვარ, თუ რას ნიშნავს ცოცხალი ლეგენდა. ლეგანდა ლეგენდაა და, რა თქმა უნდა, იგი მუდამ იცოცხლებს, მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩვენს გვერდით ცხოვრობს ადამიანი, რომლის სახელიც უკვე ლეგენდად იქცა. ასეთთა მოძიება საქართველოში, მით უმეტეს, სპორტში, ღვთის მადლით, არ ჭირს. მეც დიდი ჯაფა როდი დამჭირდა, ქართული სპორტის ნამდვილი ლეგენდა რომ მეპოვნა — რომან რურუას შინ, მცხეთაში ვეწვიე.

იცოცხლეთ, მასთან სტუმრობას არაფერი სჯობს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბატონ რომანთან თუნდაც იმიტომ ღირს მისვლა, ვინც არ იცის, ისწავლის, როგორც უნდა მოაწყოს კარ-მიდამო. იქნებ ვინმე შემედავოს, შენ საშუალება და სახსარი მომეცი და რურუაზე ნაკლები გემოვნება ვის ექნება, ენახოთო. კი, ბატონო, არის ამ სიტყვებში სიმართლის ნატამალი. მაგრამ მე მაინც ჩემსაზე ვდგავარ — რომან რურუამ რასაც მიაღწია, სპორტშიც და ცხოვრებაშიც, მხოლოდ გარჯითა და საქმის სიყვარულით. გემოვნება კი, რა თქმა უნდა, სხვაზე მეტი და უკეთესი აქვს.

სათქმელსა და საამბობს რა დაულევს რომან რურუას. მუდამ ტკბილმოუბარმა ლეგენდარულმა ფალავანმა არც ახლა დაიზარა ძველ ამბავთა თხრობა. ჰოდა, მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ.

— მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში დავიბადე. სიმართლე გითხრათ, ბავშვობაში ჭიდაობა მაინცდამაინც არ მიყვარდა, ფეხბურთს ვთამაშობდი, საკმოდ კარგადაც, მარტვილში, რომ იტყვიან, ტოლი არ მყავდა. ამიტომაც ახლობელთა რჩევით თბილისში წამოვედი და „ნორჩ დინამოელში" განვაგრძე ვარჯიში. ფიზიკურად კარგად ვიყავი მომზადებული, როგორც სოფლელი ბიჭი. ტანვარჯიშის ყველა იარაღზე ვვარჯიშობდი. შტანგასა და გირებს არ ვეპუებოდი და სისწრაფეც არ მაკლდა. მოკლედ, დიდი ფეხბურთისთვის ვიყავი გამზადებული და ვერ წარმოვიდგენდი, თუ ისეთი რამ შემოიჭრებოდა ჩემს ცხოვრებაში, რაც ფეხბურთზე უარს მათქმევინებდა. 16 წლის ვიყავი, თბილისში რომ ჩამოვედი. გითხარით, „ნორჩ დინამოელში" ვვარჯიშობდი, მაგრამ მალე შეიცვალა ჩემი გეგმები.

**— ბატონო რომან, თქვენზე მსმენია სრულიად შემთხვევით მოხვდა ჭიდაობაშიო. სხვათა შორის, დიდ სპორტსმენთა უმრავლესობა ასეა — სპორტში ბედნიერი შემთხვევა მოახვედრებსხოლმე. იქნებ, თქვენიც გაიხსენოთ.**

— თბილისში ჩემი კლასელი, ბათუმელი ილია ტულუში ჭიდაობდა. ერთხელაც ცნობილ პეტრეს ცირკში წავყევით მეგობრები ვარჯიშზე. ჩვეულებრივი დღე იყო, ვიფიქრე, წავალ, ილიას ვარჯიშს ვუყურებ, ცოტას გავერთობი და დავბრუნდები-მეთქი. რას ვიფიქრებდი, რომ ამ დღიდან იწყებოდა ჩემი ახალი ცხოვრება. ტულუშს ვარჯიშზე ვგულშემატკივრობდი. მისმა მწვრთნელმა ნერსეს აკოფოვმა ვარჯიშის დამთავრებისას შემათვალიერა და მითხრა — თუ ჭიდაობა გინდა, ხვალ 3 საათზე მოდი, ოღონდ ტრუსი და წინდები წამოიღეო. სიმართლე გითხრათ, მაშინ „ნორჩ დინამოელში" ცოტა ცუდად მქონდა საქმე, უმადურ ადამიანთა წყალობით ვიჩაგრებოდი. არა, ფეხბურთის მიტოვებას მაშინ არ ვფიქრობდი, მაგრამ მეორე დღეს მაინც მივედი ვარჯიშზე. მივედი და ნერსეს აკოფოვს მეტად მოვეწონე. ეგ კი არა, პირველსავე დღეს მითხრა — რომან, თუ დამიჯერებ, შენგან დიდი ჩემპიონი დადგებაო.

**— ალბათ, პირველი წარმატებებიც გემახსოვრებათ. იქნებ ისინიც გეხსენებინათ...**

— ჭიდაობაში ვარჯიშის დაწყებიდან ერთ კვირაში თბილისის ჩემპიონატზე ვიასპარეზე. წარმოიდგინეთ, გავიმარჯვე. არადა, ჯერ მოჭიდავისთვის აუცილებელი ტერმინოლოგიაც კი არა ვიცოდი. სამ თვეში პირველთანრიგოსანი გავხდი, ერთი თვის შემდეგ ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატი მოვიგე. კიდევ ერთი თვის შემდეგ, ჭიდაობაში მოსვლის მეხუთე თვეს კი ყველა საბჭოელ ჭაბუკს ვაჯობე ჩემს წონაში. მალე უფროსებში საქართველოს ჩემპიონიც გავხდი. სხვათა შორის, მაშინ ქუთაისში სამ სპორტის ოსტატს მოვუგე ახალბედა მოჭიდავემ და ვისაც ეჭვი ეპარებოდა ჩემს ტალანტში, ისინიც დარწმუნდნენ, რომ რომან რურუა ჭიდაობას იწყებდა.

დიახ, რომან რურუა იწყებდა ჭიდაობას და ისე შთამბეჭდავად, რომ ბევრს არც დაესიზმრება. იშვიათია ასეთი ამბავი: რურუას ნიჭმა ერთბაშად იფეთქა, მწვრთნელ-სპეციალისტები დაარწმუნა, რომ დიდმა ტალანტმა შეაბიჯა ჭიდაობის სამყაროში და ქომაგებიც ბლომად გაიჩინა. სწორედ ამ დროს ჩაუთქვა ნერსეს აკოფოვმა — ეს ბიჭი მსოფლიოს ჩემპიონი თუ არ გახდა, თავს მოვიკლავო. აუცხადა ნატვრა რომან რურუამ ამაგდარ მწვრთნელს. ეგ კი არა, ცოტა მეტიც მოუვიდა — სამგზის იჩემპიონა მსოფლიოში და ოლიმპიადაც მოიგო. მაგრამ მანამდე სპორტსმენის მეტად მძიმე და ეკლიანი გზა განვლო. 1960 წელს ჯერ კიდევ ახალბედა ფალავანმა საქართველოს ჩემპიონატზე უმძიმესი ტრავმა მიიღო, მძიმე ოპერაციაც გადაიტანა. უჯიათი ხასიათის ახალგაზრდა არ შეეპუა სენს, მალე შეუდგა თავის საქმეს, მაგრამ ვარჯიშისას კვლავ იტკინა ნაოპერაციევი ფეხი. მაშინ თქვა ჩვენში ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა, პეტრე იორდანიშვილმა — რურუას მზე ჩაესვენაო. გულში ჩაიდო დიდი მწვრთნელის ეს სიტყვები რომან რურუამ და ჩაუთქვა: კაცი არ ვიქო, შენი შეგირდები თუ გავახარო ხალიჩაზეო. რურუას ასეთი ხასიათი აქვს: მისი სიტყვა და საქმე ერთია და არც ამჯერად უღალატა საკუთარ თავს. — პეტრე იორდანიშვილის ვერც ერთი მოწაფე ვერ დაიკვეხნის, რურუა დავამარცხეო.



ამ ფანდის მნახველს რომან რურუასგან 3 წამში 8 ქულის მოგებაც არ გაუკვირდება

— ტრავმა გამიმიზეზდა, მთელი წელი გამიცდა, მაგრამ ქუთაისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ჭიდაობა მაინც დავაპირე. ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე სიყვითლე შემხვდა. ასეთ დროს, ალბათ, სიგიჟე იყო ჭიდაობაზე ფიქრიც კი, მაგრამ მაინც გავრისკე და წავედი ქუთაისში. ამ ჩემპიონატს საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსი არკადი ლენცი ესწრებოდა. ოთხი შეხვედრა მოვიგე საკმაოდ ცნობილ და ტიტულოვან ფალავნებთან, ფინალში გასასვლელი ბრძოლა კი მსოფლიოს ჩემპიონთან, ვლადიმერ სტანკევიჩთან დავთმე. საბოლოოდ მე-4 ადგილი დავიკავე. თურმე არკადი ლენცს ძალიან მოეწონა ჩემი ჭიდაობა. ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ისეთი ფანდი გავაკეთე, ლენცს ენა მუცელში ჩაუვარდა და გაოცებულმა თავზე წაივლო ხელები — ეს რა ვნახეო. ამ კაცმა საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელს, ვიჩესლავ კოვარსკის ქუთაისშივე უთხრა, რურუა ნაკრებში აიყვანეო. აი, ასე მოვხვდი დიდ სპორტში. სხვათა შორის, მაშინ ნაკრების ყველაზე უმცროსი წევრი ვიყავი — ცხრამეტი წლისა. ახლა გაახალგაზრდავდა ჭიდაობა, მაშინ კი ჩემი ტოლები მხოლოდ იწყებდნენ და ბევრ გამოჩენილ ფალავანს იმდროისთვის ამ ასაკში საკავშირო კი არა, საკუთარი რესპუბლიკის ნაკრების წევრობა ენატრებოდა.

ბედი არ მწყალობდა. მალე ისევ ტრავმა მივიღე და მთელი წელი გამიცდა. ახალგამოჯანმრთელებული საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-3 სპარტაკიადაზე წავედი. ათეულში მოხვედრაზე ვოცნებობდი. არა, საკუთარი თავის ფასი კი ვიცოდი, მაგრამ ისეთი გამორჩეული ფალავნები ასპარეზობდნენ, მეტის მონდომება თავხედობა იქნებოდა — გენადი საპუნოვი, იური გრიგორიევი, ვიქტორ კაცუბა, ოლეგ კარაგაევი. ეს ხალხი იმდროისთვის ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა არანაირ ტიტულს არ მოისაკლისებდა. მაგრამ კარაგაევით დავიწყე. ეს გამორჩეული ფალავნები გზადაგზა შემომეხარჯა და ფინალში გრიგორიევს შევხვდი. ეს კაცი ჩვარივით ვათრიე და სპარტაკიადის ჩემპიონიც გავხდი. ერთწლიანი შესვენების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც დამიძახეს.

სპორტში რაც სურდა, ყველაფერს მიაღწია რომან რურუამ, მაგრამ ვიდრე დიდ ფალავნად იქცეოდა, მასაც ჰქონდა პრობლემები, ბარიერები, რომელთაც ხელოვნურად უქმნიდნენ საბჭოური სპორტის ჩინოვნიკები. 1963 წელს რურუამ სადაც იასპარეზა, ყველგან გაიმარჯვა. სამსოფლიოსჩემპიონატო შესარჩევ შეხვედრებში გენადი საპუნოვი და იური გრიგორიევი დაამარცხა. აბა, რაღა იყო გასარჩევი, წესით, ჩემპიონატზე რურუა უნდა წასულიყო, მაგრამ ვერ გაბედეს ნაკრების თავკაცებმა ახალბედა ფალავნის წაყვანა და საპუნოვს აუნთეს მწვანე შუქი. ამანაც გაამართლა და ჩემპიონი გახდა. რა უნდა ექნა რომან რურუას. წყენა გულში არ ჩაიდო და გაათკეცებული ძალებით განაგრძო ვარჯიში. მით უმეტეს, ტოკიოს ოლიმპიადა კარს იყო მომდგარი.

ისე წავიდა რურუა ოლიმპიადაზე, არც ევროპისა და არც მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ უასპარეზია. გამგზავრება კი არც ისე იოლი აღმოჩნდა. თუმცა, ჯობს ისე ბატონ რომანს მოვუსმინოთ.

— რაკი მსოფლიოს ჩემპიონატზე საპუნოვი წავიდა, ნაკრების ხელმძღვანელებმა საოლიმპიადოდ ეს კაცი შეიგულეს. მით უმეტეს, ნაკრების მწვრთნელი კოვარსკი მისი პირადი მწვრთნელიც იყო. აბა, მათ წინ ვინ დაუდგებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად, ტოკიოში მე აღმოვჩნდი. იმდენად დამაჯერებლად ვუგებდი საპუნოვს, რომ კოვარსკიმ თავისი ვერ გაიტანა. ფაქტი იყო — საპუნოვზე აშკარად ძლიერი ვიყავი და მე მომცეს ოლიმპიადაზე თავის გამოჩენის შანსი.

**— მსმენია, რურუას იღბალი რომ ჰქონოდა, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი იქნებოდაო.**

— ალბათ, ასეა. ჯობს, დაწვრილებით მოგითხროთ. ტოკიოში პირველსავე შეხვედრაში რომის ოლიმპიადის ჩემპიონს თურქ სილეს ვძლიე, ამას იაპონელი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი საკურამა მივაყოლე, ფინალამდე სამი ბრძოლა მოვიგე და უნგრელ იმრე პოიაკს უნდა შევბრძოლებოდი. პოიაკი ჯერ არც ერთ საბჭოელ მოჭიდავეს არ დაემარცხებინა, თანაც ამ კაცმა სამ ოლიმპიადაზე იასპარეზა და სამივეგან მეორე იყო — ჩემპიონი ვერ გახდა. ჭიდაობის მიტოვებას აპირებდა და კარიერის გვირგვინად ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონობა ჩაითქვა. „ბაში-აჩუკი", ალბათ, გინახავთ და გაქონილი აბდუშაპილიც გემახსოვრებათ. სწორედ მასსავით გაქონილი გამოვიდა პოიაკი ხალიჩაზე. ხელი წავავლე თუ არა, დამიცურდა, ვერაფრით ვერ მოვიხელთე. მსაჯებმა შეხვედრა შეწყვიტეს. წავიდა პოლაკი, ქონი მოიცილა და ისე გამომეცხადა, მაგრამ ნაწილი მაინც შერჩენოდა და ხელი კვლავ მისხლტებოდა. მაინც შევძელი ჩემი საყვარელი ფანდის ჩატარება და პოიაკი 3-ქულიანზე დავატრიალე, მაგრამ მსაჯებმა არ დააფიქსირეს. შეხვედრა ფრედ — 0:0 დასრულდა. რაკი პოიაკს 6 შეხვედრა ჰქონდა ფინალამდე მოგებული, მე კი მხოლოდ 5, ოქროს მედალიც მას არგუნეს. ოლიმპიადის შემდეგ ფილას თავკაცებმა ნახეს შეხვედრის ჩანაწერი და ყველამ აღიარა, რომ მსაჯი შეცდა და 3 ქულა „მომპარა", მაგრამ წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა. ისე, პოიაკი კაცურად მოიქცა — ოლიმპიურ სოფელში სასტუმროში მოვიდა, შამპანურები მოიტანა და თან ბოდიში მომიხადა — ვიცი, მსაჯებმა გამამარჯვებინეს, თორემ ჩემპიონობა შენთვის ალალიაო. ამის შემდეგ კი დავმეგობრდით მე და იმრე პოიაკი, მაგრამ დაკარგულ ოქროს მედალს ვინ დამიბრუნებდა, ვერცხლისას დავჯერდი.

რომან რურუამ სამჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადიდანაც გამარჯვებული ჩამოვიდა, რაც ჩაუთქვა, ყველაფერი აისრულა, მაგრამ არც ევროპის ჩემპიონი და არც მსოფლიოს თასის მფლობელი არ ყოფილა. მიზეზი? ძალიან უბრალო — არც ევროპის ჩემპიონატზე და არც მსოფლიოს თასზე არ უასპარეზია. რომან რურუა არ არის ხარბი კაცი, თანაგუნდელებს უთმობდა და ამ შეჯიბრებებზე თავის გამოჩენის საშუალებას აძლევდა. საპუნოვი, კარაგაევი და გრიგორიევი იგებდნენ რურუას მოსავებ მედლებს. რომან რურუას სპორტული კარიერის გვირგვინი ოლიმპიური ჩემპიონობაა. მოდით, ამ ამბავზე შევჩერდეთ და კვლავ ბატონ რომანს მოვუსმინოთ.

— მეხიკოში, რომ იტყვიან, ულაპარაკოდ წამიყვანეს. ჩემს წონაში ყველას ვჯაბნიდი. ოლიმპიურ ჩემპიონობამდე 7 შეხვედრის მოგება დამჭირდა. სხვათა შორის, მეხიკოში ოლიმპიადის ბოლო დღეს ვჭიდავე, თანაც ჩემი წონის მოჭიდავენი ბოლოს გავედით ხალიჩაზე. მოკლედ, ოლიმპიური მედლების ბოლო კომპლექტი თამაშდებოდა. მანამდე საბჭოთა კავშირის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრებიდან ვერც ერთმა ფალავანმა ვერ ივარგა და გუნდი უოქრომედლოდ რჩებოდა. ჩემს იმედად იყვნენ მწვრთნელები. თუ ჩემპიონი ვერ გავხდებოდი, ცუდი დღე ელოდათ ნაკრების თავკაცებს — საბჭოელ მოჭიდავეთა ამგვარ მარცხს არავინ აპატიებდა. ღამის 12 საათზე გავედი ფინალში საჭიდაოდ. იაპონელი ფუძიმოტო დამხვდა. ნიჭიერი, ჭკვიანი და ტექნიკური მოჭიდავე იყო. ხალიჩაზე გასვლისთანავე, ჭიდაობისას, ფუძიმოტომ ხელი მომარტყა ცხვირში და ორთავე ნესტოდან სისხლი წამსკდა, რა თქმა უნდა, ექიმებმა ტამპონები გამიკეთეს. წარმოიდგინეთ მეხიკოს აუტანელი სიცხე და ცხვირში ტამპონები, თანაც ვჭიდაობ. პირითღა ვსუნთქავდი, არადა, იმ დროს მეხიკოში ნორმალურ პირობებშიც კი ჭირდა სუნთქვა. ამიტომ, აღარ გავრისკე და იაპონელს ფრთხილად ვეჭიდავე. ფრე მაწყობდა. თავიდან ვუგებდი, მაგრამ ფუძიმოტომ კონტრილეთზე დამიჭირა და გააყაიმა ანგარიში. შემდეგ ბევრს ეცადა, რომ ქულა აერთვა ჩემთვის, მაგრამ ახლოს არ მოვუშვი და შეხვედრა ფრედ — 2:2 დამთავრდა. ეს ანგარიში კი ჩემი ოლიმპიური ჩემპიონობის მაუწყებელი იყო.

მე არ მინახავს რომან რურუას ჭიდაობა, მაგრამ მსმენია — იგი შეხვედრის მეორე ნახევარს, მთელ 5 წუთს ფაქტობრივად, ტყუილად ჭიდაობდა, რადგან მეტოქეს ბრძოლის დაწყებისთანავე მოუთავებდა ხოლმე ხელს. 1970 წელს კანადის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალში კვლავ ფუძიმოტოს შეხვდა. იქნებ ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ რურუამ შეხვედრის დაწყებიდან 3 წამში 8 ქულა აართვა — 4 ორქულიანი. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა, მაგრამ მისი რეკორდი ვერავინ მოხსნა — შეხვედრის დაწყებიდან 3 წამში 8 ქულის მოგება დღემდე არავის ღირსებია. სწორედ მაშინ, კანადაში, რომან რურუა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფალავნად აღიარეს.

ამის შემდეგ რომან რურუამ სპორტი მიატოვა — ძველმა ტრავმებმა თავი შეახსენეს, არც ახალი იყო მისთვის უცხო ხილი, ამიტომაც სარბიელი სხვებს, ახალგაზრდებს დაუთმო. ჭიდაობის გარეშე კი ერთი დღე არ უცხოვრია — სამჯერ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იყო, ორჯერ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავკაცი, რაც შეეძლო, ყველაფერი გაიღო ქართული ჭიდაობისთვის. ასეთი კაცია — გულსგარეთ საქმის კეთება არ შეუძლია. სხვისგანაც ამას ითხოვდა მუდამ და ამიტომაც იყო, კონფლიქტიანი და ჯიუტი კაცის სახელი რომ დაიგდო. ძნელია ბატონ რომანთან მუშაობა, მაგრამ საქმეს თუ ერთგულე და თავად მას არ უღალატე, აუცილებლად მოიგებ. ეს ბევრს არ შეუძლია, ამიტომაც მტერი და მოშურნე არ აკლია ამ კაცს. ხუთჯერ მოიკვეთეს რომან რურუა სპორტის ჩინოვნიკებმა — სამჯერ ნაკრების მწვრთნელობიდან გადააყენეს, ორჯერ ფედერაციის პრეზიდენტობაზე ათქმევინეს უარი. შეუძლებელსაც სთხოვდნენ — გინდა თუ არა, შენი დარი ფალავნები გამოგვიზარდეო. რა ექნა რურუას, თუ მოჭიდავე არ ვარგოდა, ნიჭი და საქმის სიყვარული დაამადლა გამჩენმა, როგორ ექცია დიდ ფალვანად? შეუპოვარი კაცია იგი და საქმეს მუდამ გულით აკეთებდა. ამიტომაც იყო, მიხეილ სალამის, თემურ ყაზარაშვილის, ვახტანგ ბლაგიძისა და თემურ აფხაზავას გამარჯვებებში ლომის წილი დაიდო — ამ სახელოვანმა ფალავნებმა თავიანთი გამარჯვებების ნაწილი სწორედ რომან რურუას ხელმძღვანელობით მოიპოვეს.

რომან რურუა ბედნიერი კაცია — ამას არც თავად მალავს და ყველასთვის ცნობილია. ხუთი ოცნება ჰქონდა რომან რურუას და ხუთივე აიცხადა. დიდი მოჭიდავე უნდოდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. კარგი მანქანა უნდოდა რომ ჰყოლოდა და ახალი „ბიუიკიც" შეიძინა; წყნარი და მყუდრო ოჯახი ინატრა და კიდეც აისრულა, ოცნების სახლიც აიშენა მცხეთაში და მეხუთე ნატვრაც რეალობად იქცა — კარგ სამსახურში მუშაობს, სპორტნაწარმის ფაბრიკის სააქციო საზოგადოება „ლელოს" დირექტორია. ამ საქმესაც ჩვეული ერთგულებით უძღვება. არც მეწარმეობისას დაივიწყა სპორტი — 18 გამორჩეული სპორტსმენი „ლელოს" აქციონერია, რაც რომან რურუას დამსახურებაა.

ერთი ოცნება დაურჩა აუსრულებელი — სულით და გულით უნდა, საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია მართლა დამოუკიდებელი იყოს და კვლავ ბევრი დიდი ფალავანი გამოუზარდოს ქვეყანას. ამ ოცნების ასრულებასაც ცდილობს ბატონი რომანი. ქვეყნის პრეზიდენტიც კი შეაწუხა და მისი შემწეობით, ალბათ, მალე მიაღწევს კიდეც საწადელს. მართალია, მავანნი წინ ელობებიან და ხელს უშლიან, მაგრამ მეტოქეთა დამარცხება ხომ რომან რურუას ხელობაა და თავდაჯერებული აცხადებს, რომ მალე საქართველოს ღირსეული ჭიდაობის ფედერაცია ეყოლება.

ამჟამად მცხეთაში ცხოვრობს რომან რურუა, გემოვნებით მოწყობილ ულამაზეს სახლში. შრომისმოყვარე კაცს საკუთარი ხელით აქვს ყველაფერი გაკეთებული. საკუთარ მეურნეობასაც გვარიანად უძღვება და მოცალეობისას სულ შინ ტრიალებს — არც თვითონ ისვენებს და არც ოჯახის წევრებს ასვენებს. ეზოში ფეხბურთის მოედანი გააკეთა და მცხეთელი ბიჭები ლამის ყოველდღე ძია რომანის ეზოში ბურთაობენ, გაოფლილები კი იქვე გადაეშვებიან აუზში და გრილდებიან.

ასეთი კაცია რომან რურუა — მარტო სათავისოდ არაფერი უნდა, რაც აქვს და გააჩნია, ყველაფერს სხვას, მეგობრებს, მეზობლებს და ახლობლებს უნაწილებს.

ცხოვრობს რომან რურუა ბედნიერად მეშვიდე ოცნების მოლოდინში.

**ლევან ჯავახიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამპრასმა შავები ჩაიცვა

US OPEN

A USTA EVENT

### ოთხშაბათი

ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებმა მამაკაცთა პირველი წრის ყველაზე საინტერესო შეხვედრები ოთხშაბათისთვის მოიტოვეს. პირველ მათგანში ერთმანეთის პირისპირ ავსტრიელი ტომას მუსტერი (5) და ინგლისელთა



მუსტერი აგებს და... ანგლობს

კერპი თიმ ჰენმანი წარდგნენ. ესენი სრულიად განსხვავებულ ჩოგბურთს თამაშობენ — ავსტრიელი უკანა ხაზელია, ინგლისელი კი ბადესთან თამაშს ამჯობინებს. მატჩის წინ ჰენმანი თავად სტეფან ედბერგმა დაარიგა, რომელსაც მუსტერისთვის ათივე პირადი შეხვედრა მოუგია. შარშან მერვედფინალში თავად ჰენმანმაც დიდ შვედთან შეხვედრით დაასრულა ამერიკის ღია პირველობაზე ასპარეზობა. ინგლისელის ტაქტიკა — ძლიერი მოწოდება და ბადესთან სწრაფი გასვლა მომგებიანი აღმოჩნდა: მუსტერი ხშირ შემთხვევაში ამაოდ ცდილობდა კუთხეში გაგზავნილი ბურთების დაწევას. თამაშში რომ არაფერი გამოუვიდა, ავსტრიელმა ღლაბუცს მიჰყო ხელი და მაყურებელი ერთობ გაამხიარულა. ერთ-ერთი გათამაშების შემდეგ, როდესაც ენის გადმოგდებამდე ნარბენმა ბურთს მაინც ვერ მიუსწრო, ავსტრიელი მეტოქის მხარეს გადახტა და ჩოგნის ქნევით გამოუდგა უკან, ჰენმანმაც მხარი აუბა და ორივენი გასახდელში შევარდნენ. მთლიანად მატჩში ინგლისელმა 16 ეისი მოაწოდა და 133 მოგებული ქულიდან 71 ბადესთან მიითვალა. საბოლოო ანგარიშია 6:3, 7:6 (7:3), 4:6, 6:4 მის სასარგებლოდ. გამარჯვებულმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ შედეგი სულაც არ გაჰკვირვებია, რაკილა კარგად იყო მომზადებული და იდეალური ტაქტიკაც ჰქონდა არჩეული. მუსტერმა კი მეტოქე ახალგაზრდებში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ჩოგბურთელად მონათლა და უახლოეს მომავალში საუკეთესო ათეულში მოხვედრაც უწინასწარმეტყველა. თუ მატჩის შედეგმა, გარეგნულად მაინც, ავსტრიელი დიდად არ გაანაწყენა, იგი ძალზე აალელვა ჭორმა, თითქოს დოპინგტესტზე ჩავარდნილიყოს, ეტყობა, ვიღაცას ჩემი თამაშის სტილი ნამეტნავად არ მოსწონს და ძირს მითხრისო.

პირველსავე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი (13) და უკრაინელი ანდრეი მედვედევი. მედვედევი ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი იყო, მერე ქრონიკულმა ტრავმებმა გააწამა და ლამის ინვალიდად აქცია. წლის დამდეგს მან თითქოს აღიდგინა ძველი ფორმა, მაგრამ მერე და მერე წაგებებს უხშირა და საუკეთესო ოცეულიდანაც გავარდა. რაფტერი კი აღმავლობის გზაზეა და კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს, თუმცა წლევანდელი ხუთი ფინალიდან ვერც ერთის მოგება ვერ მოუხერხებია. მატჩმა ორ საათზე ნაკლები გასტანა და ავსტრალიელის გამარჯვებით დასრულდა 6:3, 6:4, 7:5. რაფტერს წინა კვირაში მხარი აწუხებდა, ამიტომ ესპანელ კარლოს მოიას მორიგ წაგებულ ფინალში მთელი ძალით არ ეთამაშა, რაკილა „ოუფენზე" მინიმუმ ნახევარფინალამდე მიღწევა გადაუწყვეტია: „მე გამარჯვების შანსიც მაქვს. ბევრისთვის ადრეც მომიგია და ჩემი თამაშითაც სავსებით კმაყოფილი ვარ".

ორიოდე წლის წინ ვეინ ფერერა და ალბერტო ბარასატეგი მერვედფინალამდე ვერასდიდებით ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რაკილა ორივე საუკეთესოთა ათეულში იმყოფებოდა, ახლა კი ამათ შავი დღეები უდგათ და კლასიფიკაციაში უკანუკანლა მიიწევენ. დაძაბულ ორთაბრძოლაში სამხრეთაფრიკელმა იმარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორი სეტი ბარასატეგის მოეგო 6:7 (0:7), 2:6, 6:3, 6:1, 6:3. ასევე ორი სეტის წაგების შემდეგ მოახერხა მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა როლან გაროსის ორგზის გამარჯვებულმა სერხი ბრუგერამ. მისმა უკანა ხაზზე თამაშის ტაქტიკამ ნაყოფი მხოლოდ მატჩის შუისთვის გამოიღო, როდესაც მეტოქე — ავსტრალიელი მაიკლ ტებუტი გვარიანად დაიღალა 3:6, 4:6, 6:3, 6:2, 6:2. მეორე წრის ერთადერთ მატჩში კი ავსტრალიელმა „სკადმა" ფილიპუსისმა (14) ფრანგი ჟერომ გოლმარი დაამარცხა 7:6, 6:2, 1:0. (ფრანგმა ტრავმა მიიღო).

**პირველი წრე: ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — ხუან ანტონიო მარინი (ესპანეთი) 7:6, 6:3, 4:6, 6:1; მარსელო რიოსი (10 ჩილე) — ლუკ სმიტი (ავსტრია) 6:1, 6:1, 6:4; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — პიტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:4, 6:2, 6:2; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:7, 6:4, 6:2, 6:3; პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:6, 6:0, 6:7, 6:7, 6:3.**

ქალებმა უკვე მეორე წრის შეხვედრები გამართეს და პირველი დიდი სენსაციაც აღინიშნა. ფრანგმა სანდრინ ტესტიუდ, ვინაც მონიკა სელეშს უიმბლდონი ჩააშხამა, როლან გაროსის ჩემპიონი ხორვატი ივა მაიოლი (4) დაამარცხა 6:4, 2:6, 6:1. ტესტიუმ მაიოლის წინა კვირაშიც მოუგო უფრო მცირე ტურნირზე, წლის განმავლობაში კი სხვა არაერთი ბობოლაც გამწარა. მაიოლიმ წარუმატებლობა იმ დიდ ზეწოლას დააბრალა, რაც დიდი სლემის ტურნირის გამარჯვების შემდეგ დააწვა მხრებზე, ჩემგან ყველა გამარჯვებას მოელის, მე კი ამისთვის მზად არა ვარო. რუმინელმა ირინა სპირლეამ (11) ტურნირის ორგანიზატორებს დათვური სამსახური გაუწია: ქალის ყადრის მცოდნე კაცების მთავარი სატყუარა — რუსი ანა კურნიკოვა გააგდო 6:1, 3:6, 6:3. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან რუმინელი თავის 16 წლის მეტოქეზე სასტიკად გაბოროტებული ყოფილა: „მინდოდა, ყველა ისინი ჩამეჩუმებინა, ვინც ამდენს ფიქრობს ამ გოგოზე. გამაღიზიანებელია, როდესაც განთესილი ხარ და ცენტრალურ კორტზე არ გათამაშებენ, ის კი განუთესავია და ყველას ყურადღება მაინც მისკენაა მიპყრობილი". სამაგიეროდ, მეორე მცირეწლოვანმა — ამერიკელმა ვინუს ვილიამსმა მესამე წრეს უპრობლემოდ უწია. ესპანელი გალა ლეონ გარსიას საძლევად მას სულ 35 წუთი დასჭირდა 6:0, 6:1.

**სხვა შედეგები: ანკე ჰუბერი (8 გერმანია) — ჯანეტ ლი (აშშ) 6:2, 6:1; მარი პირსი (9, საფრანგეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 6:2, 3:0 (ფარინამ ტრავმა მიიღო); მონიკა სელეში (2, აშშ) — ტარა სნაიდერი (ჰიუსტონი) 6:2, 6:3; ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) — ალექსია დეშომ-ბალრე (საფრანგეთი) 6:1, 6:1; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 5:7, 6:3, 7:5; ნატაშა ზვერევა (ბელორუსია) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:4, 3:6, 6:3; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 3:6, 6:2, 6:4.**

### ხუთშაბათი

დღის დასაწყისმა პირველობის ორგანიზატორებს წლევანდელი უიმბლდონის არცთუ სახარბიელო მოგონებები აღუძრა: მატჩების დაწყება თავსხმა წვიმის გამო ხუთი საათით გადაიდო. მაგრამ,



მაიოლის სიმწრის ოფლი მოუხშირდა

საბედნიეროდ, ნიუ იორკი ლონდონი არ არის და აქ არც ორი დღე წვიმს გაუღებლივ: დღის ბოლოსთვის ერთეულთა ყველა შეხვედრის დასრულება მოხერხდა, დაზარალებულთა შორის კი მხოლოდ წყვილთა თანრიგის მოთამაშეები აღმოჩნდნენ.

პიტ სამპრასს ხშირად საყვედურობენ კორტსგარეთ უნიათო ქცევასა და კორტზე ერთფეროვან ჩაცმულობას. ამერიკის ღია პირველობისთვის მსოფლიოს ჩოგბურთის ლიდერმა თავის გარდერობში მცირე ცვლილება შეიტანა: ტრადიციული თეთრის ნაცვლად ფეხზე შავი წაღები ჩაიცვა. ჟურნალისტების ასალაპარაკებლად კი ესეც საკმარისი აღმოჩნდა. თუმცა, სამპრასი ექსცენტრულობაში ამაზე შორს წასვლას არ აპირებს — არც თმებს შევიღებავ როდმანივით და არც აგასივით ვარდისფერ ტრუსებს ჩავიცმევო. რაც შეეხება თამაშს, აქ არანაირი ცვლილება არ შეინიშნება — პიტი ყველა მეტოქეს კვლავ დაუნდობლად უსწორდება. მორიგი მსხვერპლი გერმანელი პატრიკ ბაური გახდა: პირველმა ჩოგანმა საათსა და 39 წუთში მოიგო 7:5, 6:4, 6:3.

პირველი წრის გაჯანჯლებული ხუთსეტიანი თამაშის შემდეგ იოლად მოიგო სამპრასის პოტენციურმა მეტოქემ მეოთხედფინალში — ბრაზილიელმა გუსტავო კერტენმა (9). მისი მეტოქე წინა კვირაში აშშ-ის ვაკეთა პროფესიული პირველობის გამარჯვებული, ჰოლანდიელი შენგ სხალკენი იყო. თუმცა, 20 წლის ბრაზილიელს მისი ძლევა არ გასჭირვებია 6:4, 6:4, 6:2.



სამპრასი იმიჯს იცვლის

მოიგო სამპრასის სანახევარფინალო მეტოქემ, ესპანელმა ალექს კორეჩამაც (6). ამის სტაბილურ თამაშს უკანა ხაზზე ძლიერმა ჩეხმა ბოგდან ულირახმა ვერაფერი დაუპირისპირა — 7:5, 6:4, 3:6, 6:4. შარშან ჯერ კიდევ უცნობმა კორეჩამ მუცელმტკივან სამპრასს ოთხსაათიანი ბრძოლა გაუმართა, რაც ტურნირის საუკეთესო მატჩადაც მონათლეს. მატჩის შემდეგ ესპანელს ჰკითხეს, სამპრასთან სავარაუდო მატჩს მოუთმენლად თუ მოელითო, რაზეც მან უპასუხა, პიტთან შეხვედრა ყველაზე ნაკლებ მწადიაო.

**მეორე წრე: ფელიქს მანტია (12 ესპანეთი) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 7:5, 6:4, 6:2; პეტერ კორდა (15, ჩეხეთი) — მარციო მარტელი (იტალია) 6:3, 7:6, 7:6; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — მარკუს ონდრუსკა (სამხრეთ აფრიკა) 7:6, 6:4, 6:1; რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) 7:6, 6:2, 7:5; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:5, 6:4, 6:0; ჯეფ ტარანგო (აშშ) — გიიომ რაუ (საფრანგეთი) 6:4, 6:7, :2, 6:4.**

ქალებში მხოლოდ ერთი განთესილი გავარდა. 17 წლის ბელარუსმა ოლგა ბარაბანშიკოვამ, ვინც ჭიპში გაჩრილი რგოლით უიმბლდონზე ფურორი მოახდინა, ქალთა ჩოგბურთში უსწრაფესი მოწოდების მქონე ჰოლანდიელ ბრენდა შულცმაკარტის მოუგო 6:3, 6:3. 15 წლის ხორვატმა მირიანა ლუჩიჩმა, რომელიც თავის პირველ დიდი სლემის ტურნირში გამოდის, ამერიკელი ბრი რიპნერი გაანადგურა 6:0, 6:1. ლუჩიჩი პირველობისთვის მარტინა ჰინგისთან ერთად ემზადებოდა ამ უკანასკნელის მიწვევით. მისი შემდეგი მეტოქე კი მესამედ განთესილი ჩეხი იანა ნოვოტნა იქნება. იანას უიმბლდონის ფინალში მიღებული ტრავმა ჯერაც ვერ მოურჩენია, თუმცა, მკლავის ტკივილს ინდონეზიელი იაუკ ბაზუკის ძლევაში მისთვის ხელი არ შეუშლია 6:4, 6:2. ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა (7) წითელი ეპოქის დროინდელი ნაცნობი სახელისა და გვარის მქონე ინგლისელი — სამანტა სმიტი დაჯაბნა — 6:1, 6:0.

**მეორე წრე: მერი ჯო ფერნანდესი (12, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 4:6, 6:2, 6:2; არანჩა სანჩეს ვიკარიო (10, ესპანეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:2, 5:7, 6:2; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — დენისა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:2; კიმბერლი პო (16, აშშ) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 4:6, 7:5; ლინდსი დევენპორტი (6, აშშ) — ვილტრუდ პრობსტი (გერმანია) 6:2, 6:3; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — ლუდმილა რიხტეროვა (ჩეხეთი) 7:5, 6:1; პეტი შნაიდერი (შვეიცარია) — იუკა იოშიდა (იაპონია) 4:6, 6:2, 6:4.**

ავთანდილ სვანიძე



კურნიკოვას არაფერი გამოუდის

## გაგება! დობა! ერთობა!

ჩოგბურთელ ქალთა კავშირის შეფი ენ პერსონ ვორჩესტერი ამაოდ ცდილობდა ხელქვეითებში ურთიერთპატივისცემისა და გულითადობის ატმოსფეროს დანერგვას. ჰოდა, რაც ფუნქციონერებმა ვერ მოახერხეს, 16 წლის მარტინა ჰინგისმა შეძლო.

გასახდელებიდან ახლა სიცილი ისმის, საღამოობით მეტოქენი უფრო ხშირად სეირნობენ ერთად და ერთადაც ატარებენ დროს. არავის არ შურს პატარა შვეიცარიელის, რომელიც 31 მარტის შემდეგ პირველი ჩოგბურთელია.

ჰინგისი მილიონერია — საპრიზო ჯილდოებით 2,5 მილიონი დოლარი მოიხვეჭა, სპონსორთაგან კი 20 მილიონი. უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ მესამე ცხენიც შეიძინა და ციურიხის გარეუბანში მდებარე 3 მილიონ მარკად ღირებული სახლიც, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა.

მარტინა ყველას უყვარს. იუდიტ ვიზნერი: „მან ურთიერთგაგება დანერგა, ჩვენ ახლა უკეთ ვუგებთ ერთმანეთს". არანტა სანჩესი: „ჩვენ შესანიშნავად გვესმის ერთმანეთისა". ლინდსი დავენპორტი: „მას მერე, რაც მარტინა ჩვენს შორისაა, ბოლოს და ბოლოს მოვესწარი, რომ გასახდელში მხიარულება სუფევს. ის გენიალური ადამიანია". თავად ჩეხი იანა ნოვოტნა, რომელსაც ჰინგისმა უიმბლდონის მოგების ალბათ ბოლო შანსი წართვა, მასზე გულმოსული სულაც არაა: „ის პროფესიონალი და ამავე დროს სავსებით ნორმალური ადამიანია" — თქვა ნოვოტნამ.

რით მოიგო მარტინა ჰინგისმა კოლეგათა გულები? უბრალოდ, ის მხიარული და კეთილმოსურნეა. მას შემდეგ, რაც პირველი ნომერი გახდა, კონკურენტები შინ მიიწვია და ჩინებული წვეულება მოუწყო. უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ გასახდელში შამპანური და ტორტი მოატანინა და მიუხედავად იმისა, რომ შერეულ წყვილში უნდა ეთამაშა, თავადაც კარგად მოულხინა. „არც კი ვიცი, როგორ ვახერხებ, ვზარმაცობ და უარს არაფერზე ვამბობ, მაგრამ შეხვედრებს მაინც ვიგებ", — ამბობს ჰინგისი.

თავის უდარდელ და მხიარულ ხასიათზე კი ამას ამბობს: „ალბათ იმდენად პატარა ვარ, რომ ვერ ვაცნობიერებ, რას წარმოვადგენ, მე მხოლოდ პირველ წრეში დამარცხების მეშინია".

ერეკლე ძიძიგუაშვილი




ჰინგისი ჩოგბურთის ძუ ლომების მოთვინიერებაში უბადლოა

# რაგბი



# ქალმა თუ აიშვა

რაგბი ბოლო დრომდე ვაჟკაცთა თამაშად მიგვაჩნდა, მაგრამ უცხოეთში ბოლო ხანს ისე წასულა საქმე, რომ დიაცები ტრიბუნებიდან და კლუბების ბარ-ოფისებიდან მოედანზე გაჭრილან.

გაჭრილანო, მსუბუქადაა ნათქვამი. ვითარება მეტად სერიოზულია. ზოგმა ურწმუნო თომამ შეიძლება არც დაიჯეროს, მაგრამ გაისად, 2-16 მაისს ჰოლანდიაში ქალთა მესამე მსოფლიო თასი უნდა გათამაშდეს.

რაგბში ქალთა როლის გამო ირბ-ც ბოლო დრომდე კავკასიელთა აზრზე იდგა. ამიტომ იყო, რომ მსოფლიო თასი დედაკაცებმა ორჯერ მის უკითხავად გაითამაშეს. ამან რაგბის გამგებელ ჯენთლმენებს აფიქრებინა, ემანდ მრუდე გზით არ წავიდეს სუსტი სქესის ბურთაობის საქმეო. პროცესისთვის სწორი მიმართულება რომ მიეცა, ირბ-მა ქალებს ლაგამი ამოდო — გახსნა მათი საქმეთა გამრიგე კომიტეტი და მსოფლიო თასის გამართვაც გადაიბარა.

III მსოფლიო თასზე არნახულად ბევრი — 16 ქვეყანა გაგზავნის გუნდს. ესენი არიან 1991 წლის ჩემპიონი აშშ, 1994 წლის გამარჯვებული ინგლისი, ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ყაზახეთი (!), ჰოლანდია, ახალი ზელანდია, რუსეთი, შოტლანდია, ესპანეთი, შვედეთი და უელსი. ჩამონათვალში ყაზახეთი იმიტომ გამოვყავით, რომ ამ ქვეყანას ვაჟთა კლუბი აღარა ჰყავს და ივლისამდე არც ირბ-ის წევრი იყო, რის გამოც იქაური ქალები ვერ ითამაშებდნენ მსოფლიო თასზე. ახლა ეს ხინჯი გამოსწორდა.

შეჯიბრება ამსტერდამის ახალ, ჰოლანდიის კვალობაზე ტევად — 5 ათასიან რაგბის ეროვნულ ცენტრში გაიმართება. მის აშენებაში წილი დაიდეს ქვეყნის მთავრობამ, ქალაქის საბჭომ, ლატარიამ და მელუდე „ჰაინეკენმა".

ემანდ გოგოები არ დაგველალონო და ორგანიზატორებმა გათამაშების ორიგინალური სისტემა მოიფიქრეს. შედგება 4 ოთხგუნდა ჯგუფი. თითო მონაწილე სამის ნაცვლად ოდენ ორ თამაშს გამართავს. თუ როგორ გამოვლინდებიან მეოთხედფინალისტები, ალბათ მხოლოდ ბრძენთა-ბრძენ ირბ-ელებს თუ მოეხსენებათ.

იმ უქმეებზე, მძლეთამძლე ზელანდიის „ოლ ბლექსი" სამეულის სერიალის ბოლო მატჩს რომ მართავდა, ქვეყნის პროვინციათა პირველობაც გაჩაღდა.

ეს შეჯიბრი სამ ჯგუფად იმართება. თითოში 9 პროვინციაა. მონაწილეთა დონეთა შორის ზოგჯერ კატასტროფული სხვაობაც კია. მთელ ღონისძიებას ეროვნული ავიაკომპანია — „ეარ ნიუ-ზილენდი" სპონსორობს.

რაკი ნაკრების მოთამაშეები პირველ ტურში სერიალით იყვნენ დაკავებული, საშინაო პირველობაში მეორიდანლა ჩაებნენ. და მაინც, ჩემპიონ ოქლენდს არ ყავდა და კიდევ კარგა ხანი ვერ ეყოლება „ოლ ბლექსის" კაპიტანი და კვაჰი შონ ფითსპატრიკი, ვინაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ოჯახიანად ფიჯზე გაუტია დასასვენებლად. უმისოდ ოქლენდმა პირველი მატჩი წააგო თარანაქისთან, რომელიც გავარდნის რეალურ კანდიდატად მიიჩნეოდა. ამაზე ჰენრიმ თქვა, ჩემს შეგირდებს ეგონათ, თამაშს ოდენ სტადიონზე მიბრძანებით მოიგებდნენო და მედიას მოუწოდა, კრიტიკით გუნდის ჭკუაზე მოყვანაში შემეწიეთო.

ოქლენდის ბედად, თამაში ზელანდიურ სინზე — რანფერლის ფარზე არ იყო, თორემ თარანაქი შარშანდელის დარად წაართმევდა მას ქვეყნის უბობოლეს პროვინციას. ზუსტად ერთი წლის წინ ნიუ-პლიმუთის გუნდმა 42:39 მოიგო და ფარს დაეუნჯა, მაგრამ მერე მალევე დაკარგა და ფარი ბოლოსდაბოლოს ისევ ოქლენდს მიუვიდა.

ოქლენდმა ფარი წელს უკვე ორჯერ დაიცვა: 22 ივლისს სტუმრად, ქალაქ როტორუაში 19 ლელო გაუტანა III ჯგუფელ „აღმოსავლეთ სანაპიროს" და 116:6 მოუგო. ამისგან განსხვავებით, 23 აგვისტოს ბევრად უფრო სერიოზული მეტოქე ყავდა — I ჯგუფიდან შარშან გავარდნილი ნორსლენდი (ფონგარეი). თამაში ოქლენდში გაიმართა, უფერული გამოვიდა და მასპინძელთა გამარჯვებით 47 (7ლ) : 14 (ლ) დასრულდა.

ვიდრე ოქლენდი მარცხდება ან უქმობს, ცხრილს კენწეროში ქენთებრი და ქაუნთიზ-მანუკაუ მოექცნენ. პირველში ნახევარმცველები — მარშალი და მერთენსი თამაშობენ. ამ გუნდმა მეტოქეებს შავი დღე აყარა და ორ ტურში მაქსიმუმი — 10 ქულა მოიხვეჭა.

ქაუნთიზ-მანუკაუს გარემარბებად ორი ფიჯელი — ჯოელი ვიდირი და ჯონა სიო (Qio) ყავს. მასშივე ირიცხება კიდევ ერთი ჯონა — მთა-კაცი ლომუ, ვისაც იანვრიდან თირკმლების იშვიათი

## მთა-კაცი ფარზე ბრუნდება



სენი — ნეფროტული სინდრომი აღმოაჩნდა და ძლიერი. მედიკამენტებით რომ არ ემკურნალა, ქრონიკულად დაავადდებოდა.

ლომუს წამლობა მოუხდა. ექიმებმა ბევრგზის გასინჯეს და დაასკვნეს, განიკურნაო. ჯონა ვარჯიშს ნელ-ნელა შეუდგა და მალე თამაშსაც აპირებს. მისი პროვინციის მწვრთნელები — მაკ მაკქალიონი და ენდრიუ ტალაიმანუ აცხადებენ, ლომუს სათადარიგოთა სკამზე დავსვამთ და ამ უქმეებზე ველინგთონთან თუ არა, იქეთებზე ქენთებრისთან ბოლო 20 წუთში შევუშვებთ მოედანზეო.

ქაუნთიზ-მანუკაუელებს იმედი ქონიათ, რომ ჯონა ნაღდად მოკეთდება 17 სექტემბრისთვის, როცა ოქლენდთან ფარისთვის ცილობა დაუთქვამთ.

ნიკო ვეფხვაძე

ახლა არ იკითხავთ, ვინ გაიმარჯვებს? — მართალია, ჩემპიონი ინგლისია, მაგრამ კაცებისა არ იყოს, არა გვგონია, ქალთა „ოლ ბლექსს" ვინმე გაუძალიანდეს. ზელანდიელმა დიაცებმა გაგანია აგვისტოში ზედიზედ ორი თამაში გამანადგურებელი ანგარიშით მოიგეს: ინგლისელი ქალები ქრაისთჩერჩის შემოგარენში მდებარე სამხედრო ნაწილის სტადიონზე 67:0 დაანგრიეს, ავსტრალიელ „ვოლარუებს" (ქალ „ვოლაბებს" ასე უხმობენ!) კი დანიდინში, ვაჟთა ნაკრებების მატჩის წინ ეთამაშნენ და აქაც მშრალად — 40:0 გაიმარჯვეს.

როიტერ-ის ფოტოზე პირველი თამაშია აღბეჭდილი. ზელანდიელ ანა-ლიი რაშს ბურთზე. ინგლისელი ჯეინ მოლინო ეპოტინება.

ლუკა ჯორჯიაშვილი

AIR NEW ZEALAND NPC

**ახალი ზელანდიის პირველობა**

I ტური (15-17. 08): ვაიქათო 23 — ოთაგო 13; ქაუნთიზ-მანუკაუ 28 — ჩრდ. ნავსაყუდელი 21; თარანაქი 19 — ოქლენდი 17; ქენთებრი 73 — ველინგთონი 7

II ტური (22-24. 08): ვაიქათო 16 (ლ) — ქაუნთიზ-მანუკაუ 18 (2ლ); ველინგთონი 35 (4ლ) — ჩრდ. ნავსაყუდელი 17 (3ლ); საუსლენდი 20 (3ლ) — ქენთებრი 42 (5ლ); ოთაგო 36 (3ლ) — თარანაქი 30 (3ლ)

| პირველი ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქენთებრი (ქრაისთჩერჩი) | 2 | 2 | - | - | 2 | 115: 27 | 10 |
| ქაუნთიზ-მანუკაუ (პუკეკოე) | 2 | 2 | - | - | - | 46: 37 | 8 |
| ვაიქათო (ჰამილთონი) | 2 | 1 | - | 1 | 1 | 39: 31 | 5 |
| თარანაქი (ნიუ-პლიმუთი) | 2 | 1 | - | 1 | 1 | 49: 53 | 5 |
| ველინგთონი | 2 | 1 | - | 1 | 1 | 42: 90 | 5 |
| ოთაგო (დანიდინი) | 2 | 1 | - | 1 | - | 49: 53 | 4 |
| ოქლენდი | 1 | - | - | 1 | 1 | 17: 19 | 1 |
| ჩრდ. ნავსაყუდელი (ოლბანი) | 2 | - | - | 2 | 1 | 38: 63 | 1 |
| საუსლენდი (ინვერქარგილი) | 1 | - | - | 1 | - | 20: 42 | 0 |

# ველორბოლა

## ტკივილი ქლია

მეტრეკეები აზიზა ხალხია. უთქვამთ, პერთის (დას. ავსტრალია) „მიდველ დორუმში" სათანადოდ რომ არა ცხელა, შრთულვაზე მეტი ჩალი გვეხარჯება, ტრეკიც ხისტია და ჰაერის წინაღობაც მეტი; ამიტომ რეკორდებს ამ მსოფლიო პირველობაზე ნუ ელითო.

რეკორდი მაინც დამყარდა — ოლიმპიურ სპრინტში, თანაგუნდელები რიგ-რიგობით რომ ლიდერობენ და ყოველ წრეზე მოწინავე ეთიშება რბოლას. ფრანგებმა თავიანთი მიღწევა პრეს-კონფერენციაზელა შეიტყვეს და გაოცდნენ.

იმ დღეს გალებმა მეორე ოქროც მიითვალეს: ატლანტის ვერცხლის პრიზიორმა ერმენომ დევნის ფინალში მეთოდურად დაჭანცა რუსი მარკოვი, ვინაც ნახევარფინალში იტალიელი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი კოლინელი გათიშა.

ფრანგებს ოქრო პირველ დღესაც ერგოთ, თუმც კი დაჯილდოება ერთი დღით დაგვიანდა. მანმა ქეირინის ბოლო მოსახვევში გვარიანად ჩამოიტოვა ლიანგი, რომელშიც გზის შეკვრისთვის კიაპა მეორე ადგილიდან დააქვეითეს, ფიდლერი კი — მესამედან. საჩივრების განხილვა გვიან ღამემდე გაგრძელდა.

დღის გმირი 25 წლის მასპინძელი ქელი იყო, ვიქტორიის შტატის ქალაქ არარატში (!) რომ ბინადრობს. მას ზურგი და ბეჭი აწუხებდა, მაგრამ ზედიზედ მესამედ მაინც მოიპოვა დუნიის უჩაუქესი მრბოლის ტიტული. არადა, შეინს ატლანტაში სტარტზე სატერფულიდან დაუცდა ფეხი და ოლიმპიური იმედები დაემსხვრა.

ქელი ჯანზე ყოფილა — სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზეც იასპარეზებს, უახლოეს მიზნად კი გდრ-ელი ლოთარ თომასის რეკორდის გაუმჯობესება დაუსახავს: ამას მოყვარულობის ხანაში 1977 წლიდან ზედიზედ ოთხჯერ მოუგია ჩაუქობა.

მიხო ნინუა

27. 08. ქეირინი: 1. ფრედერიკ მანი (საფრანგეთი); 2. ჟან-პიერ ფანზილი (სამხრეთი აფრიკა); 3. მართი ნოთსთეინი (აშშ); 4. დარენ პილი (ავსტრალია); 5. რობერტო კიაპა (იტალია); 6. იენს ფიდლერი (გერმანია)

1 კმ ჩაუქობა: 1. შეინ ქელი (ავსტრალია) 1.03,156; 2. სორენ ლაუსბერგი (გერმანია) 1.03,397; 3. შტეფან ნიმკე (გერმანია) 1.03,470; ... 19 (ბოლო). გრიგორ გრიგორიანი (სომხეთი) 1.07,771

მედისონი (50 კმ): 1. მიგელ ალსამორა და ხუან იანერასი (ესპანეთი) 21 ქულა და წრე; 2. სილვიო მარტინელი და მარკო ვილა (იტალია, ჩემპიონები) 30 ქულა; 3. გაბრიელ და ხუან კურუშეტები (არგენტინა) 28 ქულა

28. 08. 4 კმ დევნა: 1. ფილიპ ერმენო (საფრანგეთი) 4.23,059 — 2. ალექსეი მარკოვი (რუსეთი) 4.27,350; 3. ანდრეა კოლინელი (იტალია) 4.27,511; 4. შტეფან შტაინვეგი (გერმანია) 4.29,317

ოლიმპიური სპრინტი: 1. საფრანგეთი (ვენსან ლეკელეკი, ფლორიან რუსო, ანრო ტურნანი) 44,926 — 2. გერმანია (ლაუსბერგი, ერიკ პოკორნი, იან ფანაიდენი) 47,454; 3. ავსტრალია (დანი დეი, შონ იდი, ქელი) 46,268 — 4. საბერძნეთი 46,496

29. 08. ქალთა სპრინტი: 1. ფელისია ბალანჟე (საფრანგეთი) — 2. მიშელ ფერისი (ავსტრალია) 2:1; 3. ოქსანა გრიშინა (რუსეთი) — 4. მაგალი ფორე (საფრანგეთი) 2:1

# „ოზური"* მოზაიკა



ყარაჩიდან კვლავ შეგვეხმიანა ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველმოქმედი და უცხო ხილთა ტრფიალი

ყაფლან ჯანდიერი



* ოზი (Aussie) — ავსტრალიელი (აბრევიატურა არ გეგონოთ!)

## ფერფლი შინ გაგვატანეთო

სამ-თვე-ნახევარი დაყო ავსტრალიის კრიკეტის ნაკრებმა ინგლისში. ბევრი მატჩიც გამართა. ზოგი წააგო, ზოგი მოიგო, მაგრამ მიზანთა მიზანს კი ეწია — 1989 წლიდან მოყოლებული ეს უკვე ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა სანუკვარი „ფერფლი".



ავსტრალიამ 6-მატჩა ტესტ-სერიაში 3-2 ძლია ინგლისი. მასპინძლებმა პირველი ტესტი მოიგეს, მაგრამ ავსტრალიამ ივლისსა და აგვისტოში ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა და სერია ვადამდე მოიგო. სტუმრებს კვლავ მარკ თეილორი კაპიტნობდათ, მასპინძლებს — მაიქლ აფერთონი. ბოლო ტესტს სიმბოლური მნიშვნელობაღა ქონდა. ინგლისის კრიკეტის საბჭომ „ოვალის" პატრონ სარის საგრაფოს მიუთითა, ზოლი ისეთი გაამზადეთ, რომ ბურთის დაბზრიალებით მომწოდებლებს საქმე გაუადვილდეთო. სარი ამას უხალისოდ დაყაბულდა და თამაშიც ხუთის ნაცვლად სამ დღეში მორჩა. ამით მასპინძლებმა გვარიანად იზარალეს — გამცდარი ბილეთების ჩაბარებით 500 000 გირვანქა მოისაკლისეს.

„ფერფლი" გარდამავალი ჯილდოა, ოღონდ სიმბოლურად. იგი მცირე ურნაში ინახება და 1882 წელსაა დაწესებული. მისი ერთპიროვნული მფლობელია ემ-სი-სი (მერილბოუნ კრიკით კლაბ).

ავსტრალიელებმა ეს მშვენივრად უწყიან, მაგრამ ბრიტებს სასხვათაშორისოდ მაინც შეაპარეს, ჩვენი აზრით დროა, სერიალს ახალი განზომილება შევძინოთ. სამისოდ ეგების „ფერფლი" შინ გაგვატანოთ და მერე თუ მოგვუგებთ, იქედან გამოგატანოთო.

ამთავითვე ცხადია, ინგლისი ამას არასგზით დათანხმდება. ავსტრალია მას დღესდღეობით იმდენად ჯობს, რომ „ფერფლი" მართლა გარდამავალი რომ იყოს, მას კიდევ კარგა ხანს ვერ დაიბრუნებს. აქამდე „ფერფლს" ერთადერთხელ დაუტოვებია ემ-სი-სის მუზეუმი: 1988 წელს ავსტრალიის ათვისების 200 წლისთავი რომ იყო, იგი იქ დედოფალ ელიზაბეთის თვითმფრინავით გაგზავნეს.

ჯანდიერის მისამართია
Qaflan@HuzLiBab.edu.pk

**ASHES — ფერფლის სერიალი**

I ტესტი. 5-8. 06. 1997. ეჯბასთონი (ბირმინგემი). ავსტრალია 118 და 477 — ინგლისი 478-9 და 119-1; ინგლისმა მოიგო 9 ბჭით (1-0)

II ტესტი. 19-23. 06. ლორდსი (ლონდონი). წვიმები. ინგლისი 77 და 266-4 — ავსტრალია 213-7; ფრე

III ტესტი. 3-7. 07. ოლდ ტრეფორდი (მანჩესტერი). ავსტრალია 235 და 395-8 — ინგლისი 162 და 200; ავსტრალიამ მოიგო 268 გარბენით (1-1)

IV ტესტი. 24-28. 07. ჰედინგლი (ლიდსი). ინგლისი 172 და 268 — ავსტრალია 501-9; ავსტრალიამ მოიგო შესვლითა და 61 გარბენით (1-2)

V ტესტი. 7-11. 08. ტრენტ-ბრიჯი (ნოთინგემი). ავსტრალია 427 და 336 — ინგლისი 313 და 186; ავსტრალიამ მოიგო 264 გარბენით (1-3)

VI ტესტი. 21-23. 08. ოვალი (ლონდონი). ინგლისი 180 და 163 — ავსტრალია 220 და 104. ინგლისმა მოიგო 19 გარბენით (2-3)

სულ: 291 თამაშიდან ავსტრალიას მოუგია 114, ინგლისს — 92; 85 ფრედ დასრულებულა

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

**მსოფლიო სპორტის შორეული კომაგის ელექტრო-ბარათები**

E-mail

## მიზანი მიღწეულია

ავსტრალიაური ბურთაობა ვიქტორიიდან მთელ ქვეყანას მოედო. პლეი-ოფის დაწყებამდე ერთი ტურიღა დარჩა, მელბურნის ოთხი ბობოლა კლუბი კი მოწინავე რვეულშიც ვერა ხვდება. სამაგიეროდ, ერთბაშად ოთხ არა-ვიქტორიულ კლუბს უჭირავს საპლეიოფო პოზიცია, ცხრილის პირველ სტრიქონში კი სეზონში პირველად ასულა სენთ-ქილდას კლუბი, რომელიც იმითაა საცნობილი, რომ საბოლოო ცხრილებში ბოლო ადგილი ყველაზე მეტგზის — 26-ჯერ ჰქრია.

დიახ, ლიგაში ძალები აშკარად გადანაწილდა. მელბურნის კლუბები ძველებურად ველარ ძარცვავენ დანარჩენ ქვეყანას, სხვა დიდი ქალაქების წარმომადგენლები კი ფაქტობრივად შტატების ნაკრებები არიან. ამის გამოა, რომ მიმდევარი და მხარდამჭერიც მეტი ყავთ.

პლეი-ოფი მაკინთაიერის სისტემით გაიმართება. ესა ნიშნავს, რომ პირველ წრეში მარცხი ეპატიება ორ უკეთეს ადგილზე გასულ წაგებულს. მოკლედ, სადღეისო მდგომარეობით სენთ-ქილდასა და ჯილონგს მეორე წრეში თამაში დაზღვეული აქვთ.

დიდი ფინალი 27 სექტემბერს, ტრადიციულად მელბურნში გაიმართება.

| AFL-1997 | თ | მ | ფ | წ | ბ | % | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენთ-ქილდას წმინდანები (1) | 21 | 14 | 0 | 7 | 2177:1834 | 118.7 | 56 |
| ჯილონგის კატები (6) | 21 | 14 | 0 | 7 | 2011:1701 | 118.2 | 56 |
| * ადელაიდის ყვავები | 21 | 13 | 0 | 8 | 2053:1667 | 123.2 | 52 |
| დასავლეთელი ბულდოგები (1) | 21 | 13 | 0 | 8 | 1995:1975 | 101.0 | 52 |
| * სიდნეის გედები (3) | 21 | 12 | 0 | 9 | 2003:1701 | 117.8 | 48 |
| ჩრდ. მელბურნის კენგურუები (3) | 21 | 12 | 0 | 9 | 1940:1713 | 113.3 | 48 |
| * პერთის არწივები (2) | 21 | 12 | 0 | 9 | 1849:1689 | 109.5 | 48 |
| * ბრისბენის ლომები | 21 | 10 | 1 | 10 | 1997:1853 | 107.8 | 42 |
| * პორტ-ადელაიდის ძალა | 21 | 10 | 1 | 10 | 1768:1900 | 93.1 | 42 |
| კარლტონის ლურჯები (16) | 21 | 10 | 0 | 11 | 1889:1954 | 96.7 | 40 |
| * ფრიმენთლის დოკერები | 21 | 10 | 0 | 11 | 1669:1783 | 93.6 | 40 |
| ქოლინგვუდის კაჭკაჭები (14) | 21 | 9 | 0 | 12 | 2016:1808 | 111.5 | 36 |
| რიჩმონდის ვეფხვები (10) | 21 | 9 | 0 | 12 | 1792:2164 | 82.8 | 36 |
| ესენდონის ბომბდამშენები (15) | 21 | 8 | 0 | 13 | 1902:2074 | 91.7 | 32 |
| ჰოვთორნის ძორები (9) | 21 | 8 | 0 | 13 | 1786:2039 | 87.6 | 32 |
| მელბურნის დემონები (12) | 21 | 3 | 0 | 18 | 1358:2350 | 57.8 | 12 |

() პირველობის რაოდენობა. * ახალი, არა-ვიქტორიული გუნდები. გედები სიდნეიში სამხრ. მელბურნიდან გადავიდნენ. ფითსროი (8) წელს ბრისბენის დათვებს შეერწყა და თიკუნი უბოძა



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29